

ცისკარი

სამსაფრთხვე-სალიფრატორად ქარნალი **1** 2000



გილოცავთ ახალ წელს!



ცისკარი

დამფუძნებლები:

საქართველოს მწერალთა კავშირი

და ქუბანულ „ცისკარს“ ბრძანებით

1 | 2000

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

შინაარსი

შთავარი რედაქტორი:

ვაჟა კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალთაძე არ ანალო
ირაკლი ბაზაძე
ლევან შალვაშვილი
ელზა მებრძოლი
(პირდაპირი მონაწილე)
მინო მოსულიშვილი
ზურაბ ნარბეიძე
ჯემალ ჯიბია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი ბაგვაძორი
ნოდარ ბრინჯაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თხარაძე
ემზარ გვინაშვილი
რეზა მთავრიაძე
დავით მთავრიაძე
ბური თბილისი
გივი სულაბაძე
მიხეილ კვიციანი
ჯანსუღ ღვინჯიანი
ზაზა მთავრიაძე
ნუზარ მთავრიაძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანაშია

მხატვარი:

ბიორბი წარმომადგენელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექნიკური რედაქტორი:
ზინო სიბაძე

გამომცემელი:
ლევან თითქმისი

ბოჟია და ბროზა

- 3. ნინო სისარულიძე. ლექსები
- 8. ჯაბა იოსელიანი. სარეკლამო გეგმა. რომანი. დასაწყისი
- 51. გიორგი არჩვაშიანი. ლექსები
- 55. ლელა არაბული. ლექსები
- 58. მიხეილ ქელიძე. ვაჟები ცხოვრებას... (ავტობიოგრაფიული ნარკვევი) დასაწყისი

მარადი მგზავრი

- 99. გურამ რელიშვილი. მოუნდა. მოთხრობა
- 102. შოთა ნიშნანიძე. ქვეყნისკენი. პოემა

ახალი თარგმანები

- 108. გენადი აიგი. ლექსები. თარგმან რენე-კალანდიამ
- 116. პ.ლ. მენქენი. მზარეულის გამარჯვება. ინგლისურიდან თარგმან ლალი გოგაძემ

ჩვენი თანამედროვე

- 121. ზურ კალანდია. „ლელა ფრანცისკას ასეირნებს“...

წერილები

- 124. ზაზა აბშიანიძე. აკაკი წერეთელი

რეცენზია

- 131. ენერ ბარათელი. ჩვენი სულიერების ისტორიიდან
- 133. ნინო ბალანსივაძე. გაუგებარი თუ პლაგიატი?
- 134. ინგა მახაძე. პალესტინა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე





ნინო სიხარულიძე



ღუმდა ფორტეპიანო

(ზამთარი, ორად გაყოფილი თბილისი)

ღუმდა ფორტეპიანო.

წელს ნოტების მაგივრად ზამთარს მოეპრიანა შავი ავტომატები.

ეს არც საქართველოა და არც საქრისტიანო,

სულო, აგირღები და შეცად გაიფანტები.

იწრიალებ ღრუბლებთან უმწეო და ეული,

შენ ტკივილმა დაგღალა, რადგან ყველა გტკიოდა,

ქვემოთ საქართველოა ქართველებით სნეული,

უნუგეშოდ სნეული მოსჩანს საიქიოდან.

ღუმდა ფორტეპიანო...

სარკესთან

შენთან ვიყავი, ახლა სხვასთან მივეშურები, რომ გაეუშხილო,

რაც კი შენთვის დამრჩა სათქმელი.

მერე სხვას ენახავ და მოეუყვები,

რაც იმ მეორეს ვერ გაეუშხილე.

კარიდან კარამდე, ზარიდან ზარამდე, შეხვედრიდან შეხვედრამდე

ნაზამთრალ სულს ჩამოვარიგებ.

ბოლოს სარკესთან აღმოვჩნდები,

ჩაეაჩერდები არეულ თვალებს,

სარკე შეტყვის, რომ სულ გყუილად დავაბიჯებდი

მარტოობიდან მარტოობაში...

გამოსათხოვარი

რა უნდა გითხრა ამაზე ნაღდი: გიპოვნე, მსურდი, მიყვარდი, მწამდი.

რა უნდა გითხრა ამაზე თბილი: ვეფერებოდი შენს ღარდს და ტკივილს

რა უნდა გითხრა ამაზე კარგად: გულით და გონით გასახვედი კაცად,

მაგრამ, რადგანაც კაცისა გაქვს მხოლოდ იერი,

საპარტიზალოს
ფართობლი
ბიბლიოთეკა

გაგეცალე და უფალმა გცოს სულ ბედნიერი.
 შეგი რა გითხრა: ბედი მასმევეს სამსალას მწარეს,
 რომ ვერ მიცენიხარ, ჩემს სასჯელად ესეც იკმარებს.

შეყვარებულებს

თქვენ ყველას ერთი სახელი გქვიათ და ყველანი ჰგავხართ ერთმანეთს,
 თვალებით ვარსკვლავები დაგაქეთ, გულით გაზაფხული.
 ერთმანეთს ელოდებით და ერთმანეთში საკუთარ თავს პოულობთ ისე,
 რომ ვეღარც ამჩნევთ, საღ იწყებით და საღ მთავრდებით.
 თქვენ ყველას ერთი სახელი გქვიათ და ყველანი ჰგავხართ ერთმანეთს.
 გულგრილობით გათანგულ ქალაქში გახსოვთ იები, ნარიყალა, „მთვარის სონატი“
 და ერთმანეთს ასაჩუქრებთ ცხელი მშებებით,
 ასეთი ღამაზები, ასეთი მართლები,
 და მხოლოდ თქვენთან, თქვენთან არს ღმერთი!
 თქვენ ყველას ერთი სახელი გქვიათ და ყველანი ჰგავხართ ერთმანეთს.

გუშინ... დღეს...

ქალი, რომელიც შენ აღარ გახსოვს,
 სულაც არ ცხოვრობს თურმე ეულად,
 იგი ვიღაცის უძილო ღამედ,
 ვიღაცის ხატად გადაქცეულა.
 ქალს, რომელიც შენ გადაივიწყე,
 სხვადასხვა როლი არგუნა ბედმა:
 ის არის სატრფო, ის არის ცოლი და მეგობარი,
 ის არის ღელა.
 და საზრუნავით სახეს დღეებში
 საღმე შემთხვევით თუ წააწყდება
 შენს დანატოვარ ლექსებს, ნახატებს -
 - წამით წარსულში გაუღარდება.
 შეხვდებით, ალბათ, საღმე შემთხვევით,
 იგი არც გეტებს, არც გერიდება,
 შეხვდებით მერე, თუკი განგებამ
 ერთ მშვენიერ დღეს ასე ინება.
 ქალი, რომელიც აღარ გადღელებს,
 აუღელებულად, მშვიდად შეგხვდება,
 არ შეებუნდება, არ გაიოცებს,
 სახეს სიწითლედ არ მოედება.
 ქალი, რომელსაც აღრე ელოდი,
 ქალი, რომელიც გელოდა აღრე,
 მოგჯერ დიმილით თუ მოგიგონებს,
 გარდასულ დღეებს აუგს ვერ კადრებს.
 რადგან არასდროს არ წაიშლება
 შედამნის ღამე და ნარიყალა,
 ზღვა, თოლიები, ბათუმის ზეცა,
 ღრუბლების გუნდი რომ გადიყარა.

მორჩა, მას უკვე სხვაგან ელიან,
 შენც შენი გზებით იარო უნდა,
 წარსული მაინც თავს შეგახსენებთ,
 როგორც ჯიბეში ნაპოვნი ხურდა.
 ქალი, რომელიც... ქალი, რომელიც...
 არ დაგიფარავს, რაც უღვეს გულში,
 ქალი, რომელსაც დღეს არ უყვარხარ,
 გეგყვის, თუ როგორ უყვარდი... გუშინ.

სულს, რომელიც ჯერ ვერ მტოვებს

ღრუბლის აბლაბუდიდან ფრთხილად. ფერებ-ფერებით
 გამოგქერწა მთვარის მკრთალმა, ფერმისდილმა თითებმა.
 მარად ჩემთან ყოფილიყავ, ჩემი მცველი ყოფილიყავ.
 ჩემი... მსხვერპლი ყოფილიყავ - ესეც მთვარემ ინება.
 იყავ სუფთა, როგორც ცრემლი, მსუბუქი, ვით პეპელა,
 ჩემო თეთრო ქრიშანთემავე, ფერი რარივ იცვალე,
 შენი ნაზი ღეროები ბევრჯერ გადაითელა,
 დაგზაფრე და დაეიზაფრე, გაწვალე და ვიწვალე.
 იყო ბევრი ყვავილობა, უფრო მეტი - ქარბუქი,
 ბედის გრიალს ხან ვუძლებდი, ხან კი ელდანაცემი
 ვგრძნობდი, როგორ წრიალებდი ნაგაფი და სალუქი,
 როგორ გღრღნიდა გრძნობა ეჭვის, დამარცხების, დაქცემის.
 უსაშუალოდ რომ მტკიოდი, ესეც მთვარის ბრალია,
 რატომ შეგქმნა ასე ნაზი, ასე საფერებელი,
 ვერა ხედავ, დედამიწა უნუგემოდ მთვრალია,
 უთაბოლოდ მიიქრის ბედის ჩქარი მატარებელი.
 ...ნება, როდის გაიხსნება სანატრული კარები,
 ვიცი, შენთვის ვარ საკანი და პირქუში გალია...

წუთიერი ამნისგია

სულ ერთი წუთით, სულ ერთი წამით გაღაფიეწყებ მე თქვენს სახელებს:
 მთვარეულივით წვიმის კვალდაკვალ მინდა ვიარო - წვიმა მახელებს.
 სულ ერთი წუთით გულს აძღერებულს ყველაზე მაღალ მთაზე ავიგან,
 აგაბრიალებ, როგორც გედიას ყაყაჩოს ცეცხლით წავადა მარიცა.
 ავგაროზივით ყელზე ავისხამ ყველა ნატვრას და ყველა ოცნებას
 და, როცა დამე მკლავებს შემომხვევს, ცა ვარსკვლავებით დაიოცნება -
 - გრიალ მინდორზე კოცონს დავანთებ, შერე რა, რომ არ გადაიდარა,
 სამაგიეროდ, ჯადო დამეა და ჯადოსნურად კენესის გიგარა:
 „შევარდენო, ნუ დარდობ, მოიმორე ნაღველი“.
 გაგიღიმებს ბედი და დღე დადგება ნათელი“.
 - გესმის ქარო, ქარაშოტო? შენ კი რაებს როშავ,
 - ვერ მიცანი? ხომ ვემსგავსე ჭრელკაბიან ბოშას...
 სულ ერთი წუთით დავარდევე ჯებირს, როგორც მდინარე შლეგი და ხელი,
 შერე კი ისე გაფინაბები, როგორც ბელურა, საეკეს რომ ელის...

სულ ერთი წუთით, ხომ კარგად იცით, ეს ერთი წუთი რა მალე გავა,
 ...მერე კი უხმოდ დავაცხო ბღინებს და სურნელოვანს მოგართმევ ყავას!

გელესერიალი

- ახლა დაიწყება. მოდი რა, ვუყუროთ!
 რა ცხვირს იბზუებ, არ გინდა, ნუ გინდა,
 მე კი ვუყურებ, იქნებ ამოვძვრე
 ყოველდღიურობის ხარახურიდან.
 ცოცხა ხნით მაინც გადავივიწყებ
 წყალს, შუქს, გათბობას, გამის ბალონებს
 და ნავთქურასაც ზედ მივაცოლებ,
 შენ იქით გადი, მე ნუ მამოლებ.
 მართლა გადახარ? ჩემთან ერთად რომ გუყურებინა,
 რა მოხდებოდა.
 ამ ორმოც წუთში რამდენი ვინმე
 მოკვდებოდა და გაცოცხლდებოდა.
 რამდენი ვინმე დამწუხრდებოდა, რამდენი ვინმე გაიხარებდა,
 ვიღაცა ქალთან ინებივრებდა; ვიღაცა, ალბათ, ბოღმით დალევდა.
 კარგი, ბატონო, გყავდეს ეგ შენი ბურგმანები და ბერგოლუქები,
 ეს პრიმიტივი მე დამიტოვე, რომ დავიკბინო სიმწრით ტუჩები,
 თუმცა რა სიმწრით, რომ იწყება და აღარ მთავრდება,
 მაგრად ვკაიფობ.
 რაღაცა მაინც გექონდეს ხანგრძლივად,
 შენ რას გაიგებ ამას, არიფო!
 იჯექი ახლა მთელი საღამო
 შენს გამეთებში ცხვირპირჩარგული,
 მე ხმას ნუ გამცემ!
 მთლიანად ფილმის პრობლემებით ვარ გვინგათიანგული.
 აჰა, დამთავრდა, რა გიხარია?
 ხვალ? რა თქმა უნდა, ხვალაც იქნება,
 ასე უცებ ხომ არ დამთავრდება
 სიყვარული და თავდავიწყება.
 ჩვენ კი რა უცებ ჩამოვიბერტყეოთ
 მხრებიდან ჩვენი გამაფხულეები...
 ნეტა ვიცოდე, ვინ გვაჩქარებდა,
 საით გავრბოდით დამაფრულეები.
 ჩვენს ისტორიას ფილმი კი არა,
 „კლიპს“ თუ ვუწოდებთ, ისიც ყასიდად,
 აჰა, უყურე შენს „ეერო-ნიუს“,
 მე კი დანახვა შენი არ მინდა.

ევას ნაგვიანევი მონოლოგი.

ნუთუ უჩემოდ უფრო საამოდ იმრიალებდა ედემის ბაღი,
 ნუთუ უჩემოდ იქნებოდი უფრო ძლიერი ან უფრო ლაღი,
 თქვი, რა გაგიხდა ის ერთი ნეკი - ნუთუ ესოდენ დიდი მსხვერპლია,

ხომ გაეუბროდით ერთად ქარიშხალს - დღეს რაგომ მესერი სიგყვას ეკლიანს.
 მარგოობაში შევბას ხომ გგერიდი, ხომ გიქარებდი ფიქრებს სეფლიანს,
 ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვლიდი - უფლის განგებით ჩვენი ბეღია
 და არც არასდროს, და არც არასდროს შე უშენობა არ მინაგრიას,
 ამაზე ფიქრიც კი უდიდესი მკრეხელობაა და ღალატია.
 შე ვიცივლებოდი... საუკუნენი ისე მიპქროდნენ, ვერც კი ვამჩნევდით,
 ვიცივლიდი სახელს, მნესა და სახეს და იმრდებოდნენ ჩვენი ბაემევიბი.
 ხან მიწურ ქოხში გითბობდი ვახშამს,
 გელოდი, როგორც ცოლი მორჩილი,
 ხან სასახლეში გიწვევდი რაინდს,
 რომ შემებორკე გრფობის ბორკილით.
 ხან გეკუთენოდი სულით ხორცამდე, ხან ვიყავ შენი უარმყოფელი
 და გადიოდა ასე ტკბილ-მწარე
 წუთივით მოკლე წუთისოფელი.

...და თუ ვცოდავდი - ვცოდავდი შენთან,
 მოგჯერ შენს გამო, მოგჯერ კი შენთვის,
 მანკიერება ჩემო ყოველი
 შენს პირველ ცოლევას ერწყმის და ერთვის,
 შე დიდხანს ვეღმიდი, მაგრამ დუმილი ყოველთვის ოქრო არაა თურმე,
 სულ ერთი სიგყვით ისე მატკინე გული,
 რომ დღემდე ვერ განვიკურნე.
 შე მგონი დროა, რომ შეგახსენო საბედისწერო ის ერთი დღია,
 როცა უგვანმა ღალატმა შენმა ბედნიერება ჩემი დაჩრდილა.
 ვახსოვს, შეგვერისხეს... მაგრამ რა მერე?
 შე არც სამოთხე მსურდა უშენოდ,
 სულ სხვა რამ მტკივა ამდენი წელი
 და ამ სატკივარს როგორ ვუშველო.
 უფლის წინაშე თაფაბხრით მდგარმა,
 როცა სასჯელის იგრძენი შიში -
 - ევას ბრალია, - ჩაიბუტბუტე
 და თითქოს მაშინ ხელახლა იშვი.
 ჩემს თვალში თითქოს ხელახლა იშვი, როგორც სულმოკლე, მფრთხალი კაცუნა,
 ეს შენ მომიშთე რწმენა და გული და არა ეშმაკ ან მაჯლაჯუნამ.

როგორ გამწირე?! უფალი შენგან მხოლოდ სინანულს ელოდა მაშინ,
 კაცი მეგონე და ხელში შემრჩა შეშინებული მოზრდილი ბაემევი.
 ...მაგრამ მიყვარხარ, მიყვარხარ, ადამ! ესაა ჩემი სასჯელიც, ჯილდოც,
 უფლის ხელთაა გულისთქმა ჩემი და გვირთი უნდა ბოლომდე ვზიოდ.
 გმირიც, ლაჩარიც, ტუნწიც და ქველიც, ავიც, კეთილიც, ბრძენიც და ხელიც
 შე ჩემი ცრემლით უნდა განგებანო და სათნოება შენი ვამრავლო,
 ალბათ, ესაა, რაც მასულდგმულეებს; ალბათ, ესაა, რაც დღემდე მშველის.
 შე, შენი ნეკნის ერთი ნამტვრევი - მაგდალინელიც და დეთისმშობელიც,
 შენთან ვარ მარად და გადის ასე
 წუთივით მოკლე წუთისოფელი.

ჯაბა იოსელიანი

სარეჟისორო გეგმა

ამაღლებული ფიცარნაგი, ღია აივანი თუ სახლის ერდო. განთიადის ბინდუნდი, უამინდობის მოქუერული სინათლე თუ გალუული დღის აჩრდილად ქვეული გარემო. რუხი შუქის კონა ეცემა ჰაერში გამოკიდებულ დაუთარს. სამი ადამიანის ღანდი რაღაც მონოტონურ დულუნს მიუყურადებია თუ ერთერთთაგანი თავისთვის კითხულობს გადაშლილ მითითლვარე ფურცლებს.

მამა ზაქარია, დედა ელისაბედი და მათი მხოლოდშობილი შვილი იოანე სადღესასწაულოდ გაშლილ გაბლას უსხდნენ. პირი არაურისთვის დაეკარებინათ, არც რამეს უბობდნენ. სამივემ იცოდა, რომ მთელი ცხოვრებით გაჯერებული ამ წუთების ქროლვა საკმა დაძთაერდებოდა. თუ მათი ოჯახის კერა იოანეს დაბადებით ავიზგიზდა - დახსნილი იქნა დედის სიბერწე და უყვებმა მამისა, ახლა დგებოდა ეამი უდიდესი გვირთვიდისა: ეამი გაცემისა, სულიერის და მიწიერის გაყრის გამართობისა; იოანე გადიოდა ჭეშმარიტი პირველობის გზაზე, რაც ყოველთვის გრაგიკულად მთავრდება, სიკეთის ქმნის მიწიერი უმაღურობის გამო. სამაგიეროდ, მისი მოწამებრივი ხანმოკლე სიოცხლე სამარადეამო ნათლისცემის - ღვთიური განჭვრეტის აღვლენისათვის იყო გადაგებული. იწურებოდა ბოლო წამები, განქროლვას იწყებდა ფერადი ნისლივით გამჭვირვალე მათი სიატკბილური ოჯახური ცხოვრება. მათში დაეანებულ გრძნობათა სინარჩარეს, სასიამო გაცივოს, მიუსაფარ ბუნდოვან კონკრეტულობას, გაურკვეველ სასოებას ერთვოდა გამოდარების სიხარულიც და სევდიანი მაღაიერებაც. წინ იდგა ცხოვრების უნიამო ყოველდღიურობა და სიკვილის, როგორც საუშაბამო შეერთების, მოლოდინი. მამა

ზაქარიას რომ სცოდნოდა, რაზე ფიქრობდა ახლა ელისაბედი, არ მოუწონებდა და ნაძალადევი, ირონიული ღიმილით ეცკოდა: „ჩვენს ასაკში, თანაც ასეთ დროს, ელისაბედ, არა მგონია, შეგვეფერებოდეს სისულელებს აყოლა“. რა ექნა, სიზმარულ გაღლებად ეფინებოდა მის გონებას განვლილი ცხოვრება, თითქოს გამოერებას იწყებდა და იქვე მოგონებად იქცეოდა. აბა, გულაქროლებული მიეშურება ქალაქის კარიბჭისაკენ, საიდანაც მოჩანს ტაძარი და მისი სანახეცი. ჩაუელის უხუცესებს, რომლებიც პატივისცემით ესალმებიან, როგორც იოანეს დედასა და ზაქარიას ცოლს. შემობელ ქალებით ერთად თვალს ადევნებს მლოცველებით გარშემორტყმულ იოანეს. ახალგაზრდა კაცი სთვის უჩვეულო დარბაისლურად მოსაუბრეს, მისი კენარი განისა და შინაგანი ღირსების გამოშხატველ გლუვ, კეთილშობილურ მოძრაობებს. ელისაბედს არ გამოეპარებოდა ახალგაზრდა ქალების გადალაპარაკება, რომელიც იოანეს მძღავრად ამიდულ მაღალ კისერს, უცხოდ გაშლილ მხრებს ან მის ღონიერად გამოჩინილ მკაჯეს ეხებოდა. უცებ ქალები თვალებით ელისაბედს მოიქნინდნენ, მსუბუქი მუჯღუგუნებით ერთმანეთის რაღაცა გადარწმუნებულდნენ და ოფხუკუნებდნენ, იქვე კემამოსილ იერს მოიკრებდნენ და, ვითომც არაფერი, განაგრძობდნენ სადღესასწაულო პროცესიის თვალის მიდევნებას. ხშირად, როცა ელისაბედი სახლში მარტო რჩებოდა, უმიზეზო შფოთი იპყრობდა, თითქოს ჭერი უნდა ჩამონგრეოდა, განში ერუანგელი უვლიდა, კანკალებდა, სული ეხუთებოდა, სწრაფად გაიჭრებოდა გარეთ, ემომი კი, თითქოს მიწისძვრისაგან ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა. მერე გონს მოეგებოდა,



თავს დაეკუსავდა და, როცა ჩაუფიქრდებოდა, რწმუნდებოდა, რომ მდებეტი ბედნიერებისაგან მოდიოდა ეს შეგვევბი. საკმარისი იყო, ითანეს ხმა გაეგო ან მისი ნათელი სახისთვის მოეკრა თვალი, სრული სულიერი სიმშვიდე ეუფლებოდა. მოწიწებით შესქეპროდა და ვერ დაეჯერებინა, ნუთუ ეს სასწაული მან შვა, ნუთუ იგი იყო სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი მისი. უდიდესი მადლიერება აკიაფებულ ცრემლად ღნებოდა. ხომ იცოდა, ითანეს კაცთა შორის განსაკუთრებული ხვედრი არგუნა უფალმა. განა შეიძლება, ასეთი განუსაზღვრელი ბედნიერება დიდხანს გაგრძელებულიყო. იმავე დღიდან, როგორც კი ითანე ჩაესახა, რაღაც გაღაღებული სიმსუბუქე იგრძობი იმის მგვიერ, რომ ფეხდამძიმებულობის შეგრძნება პქონოდა. ასეთი აღგაცებული განწყობა ყმაწვილქალობაშიც არახოდეს დაუფლებია; ფრინველად მიაჩნდა თავი, რომელიც სურვილისამებრ აფრინდებოდა და, თუ შეეკამპე ვერ მიაღწევდა, ვიცილ-ხიცილით მაინც მოუღებოდა იქაურთას. რა მალე გავიდა ეს წლები, ამ მათრობელა დღეების სრბოდა. ახლა კი მისი ითანე ცაღამიდულ კლდეს მოსცლოდა, პაერში ქიბთან დაკიდებულიყო, გულმკერდი პირქარისთვის გაელდა, რომელიც ადგილიდან ვერ ძრავდა, ვერ ერეოდა, სუნთქვას უკრავდა მხოლოდ. თავის ძლიერებაში დაჯერებული ითანე კი თითქოს ანცობდა, ერთხანს არწივივით როინობდა, ვიდრე გამიღდა ფრთებს, გადაშეშებოდა და ჩაიკარგებოდა ელისაბედისათვის უფსკრულად მოჩვენებულ არემარეში. ამით ყველაფერი თითქოს თავდებოდა და იწყებოდა კიდევ აქ უკვე ვერაფერს იცყოდა. უსუსრობით გულადრულს სანუგემოდ ისდა და-

რჩენოდა, რომ საკუთარი ხელით გამოკოცეული აქლემის ბეწვის ფარაჯა ითანეს მუღგამოჭრილად მოაღვია, მოხერხებულად მუსლებამლე სცემდა. უდაბნოში დამდამობით ხომ ცივა, გადააბრუნებს ფარაჯას და აქლემის ლბილ ბეწვში ჩაიფუნება, დღისით კი გყავის სიგრილე შეინახავს. გყავის ქამარიც, რომლის ბალთა მაბისეული მშითვი იყო - ჯერ კიდევ ევვიპოს გყვეობიდან შემონახული - ერთგვარ ბედნიერების სიმბოლოდ ითულებოდა აარონელთა თათობებში. მამა მაქარია სიგყვადქუნწ კაცად იყო ცნობილი, მანამდეც კი, ვიდრე ელისაბედის მუკლითლებამ არ დაამუნჯა. არც ითანეს დაბადების შემდეგ, როცა უფალმა დაუბრუნა მეტყველება, არ აუნაზღაურებია ათი თვის სიმუნჯე. ეს დღეები კი გინდაც ითანეს მეორედ დაბადებას ელოდებოდა - ხმა, კრნგვი არ დაუძრავს არც შინ, არც ვარეთ. ან რა უნდა ეთქვა, ღმერთის მიერ ბოძებული ამქვეყნიური ბედნიერება მთავრდებოდა. ჯერჯერობით მხოლოდ მას ქქონდა შეგნებოდა მთელი სიცხადით, თუ რა უმაღლეს ადამიანურ იდეას უნდა შესწიროდა მისი მხოლოდშობილი - ცოდვების მიგვევებით მისცე ადამიანს ხსნის შექვეყნება! მაქარიამ ისიც იცოდა: სულ მალე ითანეს გრაგიკული დასასრული ელოდა; იმასაც მთხვედრილი იყო, რომ მისი დაღუპვა უსჯულო, ბილწ დაიყენებთან კაეშირდებოდა, თუმცა სიკვდილი მის ღვითურ მისიას არც რამეს აკლებდა და არც მაგებდა. ამაზე ფიქრი არ უნდოდა, მიწიერი სისუსტის გამოეკუნად ეჩვენებოდა, ამქვეყნიური გულისთქვის წარწილბულებად. მას შემდეგ, რაც ხილვაში მთავარანგელოში გაბრიელი გამოეცხადა, როცა, ჩვეულებისამებრ, მღვდელმსახურებისას საკმეველს აკმევადა, და ახარა, ყყოლდებოდა ვაჟი, რომელიც მრავალ ძეს ისრავლისას მოაქცევს ღმერთის მიმართ, მაქარია დამუნჯადა. ამით დაისაჯა იგი ურწმუნობისათვის, რამეთუ ეჭვი შეეპარა ელისაბედისა და მისი ხსოვნების გამო. სამაგიეროდ, აღივსო წინასწარმეტყველების ნიჭით და საღვთო წიერლის განსჯაში ღვთის მიერ ჩავონებული განჭკვრეგა მოიმარჯვა. ახლა სიგყვა ხდებოდა საქმედ, იგი ცოცხლდებოდა, აწრივად, სიგყვით ვამოხაგული უფლის არსებობა თავისი არსებობით გამოხატავდა სიგყვას. თუ უწინ წინასწარმეტყველოდა ბავებში ჩადებული

სიგყვათა ერთიანი ნაკადი დღი ჩანჩქერივით ჩქეფდა და შეუძლებელს ხდიდა, ამოგეცნო, რა შენაკადებს აერთიანებდა იგი, ახლა სიგყვის საქმედ ქვევის რწმენით სულ იოლ და დღესავით ნათელ შეგონებას შეიცავდა ღვთიური ერთიანი ნაკადი. თუ წინათ უფლის სიგყვის განჭვრება მზინში ჩაკარგულ ნემსებად ეჩვენებოდა, ახლა ნაპირზე გამორიყულ მარგალიტებად ეღვარებდა, რომელთაც მხოლოდ შეგროვება და ერთ თვალისმომჭრელ ყელსაბამად აკინძვდა ესაჭიროებოდა. იოანეს ბავშვობიდანვე მამა მაქარია მის განათლებაში, წმინდა წერილის განსჯა-განმარტებაში ხედავდა არა მარტო მშობლის, არამედ მოძღვრის უპირველეს მოვალეობას. როგორც წერილი ამცნობდა და მთავარანგელოზმავე შთააგონა, იოანეს უნდა შეერიგებინა მამების გული შვილების გულთან. წინასწარმეგყველ მალაქიას, გინდ ესაიას პირით უფლის მოწოდება - „მოვალენ ჩემს ანგელოზს და გაამზადებს გმას ჩემს წინაშე; ხმა მღაბდადებისა უდაბნოში - გაამზადდე უფლის გმა, მოასწორებ გრამალზე სავალი ჩვენი ღვთისათვის“ - აუცილებელ განსხეულებას მოითხოვდა.

ღვთიური განჭვრეტის გამორჩევა წერილის ერთიანი ნაკადიდან იოანემაც ბუნებრივად შეისისხლბორცა. იგი ერემა წინასწარმეგყველის ფორმულას იმეორებდა ხშირად: „სად ბზა და სად ხორბალი“, ადარებდა რა ცოცხალ სიგყვას ცრუწინასწარმეგყველთა ქადაგებებს, რომლებიც იმთავითვე სოკობებით მრავლდებოდნენ ყოველი უბედურებისა და ზებუნებრივი მოვლენების გადაეღვების ეაშს. თვით ერთიან ნაკადშიც ღვთის განჭვრეტისკენ მიმავალი თითქოს უწინარი ბილიკები მის თვალში შარა გზად იყო წარმოჩენილი. მამა მაქარიამ თავისი მამობრივი დღედამოსწრება დღევანდელი ორი დღის მოლოდინში გაატარა. იოანეს გასვლა უდაბნოში მთელი სამყაროს აპოთეოზად წარმოედგინა და არაფრით მოელოდა, რომ იგი ასე უმიზეზო სეუდით აღსავსე გამოდგებოდა. ისევ წამოეპარა გულისთქმა, რომ, თუკი იოანეს მისია არ საჭიროებდა მსხვერპლს...???

მაქარია უცებ წამოიწია, განურჩევლად რაღაც საკმელს წაეოტინა; თითქოს ვიდაც მოსდევსო, უთხრა იოანეს: „აიღე ერბო და თაფლი...“ იოანემ თვალები მაქარიას სახეს

მიაპყრო, რაღაც მალდ გამოკრთა მის მშერამი, მერე აიღო ხმაიად, მოგება დიდ ლუკმა, ჩააწო თაფლით სახეს ქილაში და თქვა: „ერბოსა და თაფლს უნდა ჭაბდეს, ვიდრე ბოროტების უკუდავებას და სიკეთის არჩევას არ ისწავლის“. სამივემ გაიღმა. ეს სიგყვები წერილიდან ქლისგეს ეტებოდა, მაგრამ მაქარია და ელისაბედიც ხშირად იმეორებდნენ, როცა ჯერ კიდევ პატარა იოანე გაჯიუტდებოდა და საჭმელზე იცყოდა უარს. ეს იყო ოჯახის საკრალური წმიდათა წმიდა სფერო, რომელზედაც მისიშხებით, ქარავმებით, შორისდებულებით ან სულაც სახის გამომეგყველებით საუბრობდნენ ისინი. ყველაფერი ერთიმეორეს გადაეუბა. იმის შემდეგ, როცა უფლის ტაძარში საკურთხევის მარჯენივ ანგელოზი მოველინა მაქარიას და დაამუხრა, ელისაბედიან მისი ახლო ნათესავი მარიაში მოვიდა ნაზარეთიდან. მაშინ ექვს თვეს ითვლიდა ელისაბედის ორსულობა; როგორც კი გაიგონა მარიაამის ხმა, ყრმა შეიძრა მუცელში და ელისაბედიც ვერე ვერასდროს გაიგო, საიდან მოადგა ენაზე საუკუნო მოწმობის სიგყვები, ვითარმედ: „ვინ გამზადა იმის ღირსი, რომ ჩემთან მოვიდა უფლის ჩემის დედა?“ ისიც ვერაფრით აეხსნა, საიდან მოვიდა რწმენა, რომ მარიაშიც ფეხმძიმეადა. და, როგორც შემდეგ გაირკვა, როგორ გაიმეორა სიგყვასიგყვით ანგელოზის კურთხევა: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი“, რომელსაც მილიარდობით ადამიანი უთვალავ ლოცვად იღაბადებს მომავალში. მარიაში კი მოსული იყო, რათა ელისაბედს თავის მხრივ მთავარანგელოზ გარბილის გამოცხადება ემოწმებინა. მაქარიამ მარიაამისაგან აღფრთოვანებით მოისმინა ხარების ამბავი, მისი ახაკისთვის შეუფერებლად, მარდად, აღეღვებულმა თავის ოთახიდან ესაია წინასწარმეგყველის გრაგნილი გამოიგანა და ქალებს ხელით აწვენა ის ადგილი, სადაც ეწერა: „...აბა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს (ჩვენთან არს ღმერთი)“, დაიხოქა და თავყვანი სცა ღვთისმშობელს. სამ თვეს დარჩა მარიაში მათთან. მთელი დღეები ელისაბედი და მარიაში კვლავ და კვლავ არჩევდნენ მთავარანგელოზის გამოცხადების ყოველ წვრილმანს, მაქარია კი უცყვად ჯდებოდა კუთხეში. თავს მაღლა ას-

წება, მიყრდნობდა კედელს, თვალებს ხუჭავდა, ისმენდა ამ საუბრებს და შემდეგ ღრმა ფიქრებში დანთქმული მთავარ ანგელოზთან კანდიერ პაექრობას ინანიებდა. მას და ელისაბებს ხომ დიდი ხანია გადაწურული ქქონდათ იმედი და აღარ შესთხოვდნენ უფალს შვალს. მაქარიასთვის უკვე მთავარი ის გახდა, რომ წინასწარმეტყველების მიერ შეპირებული მესია მოვლენოდა გადამრჩენად იაკობის ნაშვირთ და ანაბლად ორივე ვედრება აუსრულდა. დიდი იქნება ძე შენი ღვთის წინაშე სულიერ ახოვანებით - უთხრა საკურთხეველთან მთავარანგელოზმა. - თუ ერეშია წინასწარმეტყველი გვამცნობდა მესიის მოსვლის შესახებ, იოანე, რომელიც ნიშნავს ღვთის მადლს, ხელს დაადებს უფლის გარეშს და მონათლავს მას. ელისაბეძმა იმშობიარა, დაიბადა ყრმა. მოდიოდნენ მემობლები და ნათესავეები, ხარობდნენ და ილხენდნენ. წინადაცვეთის დღეს კი მოინდომეს, ყრმისათვის უფლის უმწიკლო მსახურის - მამამისის, მაქარიას სახელი დაერქმიათ. მოულოდნელად უცნაური სიკვებე გამოიჩინა ელისაბეძმა; არც ახსნა, რაგომ მაინც დაამაინც იოანე უნდა ყოფილიყო ბავშვის სახელი. ყველამ იცოდა, თუ როგორი ერთგული, მოსიყვარულე და პატივისცემული ვახლდათ ელისაბედი ქმრისა; ვივლით, მათი რჩევა სიხარულით იქნებოდა ამდებული, მით უმეტეს, რომ „ჩვენს მოდგემაში არავის ჰქვია იოანე“ - ამბობდნენ ნათესავეები. საბოლოო სიგვევა მაქარიას ეკუთვნოდა. მან ანიშნა, რომ მიეგანათ ფიცარი, ღერწამი და წითელი ტუში. მკლავით გადაწმინდა ზედაპირი, დიდი ასოებით დააწერა: იოანე. ყველა იქ მყოფი შიშმა მოიკვა, როცა მაქარიამ იქვე ენაც ამოიღვა, ხმაშალდა წაიკითხა თავისი დაწერილი: იოანე. დაეცა მუხლებზე და აკურთხევდა უფალს. მთელს მთიანეთს მოედო ეს ამბავი. მერე მოხდა იესოს ღაბაღება, იერემიას ნაწინასწარმეტყველები ორი წლისა და ნაკლებ ყრმათა ამოწვევა უფროსი პეროდეს ბრძანებით ბეთლემსა და მის შემოგარენში. მაქარიამ იოანე და ელისაბედი უდაბნოში გახიზნა, გადარჩა ყრმა და აქ დასრულდა ძველი აღთქმა. ყველა დიდი თუ პატარა ხალხების ცდა კერპთაყვანისმცემლობით, პანთეიზმით, მითოლოგიით, ფილოსოფიით, მეცნიერებით, რელიგიური სისტემების სქოლასტიკით მოეპოვებინა უკვდავება

აღამიანისთვის, საუბედროდ, ამოო გამოდგა. ახლა ჯერი პატარა იუდეაზე ღებოდა. რომის პროვინციის ამ სამეფოში, ისრაელად და პალესტინად წოდებულ მხარეში დიდი სულიერი ძვრები შეინიშნებოდა, როცა თვით იმპერიაში სამყაროსთან დაპირისპირებულ ადამიანის ბედ-იღბლის გადაწყვეტაზე ხელჩაქნეული ელიცა ფუფუნებისა და ხორციელი სიამოვნებების უკიდურესი შესაძლებლობით ცდილობდა, მისცემოდა თავდავიწყებას და ელინური ეპიგონობით ავსებდა სულიერ სიდუხჭირეს. სწორედ ამ დროს ისრაელში საუკუნეების მანძილზე აკუმულირებული სულიერი ენერჯია ღვთიური ყურადღების ცენტრში მოექცა. თაისობით წინასწარმეტყველი დაძრწოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში. ხალხი ერთთავად სასწაულების მოლოდინში იყო. ყველაფერი ეს კარგად ესმოდა მაქარიას. მას მიაჩნდა, რომ ამოს წინასწარმეტყველის მთავანების აღსრულებაში მოაწია: „მოვალენ ქვეყანაზე შიშმოს, არა შიშმოს პურისასა და წყურვილს წყლისა, არამედ უფლის სიგვევების მოსმებისას“, და ახლა იოანეს უდაბნოში გასვლა გადაუღებულ აუცილებლობად მიიჩნდა.

„ძო“, - ნახევრად დაეთანხმა იოანეს მაქარიამ, „ჯერ არ დაშდგარა ყრმის დრო, თუმცა ესაიას ვამიდან მოყოლებული გაიძახის ხალხი: „გამოგვიცხადე მოსახლენი და მივხელებით, რომ ღმერთები ხართ, ქმენით კეთილი, გინდა ბოროტი...“ იოანე წამოიღვა. „ახ“, - აღმოხდა ელისაბედი, ორივე ხელით ჩაბლუჯა მკლავში, - „კიდევ ერთი წუთი“. იოანე სათუთად მოეხება ღედას, წამოაყენა ფეხზე და ნელა, მსგავსად ავადმყოფი გადაპყავსო, გაიყვანა ვოში. მაქარიამ აღვილიდან არ დაძრწულა; აღარც იოანე შემობრუნდა სახსმთ. წავიდა წითელი უდაბნოსაკენ, საიდანაც მწველი ქარი ქროდა.

„ბოდიში დაგვიანებისათვის“, - გაისმა ხმა ქანდარიდან, ღერბაში სიერთო შუქი აერთო. სცენაზე მაგიდასთან მჯდომი ჭადარა მახეტრო წამოიღვა, ღვთიერი მაგიდაზე დაბადო, მაღალ შუბლზე სათვალე აიწია, ხელით თვალები მოიხრდილა, აიხედა ზემოთ, მერე ხელმარცხნივ ხანშიშესულ ქალს გადახედა. შემდეგ, - მარჯვნივ კაცს, რომელსაც ახლად გაზრდვილებულ ელექტრონის შუქზე თვალები მოეჭუტა. მსუბუქად დაარტყა ხელი დაეთარს: „ეს იქნება პროლოგი“, - გამოაცხადო.

ხადა. ერთხანს სიჩუმე იდგა, მაესტრომ მავი-
 დაზე დაღებული კოლოფიდან პაპიროსის ამო-
 იღო, ახანითი მოუკიდა. „რას გაჩუმებულხ-
 ართი?“ - „იცი, მაესტრო, მე ვფიქრობ, ეს
 პროლოგი ჩვენ ხომ უნდა ვითამაშოთ თუ
 ასე ლიტერატურულად გადავცემთ მაყურ-
 ებელს?“ - თვალბე მოიფშვინგა და ყოყმან-
 ი ითვისა მამაკაცმა. „რასაკვირველია, უნდა
 ვითამაშოთ და რაც შეიძლება დამაჯერებ-
 ლად“. - „მერე და რა არის აქ სათამაშო?“
 - „ნუ განამთრეინებ ბანალურ ჭეშმარიტე-
 ას, სენაზე გელეფონების სააბონენტო წიგ-
 ნაკის გათამაშება შეიძლება“. - „განა დილ-
 ივის სამი წინადადება იძლევა ამის საშუ-
 ალებას?!“ - „სამი წინადადება კი არა, სამ
 სიტყვას თუ ფეხვებაზე ჩაყვებით, სამი
 გრაგულია ან სამი კომედია გამოვა. ყოველი
 სიტყვის დაბადება საინტერესო და ვრცელ
 ისტორიას შეიცავს“. - „უპირავე ცარიელი
 სიტყვა გრიალებს ადამიანის ენაზე“, - სუსტი
 წინააღმდეგობით არ ნებდება მამაკაცი. -
 „თუ გამოითქვა, იგი აუცილებლად ადრე
 თუ გვიან მოძებნის სუბიექტს, ვითარებას,
 მაგრიას ან არადა, მიუქმელ მოიფიქრებს
 თავის ნანგრევებში“. მაესტრომ პაპიროსის
 ბოლი შეისუნთქა და ხველა აუტყდა. კვლავ
 სიჩუმე ჩამოვარდა. „ამ პაგარა მონაკვეთით
 რაიმე დასკვნების გაკეთება ნაადრევია, იქნებ
 ცოტაც საქმის კურსში შეგვიყვანოთ, არა?“
 - „ყველაფერს თავისი დრო აქვს“, - მოისხნა
 სათვალე მაესტრომ - „ჩვენ გვყავს იოანე,
 ელისაბედი და, თუ საჭირო გახდა, მაქირაიცი,
 რომელიც, ალბათ, მე ვიქნები, ხვალისთვის
 სხვებიც უნდა შემოვიერთოთ, მანამდე,
 სჯობს, კითხვა გადავლით, რომ შემდეგ არ
 მოგვიხდეს დაბრუნება. ჩემო იოანე, ჩვენ
 რადაცბი შესათანხმებული გვექნება, ამჯე-
 რადაც თანადადგმულ რეჟისორად მინდა
 დაგინშნო“. - „გმადლობთ“, - წამოიწია მავ-
 ვიდიდან მამაკაცი. მაესტრომ დაეთვარა ილ-
 იამი ამოიჩარა - „ნახვამდის; ხვალ თერთ-
 მეტე! შენ კი, გეთავა“. - მიმართა ქანდარ-
 აზე გაღმოყლებულ გამნათებელს - „ან მოდი
 დროზე, ან სულ ნუ მოხვალ“. - „მე არავის
 გავეფრთხილებივარ, მე ჩემით მოვდი“, -
 გაიმართლა თავი გამნათებელმა, მაესტრომ
 არაფერი უპასუხა, ისე გავიდა დარბაზიდან.

თეატრში, უკვე კარგა ხანია, დადიოდა
 ხმები, რომ მაესტროს დღე-დღეზე ახალ პიეს-
 აზე უნდა დაეწყო მუშაობა, მაგრამ ის, რომ

არც დახის შეკრება მოაწყო, არც ცალკეულ
 საუბრები ჩაატარა, არც როლების განაწი-
 ლება გამოაცხადა და პირდაპირ რეპეტიცი-
 ებს შეუდგა, ისიც სენაზე - თეატრში აფორ-
 იაქებულ ატმოსფეროს ქმნიდა. რას დაგმდა,
 რა პიესას მოკიდა ხელი, არაფერ იცოდა.
 მხოლოდ ახლა გაიფიქრა თრად-ორმა მსახი-
 ბომა, რომ ერთი ითამაშებდა ელისაბედს,
 იოანე ნათლისმცემლის დედის როლს, მეორე
 კი იოანე ნათლისმცემელს; ასევე მიხვდნენ
 იმას, რომ პიესა გრადიციული გაგებით არ
 არსებობდა. თუმც, რა იყო ეს სარევისორო
 გეგმა თუ რაღაც კომპილაციური ნაწარმ-
 იოები, ამ მოკლე შეხვედრიდან ვერ გამოიჭ-
 ანეს დასკვნა. იოანეს როლში დაკავებულ
 თეატრის პრემიერს ფიოქსი მსახიობები დახ-
 ვდნენ, რომლებსაც გავევით რეპეტიციების
 დაწყება და მივარდნენ, რათა თავი შეეხსენ-
 ებინათ. ყველას საკუთარი პრეტენზია და
 იმედი ამოძრავებდა, არავის სურდა, დაუკა-
 ვებელი დარჩენილიყო, მაგრამ მაესტრო
 ოთახში ჩაიკეტა და არავის უშვებდა თავის-
 თან.

ახლად გამომცხვარმა იოანე-რევისორმა
 მხრები აიჩეჩა, ჯერ არაფერი ვიცი, რას და
 როგორ პირებს მოხუციო. თვითონ კი,
 ახალი სამუშაოს დაწყებით აღგზნებული,
 სწრაფი ნაბიჯით გაემუშრა შინ. მეორე წელი
 დაეწყო, რაც სასტუმროში ცხოვრობდა სხვა
 თეატრიდან გადმოსულ მსახიობ ქალთან.
 ქალაქში გავრცელებული იყო შეხედულება,
 რომ ამ წყვილმა ერთმანეთის გულსათვის
 ოჯახები მიატოვეს, მაგრამ ეს მოღა-
 სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ისინი ჯერ
 ოფიციალურად არ მოქსრიდებულყვენენ,
 არც ცოლქმრული ურთიერთობა უქონდათ
 ჩამოყალიბებული, არსებობდა რაღაც წერი-
 ლმანები, რომლის დამუსტებასაც ორივე გრი-
 დებოდა. სასტუმროს ერთ ნომერში მათი
 ცხოვრება ყველას აწყობდა, თეატრსაც კი
 უფრო იათუ უჯლებოდა, ვიდრე ცალ-ცალკე
 მიეცათ მათთვის ბინა, თანაც იმ მსახიობისა-
 თვის, რომელსაც ჯერ არაფერი ვითამაშა.
 ახალი სექტაკლი მისი გადმოსვლის პერი-
 ოდში არ დადგმულიყო, ძველებში კი მას
 თვითონ არ სურდა ვინმეს შენაცვლება. იგი
 მოქმედებდა ღირსეულად მიჩნეული ცნობი-
 ლი თეატრალური გრადიციების მიხედვით -
 წესიერებისა და შეფარულად საკუთარი
 განსაკუთრებულობის გამოხატველი პოზით:



მე არავის ადგილას არ მოვედი, არავის შევეცილე და დავჩაგრე, თუმცა, როგორც შეწვილად ხდება თეატრში, ეს პოშიცია აშჯერადაც დაუპირისპირდა მისი მოხელით გამოწვეულ ვნებთოაღელვას. ქალაქში იგი ცნობილი ლამაზმანად ითვლებოდა, არც უნებობას სწამებდნენ. ამას თუ ისიც მიემატებოდა, ითან-რეჯისორი ბუერს, და არა უსაფუძვლოდ, თეატრის მომავალ ხელმძღვანელად მიაჩნდა, მათი აღიანხსი კარგს არაფერს უქადა პატივმოყვარულად განწყობილ ჯგუფებს. მითუმეტეს, რომ რეჯისორი მთაფრობაში ერთგვარი გავლენით სარგებლობდა და არც მავსტრო ეკიდებოდა უყურადღებოდ, დროდადრო რეჯისორობას ანდობდა. ერთ სპექტაკლზე მასთან ერთად იმუშავა, მართალია, უფრო როგორც ასისტენტმა, მაგრამ აფიშაში მავსტრომ თანხადაძღვებულად გამოაცხადა. სასტუმროში რეჯისორი ლიფტს აღარ დაელოდა, ისე აირბინა სამი სართული. ახალი სამუშაოს დაწყებამ, რაღა თქმა უნდა, მისი მეგობარი გაახარა, ოღონდ იუმორში გაატარა ორივემ მისი „ნათლისმკვებლობა“, სამაგიეროდ, თანადაძღვებულად დანიშვნის ამბავი სერიოზულ წარმატებად ჩაითვალა. ახლა მთავარ სადარღებულს ქალის როლის გარკვევა წარმოადგენდა. პიესის დადგმა სულ ცოტა ორ-სამ თვეს დაიკავეს და, თუ ამ სპექტაკლში მისთვის სამუშაო არ აღმოჩნდება, გამოცემა, მთელი ნახევარი წელი უსაქმოდ დარჩება. რაც თეატრში გადმოვიდა, სულ ორჯერ მოინახულა დასი, ასე ვთქვათ, მრდლობის გულისათვის. ერთხელ პრემიერას დაესწრო და რამდენიმე ნაცნობ კოლეგას შეხვდა.

„არის რაიმე საინტერესო ჩემთვის ამ პიესაში?“

- „იე ჯერ თვითონ ვერ გავრკვევლებარ, რა არის ეს - პიესა თუ ექსპლიკაცია. ისე, კაცმა რომ თქვას, არც თემაა გამართლებული, რელიგიური პრობლემატიკა. მერე მოცე ვინმე კულტურის სამინისტროდან, იცყვის იდეურად მიუღებელიაო, მიდი მერე და უყარე კაკალი, ამდენი ნაბუშევიარი წყალობი ჩაიყრება“.

- „არა, ჯერ ერთი, მოხუცს ასე იოლად ვერაფერს გაუბედავენ, მეორეც - მავსტრომ ძნის თავისი საქმე, როგორმე შეძლებს, არც მამყური დაწვას, არც შწვადი“. - რა ვიცი, რა ვიცი; ისე, ომის შედეგ კომუნისტებმა

საგრძნობლად შეეცალეს რელიგიასთან დამოკიდებულება, რასაკვირველია. ამით დასავლეთზე სურთ მოახდინონ მთაბეჭდილება. ომამდე სპექტაკლში მარის ხმა. თუ ეკლესიას მიახიშნება, წაშვე კუპიურაში ხვდებოდა, ახლა დეკორაციებში ეკლესიის შენობის გამოვლენად ღიდ ეთვალა აღარ ითვლება და, თუ მავსტრო არ გაიცივება, სპექტაკლმა სწორედაც შეიძლება აქტუალურად გაიფეროს.

ქალი უკვე ყურს აღარ უვლებდა რეჯისორის პოლიტიკურ განზოგადებას და ვარაუდებს; გულახდილი რომ ყოფილიყო, სადაც ნაწყენიც კი დარჩა, ბოლოს და ბოლოს, ხომ შეეძლო, ეკითხა მავსტროსათვის მისი ბუდის შესახებ. ასე თუ გაგრძელდა, აღივლი შეხადლებელია, სულ უგულებელყონ მისი გადმოსვლა თეატრში. ერთი გამოცემა კიდევ, თვითონ ხომ არ მისულიყო და შეხსენებინა მავსტროსათვის თავი. რეჯისორს ამას ვერ გაუბეზელა, იცოდა, არ მოუწონებდა და უსიამო ახსნა-განმარტებას მოეროდა. სჯობდა, ამას შემთხვევითი სახე მისცემოდა, შესაფერი მომენტი შერჩეულიყო.

რეჯისორს სიხარულის ტალღა მალე ჩაუცხრა. უხერხულმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს რაღაც შეუფერებელ საქციელში ემხილებინათ, გამოუთქმელი საყვედური გრძალებდა მათ შორის. ასეთმა განწყობამ დიდხანს არ გასტანა, სადილის შემდეგ სასტუმროს რეგორნიდან ამოსულეებს გელეფონის მარი შეეგებათ. რეკავდა მავსტრო. სულ ორიოდ სიგყვა უთხრა რეჯისორს: „ხვალ შენი შეგობარი მოიყვანე. მისთვის პეროლიადას როლი მაქვს“. - ყურმილი დალო და ორივე ერთმანეთს გადახევივნენ. მეორე დღეს, ვიდრე რეპეტიცია დაიწყებოდა, რეჯისორი მავსტრომ თავის ოთახში შეიყვანა, მოგადად გააყენო თავისი ჩანაფიქრი. უთხრა, რომ მათი სამუშაოს პირველ ეტაპს შეადგენს ლიგერატურული ტექსტის ვასცენიურება, ტექსტის, რომელიც ეყრდნობა ბიბლიასა და ავთოგრაფიულ მასალას - სარეჯისორო გეგმა. ეს პირველი ცდა იქნება - საბჭოთა სკენამე რელიგიურ თემაზე წარმოდგენილი არაათვისგური სპექტაკალი. რა და როგორ, რეპეტიციების მსვლელობისას გავრკვევა. მთავარი როლებსათვის მსახიობები შერჩეულია და, ალბათ, მასაც არაფერი ექნება საწინააღმდეგო. გუშინდელ გადაწყვეტილ-



ბას დაემატა „ლომი“ პეროდეს როლზე. იესოს როლი მიიღო სტაგისგმა, რომლის გვარეი ახლა დააიწყო: „შენ მას იცნობ, ამ ბოლოხანს მოვიდა თეატრში, არ შეიძლება, არ შეგეძინოს მასობრივ სცენებში. დიდი მომწვანო-მოცისფრო ღრმად ჩასმული თვალები აქვს, ნაღვლიან და გამჭოლ სხივებს აფრქვევენ“. მანსტრომ აღარ დააყადა რევისორს, თავისი აზრი გამოთქვა, ხელკაცი გამოსლო და სცენისკენ წაიყვანა. კულისებში ვლისაბული და პეროდიადა შემოხუნდნენ. „ოპო, პო!“, - გაიხარა მანსტრომ, - „აი, ნამდვილი პეროდიადა!“ და გალანგურად ეამბორა ხელზე.

რევისორს თავისი შეგობარი ფუქსავაგურად ჩაქმული, შედგებად გამოპრანჭული მოეჩვენა - სამუშაოზეა მოსული, ქორწილზე ხომ არა, თუმცა გამართლებაც იქვე მოუძებნა: დღეს პირველად უნდა წარსდგეს დასის წინაშე. იქნებ მართლაც ასე სჯობს. მაგიდასთან სცენაზე ფეხი ფეხზე შემოედგა პეროდეს როლზე დანიშნულ ლომს, მის წინ მრდილობიანად მდგარ სტაგისგს ჭკუას ასწავლიდა. თეატრში მას იღური ლოველასის სახელი ქონდა მოხვეჭილი. თვითონ ტრამპიობდა, ვითომ რაღაც განსაკუთრებული მიღვომით მოქმედებდა, ყველა ქალთან ინდივიდუალური მიდგომა ჰქონდა, სხვადასხვა მუღამს ფლობდა, თუმცა თვითონ დარწმუნებული იყო, რომ ერთი და იგივე შაბლონური ფრაზებით, ბანალური ქათინაურებით და მდარე ოხუცეობით გადიოდა ფონს; სინამდვილეში კი მისი სასიყვარულო წარმატებები ბრგე აღნაგობასა და თავხედობას უფრო მიეწერებოდა. ამ თვისებებმა მის მსახიობურ კარიერასაც შეუწყო ხელი, ინტელექტის ნაკლებობას მომიერნი ნიჭიერება, სცენური გარეგნობა და თავდაჯერებულობა აესებდა. ერთხელ სექსუალური მისი პლატონის როლიც კი ისე დამაჯერებლად შეასრულა, რომ ავმა ენებმა თეატრში კლამპურივით გაუმეგეს: ჩვენს ლომს რომ სცენაზე ფილოსოფოსის როლში ვხედავთ, ფილოსოფიაზე წარმოდგენა გვეკარგებაო. ლომი-პეროდე მისასალმებელი შეძახილებით დახვდა მანსტროსა და რევისორს, შემდეგ პეროდიადას გადახედა და ფამილარულად შეჰყვირა: „სად ხარო, კაცო, სად. თუ გაღმობევიო თეატრში, რატომ არ დადიხარო, ალბათ, ჩემით გაშინებენ, არა? მე არც ისეთი

საშიში ვარ“, - არობროხდა იგი. - „მეც ასე ვფიქრობდი“ - აუბა თითქოს მხარი სცილით პეროდიადას. გამნათებელს სცენაც და დარბაზიც გაებრღვივებოდა. მანსტრომ მაგიდასთან მივიდა, გაიხედ-გამოიხედა ცარიელ დარბაზში. „ჩვენ ისევე კითხვა მოგვწევს, ჯოდა არ მოსულიყავი და არ გავგნათებინა“ - მიმართა გამნათებელს. - „მეუდროება არ არის, წაივლით ჩემს ოთახში“. ელისაბედმა სწრაფად წამოავლო ხელი საქადალეს. - „გარდა მაგისა, აქ ცივა, თქვენ კი თხლადა გაცივით“. მანსტრომ წამით შვერა სტაგისგზე შეაჩერა, რომელმაც არ იცოდა, ხელები სად წაელო. შემდეგ ლომს მოუბრუნდა: „დღეს აღარ ხართ საჭირო, თავიდან არ ღირს დაწყება, როგორც კი თქვენი ეიზობლები დრო მოაწევს, შეგატყობინებთ, ამ დღეებში გექსტავს დაგირიგებენ“. მანსტრომს ოთახში გყავის მოხერხებულ დივანში რევისორი და პეროდიადა მოეწყვნენ. მანსტრომ, ვიდრე თავის საფარძელში ჩაჯდებოდა, ნივთები და საქადალესები გაღალო იქვე მდგარ სატელეფონო მაგიდაზე. ტელეფონი გამოართო, სათვალე გაიკეთა, გამოართვა ელისაბედს დავთარი და კითხვა დაიწყო.

იოანე უდაბნოში გახვლას დიდი ხანია აპირებდა, მაგრამ სულ რაღაც გადაუღებელი საქმეები აბრკოლებდა. მოდიოდნენ გაჭირვებულები, მომხივანნი, შოგი რჩევის საკითხავად. შოვიც დამოწაფების სურვილით. ხალხში გაერყელებული აზრით, იგი დედის სამომხვე აღივსო სულწმიდით. მისი ვონიერება, შთაგონების ნიჭი, სამართლიანობა, პირდაპირობა, უნგარობა კი ყველასათვის ცნობილი იყო. მიუხედავად ახალგაზრდობისა, მისთან მოხვლას არ თაკილობდნენ უხუცესნი და მწიგნობარნი რჯულისა და საღმრთო საკითხების გასარჩევად. არავის ისტუმრებდა უახსოვოდ, ხლებოდა, ისეთი ინციმურ და წერილმანზე იხარჯებოდა მისი დრო და ენერგია, რომ მაგანნი, როცა თავის მნიშვნელოვან საქმეებთან ადარებდნენ, გაღიმიანებულები ხმამაღლა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, როგორ თუ იოანეს ასეთ წერილმანებზე აკარგვინებდნენ დროს. ხოლო იოანე დინჯად შეინშნაუდა ხოლმე, რომ წერილმანი პრობლემები არ არსებობენ, რომ ხშირად სწორედ წერილმანში იბუღება ეშმაკი. ბერი განაწყენებულიც რჩებოდა მისი პირუთენელობის



გამო, თუმცა მგრობამდე არ მიდიოდა საქმე-რამეთუ გულში იცოდნენ, რომ სცკუოდნენ და, როცა დრო გავიძლიდა, წყნად გაღაფრებოდათ. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც უკეთურ საქმეში ამხელდა, ხელს უშლიდა, მათ მძლავრობას მისცემოდა ვასაქანი. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ფარისევლები და საღუკუველნი, ესენი რჯულის, წინასწარმეტყველებისა და წმიდა წერილის იოანესებურ განსჯაში მკრეხელურ სიახლეებს ხედავდნენ. თავდაპირველად ეს პაექრობის სიყალბეში გაჯიუტებად და ჩუქმდრეკინვად ვლინდებოდა, რადგან ერიდებოდნენ გახმაურებას, დიდი იყო წინასწარმეტყველ მაქარიას ოჯახის უწმიკლო სახელი ხალხში. ამ ბოლო ხანებში კი, როცა გერარქმა პეროდემ, ანტიპად წოდებულმა, გალილეასა და პერეის მიუგმ, დიდი პეროდეს შვილმა, გული აიყარა იოანემ, უკმაყოფილო მღვდელმთავრები და მოშურნენი უკვე ხმაშლიდნენ გამოთქვამდნენ აღშფოთებას. პეროდე, რომელიც უწინ დიდ ანგარიშს უწევდა იოანეს, ახლა დაუფარავად მგრობდა იმის გამო, რომ იოანემ საჯაროდ დაგმო პეროდეს შეუღლება საკუთარი მძის ფილიპეს ყოფილ ცოლთან პეროდესთან. იოანე ამჩნევდა იმასაც, რომ მისი არაკეთილმოსურნენი სულ უფრო და უფრო არ ერიდებოდნენ მის საწინააღმდეგოდ დაწყებული ჭორებისა და ცილისწამების გავრცელებას. მითქმა-მოთქმის თემად ღვთის რჩეულის სახელის მიჩნეობა აირჩიეს, მკრეხელობა დასწამეს და ცრუმოწმეებს აშმაღებდნენ მის წინააღმდეგ. თითქოსდა ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, თუმცა მისი უდაბნოში გასვლის მთავარი მიზეზი მაინც იყო, რომ თვითონ აფორიაქებული ხვდებოდა იმ მოწყულ ეამს, როცა ღვთით დაკისრებული მისიის აღსრულებას უნდა შესდგომოდა. შინაგანად აღუხილი უდიდესი ენერგიით, მოულოდნელად საიდანღაც შემოარულ მერყეობას ჩაველო საგონებელში. მრავალი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა წინასწარმეტყველ მთავრ მიითითებელი ვითარება თითქოს უკვე წარმოჩენილი ჩანდა, გარნა თვით იოანე არ ფლობდა კონკრეტულად უფლის მიხმუნებას. უფრო მეტიც, ვერაფრით კავშირდებოდა ღვთიურ ძალებითა, მიუხედავად იმისა, რომ მთელ დღეებს ლოცვა-ვერებაში ატარებდა, მარხულობდა, კვლავ და კვლავ ჩაჰკირკი-

ტებდა სიგვეხისიგვეით ნაცნობ წერილის ტექსტებს, კიდევ ერთხელ ადარებდა მათ, ხატოვანი გამოთქმების ყველა შესაძლებელ განსჯას ითვალისწინებდა. ძილის წინ, მსგავსად ჩამოხანალი ჭკუვისა, თავიდან იცილებდა ყოველდღიურიობად გამოყოფილ შფოთის ნაკამალს. შესთხოვდა უფალს, მოეღვენოდა ხილვა, სიმშარი, სასწაული - რაიმე ნიშანი. ვამთენიას ხანმოკლე ძილით მოტაცებული სიმშარისეული აბდაუბოდან ცდლობდა აზრი გამოეგანა, მაგრამ ყველა მისი შეკადნიეობა ამაო ჩანდა. უფალი დეჰდა. არაფერი ისმოდა კონკრეტული მოვლენის თაობაზე. მართალია, ჯერ კიდევ ბავშვობაში მშობლებმა ჩააგონეს, რომ დედა ელისაბედის ნათესავის - მარიამის შვილი იესო უნდა ყოფილიყო ემანუელი, მაგრამ არც წმინდა წერილში, არც მამა მაქარიას მიერ არ მქონდა განსაზღვრული უფლის განჭვრეტის აღსრულების ვამი, არ იცოდა, როლის უნდა გადასულყო სახელდებულად მოწოდებამე; ნაადრევი ხომ არ იქნებოდა მისი ქადაგებანი, ხომ არ ჩაითვლებოდა მოვლენების წინწასწრების მცდლობად. კანდიერებად უფლის თვალში?! მისი მშობლები მხოლოდ მოწიწებით ეხეროდნენ ამ საკითხს - მიხმუნებოდა და ქარავებოდა. გამოდგოდა, რომ ეს თავისთავად უნდა აღსრულებულიყო. იესო, რომელიც ჰყავდა ნანახი ყრმობისას, აღარსად ჩანდა, არაფერი ისმოდა მის შესახებ; იქნებ რაღაც გამორჩათ წინასწარმეტყველებს, იქნებ სულაც სხვა მოვლენას უნდა დაკავშირებოდა იოანეს მისია, ხოლო მამის ყველაფერი თავდაყირა დგებოდა, ამის გაუიქნება კი თავმარდამეცემა ქაოსის შვერძნებას უგოებდა, მკრეხელური ქმედების ნაიარევივით ქნჯანდა. ისევ და ისევ უბრუნდებოდა იმ ნეტარი ეამის მოვონებებს, როცა ბავშვი იესო მათთან სკუმრად მოიყვანა დედა მარიამმა, გულში თბილ იმედად და სისარულად ევებოდა სურათი, როცა მამა მაქარიას თანდასწრებით კითხულობდნენ ფსალმუნებს. მამის ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, გინდაც იესოს წინასწარ სცოდნოდა მამა მაქარიასგან შესასწავლად დაგალებული წერილის მთელი თავეები, თუ ერთი თვალის გადავლებით შეეძლო მკობრად წარმოეთქვა ისინი. ახლა იოანეს ედიმებოდა ადამიანის უბნების თავეკრძობის გამო, ხოლო იმ ხანობას ოდნავ ეჭვიანობდა. პოდა,

თუკი მაცხოვრის შეიძლება შემურდეს ადამიანს, მაშ, ადამიანის რომ შემურდეს, რაღა გასაკვირია. ხშირად ხდება, დღი, მინიმენლოვანი საქმის გადასაწყვეტად სულ სხვა უმნიშვნელო ამბავი ვიბძებებს. ამ რამდენიმე დღის წინ იოანე სასახლეში დაიბარეს. უწინ, როცა პეროლეს არახეთის მეფის არევის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად, ბერჯერ მიუწვევიათ სასახლეში და მრავალი კეთილი საქმე გაკეთებულა მისი რჩევით. მიუხედავად იმისა, რომ პეროლე ანგია პეროლე დიღის შვილი გახლდა, მეფისა, რომელმაც ჩვილია ულეგა მოაწყო და სხვა მრავალი უღმერთობანი ჩაიდინა, იოანე მაინც ცდილობდა, როგორმე აეცდინა იგი მამისეულ ბოროტ გზას. ამჯერად იოანე სადიაციოში პეროლიდასთან მიიყვანეს. საჭურისი ემოს კართან შეეგება, აუხსნა, რომ თვით პეროლე პერეიაშია საქმეზე წასული, ამიგომ მას პეროლიადა მიიღებდა. სადიაციოს სახლის კბესთან, რომელიც მთავარი შენობის უკანა მხარის გაგრძელებას წარმოადგენდა, საჭურისი ნესტოში რგობიყრილმა მონა-ქალმა შესცვალა. იოანე ისედაც უხალისოდ მიდიოდა პეროლესთან შესახვედრად, დარწმუნებული, პეროლე აწი ვეღარაფერს შეიგებდა, რომ მასში იმძაფერა მამამისის ბოროტმა ფესვმა, მაინც მოვალეობად ჩათვალა, კიდევ ერთხელ ემხილებინა, ცდილიყო, ცოლავთა სინანულისაკენ განეწყო, ვინძლო გასცოლდა საკუთარი ძმის, ფილიპეს ცოლს - პეროლიადას, რომელიც, აი, უკვე მეორე წელია გადაღეოლუა.

პეროლიადასთან შეხვედრა კი გუმანით კარგს არაფერს უქალდა. ერთი პირობა თითქოსდა მოისურვა შემობრუნება, მაგრამ საქმე ასე თუ ისე ქვეყნის ბედ-იბდალს ხებოდა. არა კაცმა არ უნდა ჩაიღიროს სიბილწე, რომელიც სძულს უფლას, განსაკუთრებით მეფემ - ხალხის მიწიერმა მმართველმა არ უნდა გაამრავლოს თავის ცოლვა, ვინაიდან მეფის ცოლვა სცილდება მის თავს. გარდა იმისა, რომ ეს ბოროტმოქმედება იყო, დიდ არეულობასაც მოასწავებდა. არახეთის მეფე არუჯა არ აპატიებდა მისი ქალიშვილის შემარცხენელს, დროს იხელთებდა თუ არა, აუცილებლად დაარბევდა გალიღეიას - შურს იძიებდა. ამიგომ იქნებ ერთხელაც ეცადა ან თვით პეროლიადას მოქევა გამხლარიყო შესაძლებელი, მითუმ-

ეტეს, რომ ამ მხრივ იგი ჯერ არ გარჯილიყო. პეროლიადა არ უნახავს და არსად შეხვედრია. ის ფუჭი იმედი და ოღნავი ცნობისმოყვარეობა, რომელიც გამართლებული ეგვენებოდა, სანანებელი გაუხდა, როგორც კი მონა-ქალმა ოთახში შეიყვანა. ერისბრძლიან დიდ ხიერცემი სინთიღე იკარგებოდა და ეერ მიხვედრის, რა იყო ეს - სათადარიგო დარბაში თუ დერეფნის მოვალეობის შემსრულებელი გიხარი. არც საძილე ოთახს ჰგავდა, მიუხედავად იმისა, რომ კუთხეში მდგარ დაბად გყავის ტახტზე მოქარგულ ბალიშებში ჩაფლული ქალი იწვა. ირველი ბრინჯაოს სკივრებსა და გყავის საფარძლეში უწესრიგოდ ეყარა მოსასხამები, ხალათები, თავსაკრავები, პერანგები, ყელსაბამები, სამაჯურები, ბეჭდები, სუნამოს ჭურჭელი, დიდი და პატარა სარკეები. იოანემ აქაუნობა საგარდერობო, საძინებელ ოთახს მჯერილ სათავსოდ წარმოიღვინა; ტახტზე ლოჯინად ჩაწოლილი ქალი პეროლიადა გამოღდა. ცხადია, ეს გამიზნული თავხედობა გახლდათ, არაფერად ჩაგვება, იქნებ მძაბური, ვითომ ვაშინაურებაც. მასპინძელი, დიაცი ლოჯინში იღებდა პირველად მოპატივებულ სტუმარს. თუმცა იოანეს ამჯერად სულაც არ აღედეგებდა ტრადიციული წესების დაუცველობა, არც უმრღველობა ლახავა მის თავმოყვარეობას, - უბრალოდ, ბოლო იმედიც გადაეწურა. პეროლიადა წამოიწია, ოქროს ძაფებით მოოჭვილი თხელი საბანი გულმკერდზე აიფარა, გამჭვირვალე პერანგის შემოდან გადაცმული მოკლემკლავებიანი ხალათი ეცვა და იმის საშიშროება არ არსებობდა, სომიშველ გამოიჩნოდა. და მაინც, ეცყობა, პრანკია მიხრა-მოხრის ჩვეულების გამო ან იქნებ სულაც გამიზნულად ხანი გაუსვა ურთიერთობის ინტიმურ მომენტს, წაიდუნდა დამტკბარ-დაყენებული ხმით: „ბოდიშო უნდა მოგიხადოთ, შეუძლო ვარ“. იოანემ ორამროვნების გარეშე, მთელი სერიოზულობითა და სიწრფელით უპასუხა: „განა ავადმყოფობაზე შეიძლება გაჯაერება“. ხოლო ვავადმყოფობაში არა მის უმრღველობას ეუღლისხმობდა - ყველა ცოლდილს, რომელსაც არ სურდა ზონახიება, სულიერ ავადმყოფად თვლიდა. მაშ, სხვაგვარად როგორ უნდა გამართლებულიყო ცოლვაში გაკერება, წარმავალი წუთიერებისათვის მრავლილ საგანჯველში შეგნებულად ჩაეარდნა.



ნელსაცხებელი ან მდემკეი ფერ-უპარილი მოლივლივეს ხდიდა პეროლიადას სახეს და მკრთალ შუქზე ნაკეთების ხეირიანად გარჩევის საშუალებას არ იძლეოდა. მბრწყინავი თვალების შავი კვეთით დაღუმებული მშერა იოანემ იყო მიბჯნული. დაფერილი ბრინჯაოს ღომისფერებანი შავი ხის საყარძელი ლოგინთან ისე ახლოს დაუდგეს, ვინდაც მართლა ავადმყოფის გასასინჯად მოამზადესო დოსტაქარი. პეროლიადა დაელოდა, ვიდრე ოთახიდან მახურნი გავიღონენ. მის დანაკვერჩხლებულ თვალებში ცეცხლი შიინავდა და განაზებულად იკითხა: „რაგომ გაგვინაწყენდით, მოძღვარო, მე როგორც ვიცი, ჩემს ქმართან კარგი ურთიერთობა გქონდა ერთ დროს?“ - „ქმარში ვის გულ-ისხმობ?“ ნაკვერჩხლები გაღვივდნენ; - „ვის უნდა ვგულისხმობდე, რასაკვირველია, ჩემს ქმარს, ანგიაა პეროდეს“. - „ურჯულოთაა, ფილიპეს ცოლი გახლეს მისი ძმის პეროდეს ცოლი“. - მკეახედ თქვა იოანემ. პეროლიადა, ეგყობა, ასეთ პირდაპირ ლაპარაკს არ მოელოდა, შემოვლითი საურისათვის ემზადებოდა, ახლა კი შემონახული ბლომ არგუმენტის მოშველიება თავიდანვე მოუხდა: „მამ, სახეში შემეფურისებინა პეროდესათვის და ჩვენს სახლს ფეხშიშველის სახელი დარქმეოდა?“ იოანემ ირობიულად გაიღიმა, რადანის თქმას აპირებდა, პეროლიადამ არ აცალა: „სწორედ მაშინ ვიქნებოდი რჯულის დამრღვევი“, - ლოგინიდან გამოხგა, აქლარუნდნენ მისი ფეხსამკაულები, შიბები. ეს იმას აბასტურებდა, რაც იოანემ შემოსვლისთანავე გაიფიქრა. პეროლიადამ ავადმყოფობა მოიფინა და ლოგინში სახელდახელო შეწოლილი იმიტომ დახედა. „მოიგანეთ სანთლები!“ - შემოპკრა ტამი. - „აი, აქ მეორე რჯულის კანონში სწერია“, - გამოაძვრინა მარჯველ თავსაბურების, მანდალების, პერანგების გროვიდან პაპირუსის გრგვინილი, ეჭვი აღარ იყო, წინასწარ ქქონდა მომზადებული. - „ნუ ირჯები, მე კარგად ვიცი წერილი: მამლს მხოლოდ მაშინ შეუძლია ძმის ქვრივთან, თუ უშვილოდაა დარჩენილი, შენ კი შვილი გაყეს!“

- „ის დიაცია!“ - აუწია ხმას პეროლიადამ.
 - „იქ წერია „პირმშო“, - გაიღიმა იოანემ, ვინდაც პეროლიადას ესოღენ ნაკითხობით ნასაბოვნებმა. შემოიგანეს ახლად ანთებული პარპალა სანთლები. სიფრიფანი ფარ-

თო კაბაში პეროლიადას შიშველი განი გატაცლებულ ქანდაკიეთი გორგმანებდა, არც კი უცდა შეეკრა მუქი შინდისფერი მოკლეკლაკებიანი წამოსასხაბი - „პირმშო, პირმშო!“ - გამოაჯავრა იოანე - „პირმშო, რა, დიაცია? ის ხომ მაშინ სახელს ვერ გაგარდლებს, ჩემი რა გაგიკვირდაი, თამარი ძვერ ერთ ძმასთან, მევე მეორე ძმასთან, მევე მამამთილთან ცხოვრობდა და ლამისაა წმინდანად გყავთ გამოცხადებული, მაინცდამაინც მე მომდექით?“ - „თქვენ ჯერ კიდევ ფილიპეს სიცოცხლეში შეეღვლით“. „სგყვი!“ - იყვირა პეროლიადამ. იოანე დაუმშვილებულად გამოვიდა ოთახიდან, „მაგათ ჰკონიათ მარტო მაგათ იციან წერა-კითხვა, თქვენ ასე აგყუებთ და აბუნგებთ ხალხს“, - მიაყვირა ანხხლად უკვე კიბეზე ჩამავალ იოანეს.

მაესტრომ კითხვა შეაჩერა. სათვლელ შუბლზე აიწია: „საჭიროა, რადაკეუბი გავერკვეთ“ - თქვა და მშერა ახლად მოვლინებულ პეროლიადაზე შეაჩერა, თუმცა, ეგყობა, მას ვერ ხედავდა, არადა, სწორედ მან დაასწორე ვეყვლა: „მაესტრო, უნდა გამოცეცყეთ“ - ღიმილით დაიწყო მან - „არც მეორე რჯული რა არის, არ ვიცი, ბიბლისთვის ხელი არ მიხლია“ - „არავითარ ამინდში, როგორც პოეტი იცყოდა, არა?“ - ჩაურთო მაესტრომ. „ღიბ. პოდა, მაინგერესებს, რა შეიძლებოდა და რა არ შეიძლებოდა მაშინ და რამი ედება ბრალი ჩემს პეროლიადას?“

„ამაში არაფერია გასარკვევი“, - ჩილაპარაკა რევისორმა. „დამოსავლეთის ხალხებს ახასიათებთ ეს მზე-ჩვეულკა: რძალი თუ დაქვრივდა, უცხო კაცს კარეთ არ უნდა ვაპყვეს. ფეხშიშველის სახელი კი რაგომ ქქვია, ეს არც მე ვიცი“. - „ებრალების რჯულის კანონში წერია: თუ არ სურს მამლს თავის რძლის ცოლად შერთვა, მაშინ ქვრივი ჩივის ქვეყნის უხუცესებთან, მათ თანდასწრებით გახდის მამლს ფეხსაცმელს და სახეში შეაფურთხებს“, - მოუკიდა პაპიროსი მაესტრომ და ღრმად შეისუნთქა. „პოდა, რას ერჩით ამ საწყალ ქალს“, - კვლავ გაიღიმა პეროლიადამ, - „მას ხომ შვილი ჰყავდა“ - გააწყვეტინა რევისორმა - „ქალიშვილი?“ - იკითხა ისევ პეროლიადამ. - „სულ ერთია, „პირმშო“, ასე ყოფილა დაწერილი“. - „მე პრინციპში ვამბობ და არა რაღაც პირობითობას გგულისხმობ, პრინციპში თუ კი ეს დასაშვებია და ის ვიღაც თამარი ძმების



გარდა კიდევ მამამთილთან ცხოვრობდა, პეროლიადას დანაშაულს ვერ ვხედავ“. - „მთავარი აქ ის არის, რომ ისინი ძმის, ფილიპეს სიკვდილამდე ურთიერთობდნენ“, - განმარტა მაესტრომ. - „ისე, ბოლოს და ბოლოს, საერთოდ ყველაფერი პაპობითობაა“. კვლავ დრმაღ შეისურნქა პაპოროსის ბოლი და განაგრძო: „მე აქ სულ სხვა რამ მაინტერესებს, რატომ დაიბარა იოანე იმ დროს, როცა პეროლე შინ არ იყო, თანაც მიიღო სად? ბუღუარში. იყო ეს, როგორც იოანემ მიიჩნია, დასამციროვლად, არაფრად ჩავგებად გამიზნული საქციელი? რატომ მოიავადმყოფა თავი? ასეთი ვითარება, როცა ერთი მხარე წვეს თავისი შეუძლებლობის გამო, მოპაქერე მხარეს უხერხულ მდგომარეობაში და, ამრიგად, წამგებიან პოზიციაში ავდებს. ეს ცნობილი ხრეკია. მაგალითად, ირანის პრემიერ-მინისტრი მოსსად-იკი ყველა მნიშვნელოვანი ორმხრივი მოლაპარაკებისას თავის ფიზიკურ ნაკლებ და ავადმყოფობას იყენებს და პარტნიორს საკაცეშე ნახევრად წამოწოვლით იღებდა, ამ შემთხვევაში რაღაც სხვა ამბავია“. ამდენ ხანს უსიგყვოდ მჯდომმა ელისაბედმაც გამოთქვა თავისი აზრი: „ამ შეხვედრით იგი იმედოვნებდა, გადმოებირებინა ან, უარეს შემთხვევაში, გაენიგრალებინა იოანეს აგრესიულობა“. - „მით უმეტეს, იცოდა, თუ როგორი შეგავლენა ჰქონდა არა მხოლოდ ხალხში, არამედ თვით პეროლეგებაც“, - გაამაგრა ეს შეხედულება რეისორმაჟი. „ეს კი, მაგრამ რისი იმედით, ნუთუ ბიბლიის მქადავითნობაში იოანეს აჯობებდა - გრაგნილი რომ მოიმზადა?“ - მაესტრომ პაპოროსიანი ქვედა გუჩი გადმოკიდა. „იქნებ ჯობნამე არ იყო საქმე, გასასამართლებელ საბუთად ხომ მაინც გამოვგებოდა პირშმოსა და ქალიშვილის არგუქმებები, ბოლოს და ბოლოს, გაუგებრობის გასათამაშებლად“ - შეეწია მაესტროს პეროლიადა. - „ესეც, რასაკვირველია; მაგრამ ბუღუარი, განათება, ლოგინში გამოპრანჭული შეწოლა, ქალური კომირების გამოყენება“ - დაუბრუნდა თავის კითხვას მაესტრომ. - „ომ! არა, მაესტრო, არა, ჯერ ერთი, რის ბუღუარია, ეგ მოსამსახურეთა ოთახია, ალბათ, მერედა რაზედაც თქვენ ეჭვი გაქვთ - გამოირიცხულია, თუკი იოანე სიცოცხლეშივე თითქმის წმინდანად მაჩინდათ“, - თქვა დაბეჯითებით რეი-

ეკავა, ცალი ფეხის წვერზე შემდგარი და მორე ფეხით გრაციოზულად გაწონასწორებული ტანით წინ ვაღახრილი, აღგზნებული მშერით მისჩერებოდა მისთვის სინზე მორთმულ გასისხლანებულ წვეროსანი კაცის თავს. წახატმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სასწრაფოდ ბიბლიური ზღაპრის დეტალებით დაინტერესდა, მისი წარმოსახვა სალომეამ წარიტაცა. სახარების გექსტის ორიოდ ტუნწი ფრაზა მის ფანტაზიას ვერ აძმაყოფილებდა, არ სურდა, დაეჯერებინა ისიც, რომ ეს დედის დავალებით მოითხოვა პეროდიადას ქალიშვილმა იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავის მორთმევა. აქ განსაკუთრებულ და პირად მოტივთან ერთად რაღაც დრმა ინსტინქტები იმალებოდნენ. და ახლა, როცა მაესტრომ შესთავაზა სალომეას როლი, დიდი სიამოვნებით დათანხმდა, თანაც მოითხოვა რაიმე მასალები, ლიტერატურა მისი ირვვლევი, თუ ვინ იყო ეს სალომეა. მაესტრომ მრავალმხინველოვნად გაუღიმა, დასაწყისისათვის უაილისი პიესა გაუწოდა და სარეპეტიციო ოთახში შეიყვანა: - „აი, ჩვენი სალომეა“, - წარუდგინა მაგიდასთან შემოკრებილ მსახიობებს. რეჟისორი და პეროდიადას როლის შემსრულებელი მისი ნაცნობები გამოდგნენ, ლომის შესახებაც, რომლებიც ახლაც რომ იბრძებოდა და თვალებს ატრიალებდა, რაღაც ჭორები ჰქონდა გაგონილი, თუმცა პირადად არ იცნობდა. „ვიდრე თქვენ მოხვიდოდით, სწორედ თქვენს ეპიზოდზე გვექონდა სჯა-ბაასი“, - განაგრძო მაესტრომ და შინაურულად გვერდზე მოისვა. რეჟისორი, ეკვობა, შეწყვეტილ კამათს დაუბრუნდა: „რაც უნდა თქვათ, მაესტრო, სალომეას მოქმედებას ვერავითარ ფიქლოგიურ ახსნას და, აქედან გამომდინარე, ვერც გამართლებას უკავის მისი როლის შემსრულებელი“. - „რომ, ჯერ ერთი, დედის შიშის გამო შეეძლო ეს ჩაედინა. პეროდიადა, როგორც ენახეთ, დაუნდობელი, ვერავი და შეუპოვარი ქალაი, მეორეც - სალომეა, ეს ხომ არცისგია სრული ამ სიგვეის მნიშვნელობით, მისთვის უშთავრესია ეკევა, თამაში, მისი აღმაფერხის უტიტიგარული შედეგი მისთვის სულერთია, მას ასეთვე განურჩევლობით შეეძლო რაზე კეთილმოხილური მოეთხოვა პეროდესათვის, თუგინდ იფივე იოანეს პათავისუფლება. მისთვის მთავარია თვით ბროცესი, მაცურებლის

აყვანა, გადმობირება, გარდმოსახვის, თანაღმობის აქტი“.

- „მითუმეტეს, რომ პეროდეს სხვა მზაკერული მიზნებიც, ალბათ, საიდუმლოს არ წარმოადგენენ მისთვის“, - თქვა ღრვითი ლომმა და ვნებიანად, მოწყურული თვალები ბალერინას მიადგინა, რამედაც საპასუხო, გამანადგურებელ მშერას წააწყდა.

- „შესაძლოა“, - მოკლედ მოუჭრა მაესტრომ და განაგრძო: „თამაშით თვალდაუწყება, დაჯერების მომენტი - აქ მორალური ან სხვა გონებისეული პრაქტიციზმი გამოირჩეულია; უდიდესი ბალერინები მისტიკურ ქმნილებებს ჰგვანან. ეკევის კულმინაციურ მომენტში ირაციონალურ სამყაროში მიფრინავენ. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ეკევა თავისი საწყისი ბუნებრივი ფუნქციით სექსუალური აქტის აგრძელება. ასეა ფრინველებში, ცხოველებში, ქვეწარმავლებში, ცხოვერებაში და ადამიანებშიც. ეკევას არა მხოლოდ სიცოცხლესთან, სიკვდილთანაც პირდაპირი კავშირი აქვს. განა გვეუბრუნებოდით მიუკეთებთან ყველაზე შთამბეჭდავ კლასიკურ ბალეტებს „გედის ტა“, სენ-სანსის „გედი“, „სელფიდა“. „თქვენ ვვარი გწერიათ, ჩემო კარგო“, - მოუბრუნდა მას - მაგრამ დიდი მოცეკვავენი გამოჩნეული ტრაგიკული ბელსიანი არიან. მაგალითად, გრეცა ცელერი, კურტიზანკა და შპიონი, გაგვიანთ? ეს ულამაზესი და უნიჭიერესი არსება 1917 წელს დახვრიტეს, წარმოიდგენიათ? მას უწოდებდნენ „მატა პარის“, მალაის ენაზე დღის თვალს ან მშეს. მან არამარტო თვითონ შექმნა საკუთარი თავი, როგორც დიდად მოცეკვავემ, თავისი ბიოგრაფიაც თვითონ შეთხზა. ვითომც დედამის ინდოეთის პრინცესა და მამა ინგლისელი ბარონი იყო. სინამდვილეში პოლანდიელი შედლებული ოჯახის შვილი გახლდათ. ფანტაზიებით ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე ყვებოდა, ვითომც ეკევა ინდური ღვთაების, შივას საკურთხეულის წინ შესწავლეს. გკუილი! მისი მართლაც ღვთაებრივი ხელოვნება ფანტაზიის და ვარჯიშის საკუთარი სისტემის ნაყოფს წარმოადგენდა, მთავარია წარმოსახვა, დაჯერება, შეგრძნება, ბოლოს და ბოლოს ეს არის სიცოცხლე, თორემ თვით გვაში, ცხედარი არაფერია ჭეშმარიტი ხელოვანისათვის, შემოქმედისათვის, იმიტომ ჰქვია მას შემოქმედი, როგორც ღმრთობისათვის დღეები და საუკუნეები კი არ არსებობენ,

არამედ არსის განმსაზღვრელ ქმედებათა ერთობლიობა, სულიერი კავშირების შედეგად, არაა, ქმედითი სიგჳა და არა ფიზიკური მობრძობა დროსა და სივრცეში“ - მაშ, რა ვუყოთ სამი ერთიანობის კანონს? - დროსა, სივრცისა და მოქმედებისა? - იკითხა რევისორმა. - ბუალოს, კორნელის, რასინის და სხვათა თეორიები პროკრუსტეს სარეველია თუაგრძი, ჩვენ დროს და ჩვენს ქვეყანაში ფორმალისტებად მონათლავდნენ, რაც არცთუ მთლად უსაპართლო იარღიყია მათთვის. კაცობრიობა შედგება არა მხოლოდ ცოცხლებისაგან, არამედ გარდაცვლილებიდანაც, რომელნიც ყოველთვის უფრო მეტი იყვნენ და მომავალშიც სულ უფრო და მეტი იქნებიან. არაერთხელ მითქვამს, ყველაზე ძნელია მათთან კამათი, ისინი თავის მოსაზრებებს არ იცვლიან. არადა, უგულებელყოფით ვერაფერი შეიქმნება. მხოლოდ მათთან პაექრობით და წარმოსახვით შეძლება ჩვენს ყოფიის დროს გაექვე. შლიმანმა, რომელსაც ეგონა, გროას მეფის საგანძური იყო მისი აღმოჩენა, საკუთარი ცოლი ბერძენი მშვენიერი ელენეს სამკაულებით შემოსა, ეამბორა მას და ასე გადაიანცვლა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-12 საუკუნეში. ჩვენ გავიხსენოთ მაგა პარი, მე იგი პარიში 1912 წელს ვიხილე. შიშველი ცეკვადა, მაშინ ეს გაუგონარ სენსაციად მიიღო საზოგადოებამ. მუცელზე ეხატა შავარშიებიანი გადაშლილი ყაყაჩო, ჭიპი კი ყაყაჩოს გული იყო. მისი ეპოტიკური მოძრაობები ვრაციონულობისა და ვნების ნაერთი იყო. დახვრიტეს - წარმოგიდგენიათ? - მოულოდნელად ხმა აუკანკალდა მაესტროს, - „თორმეტი ტყვია პქონდა მოხვედრილი მის მშვენიერ ტანს. - აბუეგებ! დახვრტიცხას უარი განცხადება თვალების ახვევაზე. ორივე მხარეს - ფრანგებისა და გერმანელების მხარეს ჯამუშობდაო. ვესმით თქვენ, ორივე მხარეს! ეს ხომ თამაშია? მსახიობი, არგისტი თამაშობს და ამით იგი ბავშვობას უბრუნდება, ბავშვობა კი იმით არის მიმზიდველი და დაუეწყარი, რომ ცხოვრების სერიოზულად აღქმას თამაში ურჩევნია. რა უნდა გაეცა ისეთი ან რა მნიშვნელობა აქვს ახლა იმას, რამდენი, ბოდიში და, გლიანი ჯარისკაცი ჰყავდა გერმანიას და რამდენი გარბამანი პქონდა საფრანგოს? იდიოტები!“ - „თვალეები არ აახვევინა?“ - შემინებულმა აღფრთოვანებ-

ით წამოიძახა სტაგისგმა. სიხუქე ჩამოვარდა, მაესტრომ სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცი გაიწმინდა აწყლიანებული თვალეები და დაზნაშავის ტონით განაგრძო: „ამბობენ. ფრანგი დიდი ჩინის ოფიცერთან ცხოვრობდა, იმავდროულად გერმანელთანაც და ვერ გაიყვესო“. - „რა ბედი ეწია ჩემს პეროლიდას“, - იკითხა ჩრდილში მოქცეულმა პეროლიადამ. „ჩემს სალომეასაც“, - გაიყინა ბალერინამ: „გადმოყვით სალომეა გაყინულ მდინარეში ჩავარდა და თავი ყინულმა მოკვეთა“ - მაინც ვერ მიიქცია მისი ყურადღება პეროლიადამ. „ეს ხომ ღვთაებთა შურისგებაზე მეტყველებს, პასუხია იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილ თავისა“ - ჩაუროო რევისორმა. „აღბათ, აღბათ, ასე აისიღორა დენკანის გრაგიკულად დაღუპეა შურისგებას უნდა მივაწეროთ... იგი ესენინის სიკვდილის მუსგად წლისთავზე ნიყაში, სპორტულ მანქანაში გასეირნების დროს საკუთარმა თავშაღმა დაახრჩო, რომელიც პოეგის ნაწუქარი იყო და საბურავმა ჩაიხვია. აი, კიდევ ერთი ბრწყინვალე თვითნასწავლი ხელოვნების გენიალური ნიმუში“. - „კვლავ აენთო მაესტრო და უცებ ანცადა განაგრძო: „სხვათა შორის, სტანისლავსკის მიმართ ვერ იყო გულგრილი. ერთხელ იფიქრა თურქი, ცეკვით მოვაჯაღოებო და შესთავაზა, ვიცეკვებ თქვენს წინაშეო. სტანისლავსკი ადფრთოვანდა და სასწრაფოდ თავის ცოლს ლლინას დაურეკა, ჩქარა მოდი, აისიღორას სურს, თავის ნაწუქვარი მაჩვენოს - შიშველმა უნდა იცეკვოსო“. - ყველას გაეყინა. მაესტროსთან თუაგრძი პირველი შეხვედრა და გასაუბრება დამთავრდა. ახლა ბალერინა კმაყოფილი იყო საკუთარი თავით, რომ დამშვიდობებისა გააფრთხილა, იქნებ ჩემი ნომრისთვის მუსკა უჩემოდ არ შეეკვეთითო, რისი პირობაც აღუთქვა მაესტრომ. თავის დროზე, როცა ფერწერული სურათის ნახვის შემდეგ დაინტერესდა ამ ბიბლიური შლაპრით, სახარების მონაბირობით სახელი სალომეა ვერსად აღმოაჩინა და ძალიან დაინტერესდა ვინ და სად შემოინახა მისი სახელი. მაესტროსგანაც ვერ შეიგყო ეს, სამაგიეროდ, მასთან საუბარმა სერიოზულად დააფიქრა.

უაილის პიესა გადაიკითხა, ცოცხა რამ გასაგები გახდა, სალომეას ბოლო სიგჳებმა თითქოს გულის სიმები შეურხია: „აჰა! მე ვეამბორე შესნ ბაგეს, იოქანან, მე ვეამბორე

შენს ბაგეს. შენს ბაგეს ჰქონდა მძაფრი გემო, იყო ეს გემო სისხლისა? შესაძლოა ეს სიყვარულის გემო იყო“. თუმცა მაინც სქემ-აგური და ერთფეროვანი მოიქევნა სალომეას ვნება. ბალერინას სისხლიან და მოკიდებულება რაღაც მისტიკური ჰქონდა, სისხლი მისთვის წმინდა საწყისიდან მომდინარეობდა, ყოველი არსების კინეტისეისა შეიქცევა; ადამიანის ხორცი და ძვალი ხომ შედგებოდა და არა მხოლოდ სიცოცხლის მიუღსაიდუმლოებას წარმოადგენდა, არამედ ქვეყნიერების ჩქევის გამოვლენებასაც. წიგნი გადალო, მომავალში შეეცდებოდა, ჩაღრმავებოდა პიესის ტექსტს, ამკურნავდა არაფერი გამოდიოდა, ყურადღება უფანტებოდა. ამ გაღმოსახლება ამ ხლო მომავალ სინამდვილეს მოსთხოვა თვალის გასწორება. მართალია, თავისი ჩეკისტის სიყვარულში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ის, რომ ვერა და ვერ ელვება ოჯახს, თავიოყვარებობაზე მოქმედება და ყოფისმიერ უხერხულობაზე აგდება. უკვე პოპულარული პრინმა-ბალერინა გახლდათ და მისი რენომეს საბოლოო დამკვიდრებას გრადიციული გაფორმება ესაჭიროებოდა, თუმცა, სიქე საქმეზე რომ მისულიყო, ჯერ არც შევლის გაგნისა და არც ოჯახის შექმნის სურვილი არ გააჩნდა. დიდხანს იგრიალა ლოგინში, ვიდრე ძილი მოიტაცებდა, თუმცა მერეც რამდენჯერმე რაღაცამ შეაკერთო, ბოლოს კვლავ გელეფონის გაბმულმა მარმა გამოაფხიზლა. რეკავდა ჩეკისტი: „რა, დაყრუვდი?“ - „შენ ხარ?“ „მე ვარ და გირეკავ აგერ ნახევარი საათია ქუჩიდან, ვაბრახუნე, დაჯანჯრე იქაურობა, ვერაფრით გაგაგონე“. - პო? ჩამძინებია, რომელი საათია, გათენებულა“. - „რევა, მოვიდვარ, აქვე ვარ ქუჩის კუთხეში“. ბალერინამ ძლივს მოასწრო აღგობა და პენუარის მოსხმა, როცა კაკუნი გაისმა. „რამ დაგაძინა ასე უგრძობლად“ - თქვა უკმაყოფილო ჩეკისტმა, თვალეზნაცვნილმა, მგერაარეულმა - „ადარ მეგონა, რომ მოხვიდოდი“. - „ვიციდი, სადამომდე თავისუფალი ხარ, მეც 7 საათისათვის დავაღწიე თავი. დარწმუნებული ვიყავი მოუთმენლად მელიდი. მანქანა გაეშვი, ამოვედი და დავრინი ქუჩაში“. ჩექმეი გაიძრო, ცხავის ქურთუკი მიაგლო სკამზე, საათი მოიხსნა და აბაშანაში გაქანდა. ბალერინამ ფარდების თოკებს ჩამოკერა

ხელი, ოთახში მგემ შემოხანათა. კედლის საათის ისრები, ისევე, როგორც წუხელ, სამის თხუთმეტი წუთით ნაკლებზე ვაჭიმულიყვნენ. ჩეკისტი ნახევრად სველი პირსახოციმარჯველული გამოვიდა, გაბრაზებულმა ფარდები ჩამოშვა და ბალერინას ცეკა კონით ხელში ატაგებული ლოგინზე მიაგლო. „რა ხდება“, - კუჭკუჭა სიცილით ვითომც იგერიებდა - „კარები დაქვე?“ - იკითხა, პენუარი გაიძრო, პერანგი გადაიძრო, გამოშვალა. - „აქ არავინ მოვა, მოფერი თორმეტისათვის დავიბარე“, - ფრთხილად მოხვია ხელი ჩეკისტმა. შენელებული მოძრაობები, ტანის თითოეული ნაწილის მშვენიერების წარმოჩენა, ნარნარი გამოთლიანება, გრაციოზული მხეცი, მზარდი ენერგიული ტრიალი, წამიერი პაუზა, ცეცხლოვანი გამოერება, სიმშავეში გადამრდილი თავდავიწყება და უკვე გაქევაება. შავარშიებიანი წითელი ყაყაზო, შემზარავი მოლოდინის სიჩუქე, ფრთხილად გამოილი კიდურები, თრთოლი, მისი უკანასკნელი სხვივით მინავლებული არაამქვეყნიური სიმშვიდე, გარდასახება, თავის დაღწევა... კარზე კაკუნმა გამოადიდა ისინი. ჩეკისტი სკამზე მივლებულ საათს გადასწვდა მანგად. „მძლილი“, - თქვა და ჩაკმა დაიფყო. ბალერინაც ლოგინში წამოკადა. „შენ იყევი, მე მოვედარი, ალბათ, პურ-მარილი მოიგანა, დაეუბარე. ბაშარსა და რესტორანში ვაველო, ბუმბარაქი ხომ უნდა აღვნიშნოთ“. - „ბუმბარაქი რა არის?“ - გაიკინა ბალერინამ. - „ნოვოსელიე“. მძლივს სამკერ მოუწია ჩასვლა-ამოსვლა, იმდენი სანოვავე მოეგანა: შექვეარი გოჭი, მოხარშული ქათამები, ხაჭაპურები, ტკილეული, ხილი და ნაირ-ნაირი სასმელი, კარი როცა გაიხურა და წავიდა, ბალერინამ პენუარი მოისხა, სასტუმრო ოთახში გამოვიდა: „უჰ! რამდენია, რა აბზავია, აქ ჭურჭელიც არა გვაქვს“, - უაბროდ დაფაყურდა, მიათვალეირ-მოათვალეირა იქაურობა, დიდი, ძველი კაკლის ხის კარადა გამოალო, ისიც გამოცანარეულბული გამოდგა. ვერც უფრებსა და სამშარეულოში იმოკა ვერაფერი, მხოლოდ პოლში გუმბაში პაკარა დამგვრეულ სათამაშო განკი ევლო. „სათამაშო?“ - იკითხა დაბნეულმა. „პო, სახლის პაკრონიც, ცოლ-ქმარი ორივენი სამხდრონიც, ბავშვი ჰყავდათ, ალბათ“. - „კერე ახლანად არის?“ - „რა ვიცი“ - მოიღუმა ჩეკისტი. ბალერინამ დამგვრეული სათამაშო შეათე-

აღივრა, მსგავსად ყიდულობდა და ისევ ტუმბაში მიაგლო. „ეს ავეჯი აქედან უნდა გავყარო, დავიგოვებ როიალს, სარკესა და საათს“. - „ნუ იყი რაღაც ახირება, ისინი ხალხის მტრები იყვნენ, ეს ავეჯი ნაყაჩაღარი მქონდათ“. - „მაგამი არ არის საქმე-მძიძეა, ძველმოღური, მეორე - გადაგვართულია აქაურობა, პირდაპირ სული მუხუთება, საუარჯიშო სივრცე მჭირდება“. - „კარგი, გამოუნახავ რამეს“. - „მაინც რად გინდობა ამდენი საჭმელ-სასმელი?“, შენი ამბავი რომ ვიყი, მიუღ თვატრს დააბკიე“, - ჩეისგმა ღეინო დაღია, ბალერინამ ღიქიორი გასინჯა და ლოგინს მიაშურეს. ბალერინა კვლავ როლსა და სალონებს ეცეკვებ ფიქრობდა. შეიძლებოდა კია, რომ მხოლოდ ღედის დაგვალვით მოითხოვა იოანე ნათლისმცემლის თავი, ვითომ არ იყო აქ რაღაც სხვა მოტივების ერთობლიობა, მაესტროს მოყოლილი ისტორია მაგა პარის შესახებ ამაში შეეშლებოდა. ქლასიკური ბალეტის ჩარჩოებში ეგვმოკური, სამხრეთ აფრიკული, თუგინდ ინდური პლასტიკის შეგანა, დიდი მნიშვნელობა ექნება მუსიკას. ერთხელ რაღაც ამდგვარი მან შესძლო სოლო კონცერტზე გასტროლების დროს. სენ-სანსის „მომაკვდავ გემი“. მაშინ იქ სხვა იდგამ შეასრულებინა ფინალისათვის ფანტასტიკური წამიერი კონველსიური აღგზნება, რამაც დიდი ეფექტი მოახდინა მაყურებელზე, თუმცა ბალეტმეისტერმა და ხელმძღვანელობამ აკადემიურობის გაუბრალოებაში დაადანაშაულეს. „ღღეს განსაკუთრებით რომანტიკული ხარ“, - უთხრა ჩეისგმა. „წუხელ მძიძე სამუშაო გქონდა?“ - თავის მხრივ შეეკითხა ბალერინა - „პო, მასობრივ დახვერტას დავესწარი, მენ რა იცი“. „მიხვდი“, - თქვა და გაიფიქრა, რომ ასეთ დღეებში ზედმეტად აქტიურია ხოლმე. „ძალიან მაინტერესებს, როგორ იქცევიან სიკვდილმისჯილები?“ - „სხვადასხვანაირად, ზოგი შიშისაგან იძენდა არის დათრგუნვილი, რომ ვეღარ ამროვნებს“. - „იცი, მჭირდება ვიცოდე სიკვდილის პროცესი, მე ხომ ხშირად მიხლება განვსახიერო ეს სცენამე“. - „არაფერია სანიტერესო, უმეტესობა ამ ხალხის მტრებისა და მოღალატეების იფიცება, რომ პარტიისა და მთავრობის უერთგულებები არიან, იმასაც კი ყვირიან დახვერტის წინ, გაუმარჯოს სტალინს, ვაშა კომუნისტურ პარტიას. მაგ უბედურებს

პგონიათ, ეგრევე გაბეჭევიით და შევაგობინებთ, არაფერში არიან დამნაშავენი-თქო. ერთ რეციდივისს ლენინი ჰქონდა ამოსვირინგებული გულმკერდზე, გაიღვდა პერანგი და ყვიროდა, ამას ხომ არ ესვრიო, ამას ხომ არ ჩადებთ მიწაშიო, მოკლედ, სასახილონი და სამზღრები არიან“. - „სხვა რამ მაინტერესებს, მინდა ვიცოდე მოძრაობები, მისრა-მოხრა, გამომეტყველება სიკვდილის წინ და იქვე სიკვდილის შემდეგ, ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როცა მოსკოვში სტავირებაზე გამიშვეს, მკავდა მარტოხელა მეგობარი, რომელიც ბალეტისთვის უკვე ახალგაზრდა არ იყო და კორდებალეტში ბოლო დღეებს ითვლიდა, ძალზე გაჭირვებული ცხოვრობდა და, რითაც შემძლო, ვეხმარებოდი, მერე უბედური, მოურჩენელი ავადმყოფობით ეგრეთ წოდებული გაფანტული სკლეროზით დაავადდა, ვეღარ მოძრაობდა, ბინაში სკამზე დაყრდნობით შეეძლო მხოლოდ გადაადგილება. მიხდებოდა მისთვის ორ-სამ დღეში ერთხელ საჭმლის მიგანა და იქ რაღაც გაწმენდა, მოვლა. ჰყავდა დეიდა, რომელიც თვეში ერთხელ თუ მიაკითხავდა ბუზღუნ-ბუზღუნით. სულ იმას უჩინებდა, ბინაში მისი ქალიშვილი ჩაეწერა, იგულისხმებოდა, რომ სიკვდილის შემდეგ ეს ოთახი მას დარჩებოდა. თანაც ჩემზე ეჭვიანობდა, ვაითუ, ამას სურს დაითრიოს ბინაო. სხვა არავინ აკითხავდა, ქორისგებმა ხომ სულ დაივიწყეს, თუმცა არც თავის დროზე ჰქონდა ახლო ურთიერთობა ვინმესთან. მერე დაუამთავრე სტავირება, აქ უნდა დაგბრუნებულყავი და მუშაობა დამეწყო. დეიდამის შეეპირდი, რომ ფულს გაუვგზავნიდი ხოლმე, თუკი პირობას მომეცნა და მიხედავ; დამპირდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ შეასრულა, ჩემი წამოსვლის ერთი თვის შემდეგ დავიშა მიმვიდა - გარდაიცვალაო. იმ დღეზე ფული ვისესხე, ცოტაც ჩვენებს გამოვართვი და გავემგზავრე. ჩვეუდი, მაგრამ სახლში არავინ დამხვდა, მემობლებმა მითხრეს, ეს-ესაა კრემატორიუმში წაიყვანეს, სამი დღე უპაგრონოდ ეგლო. გავქანდი, კარგა მოზრდილი რიგი დამხვდა, მივასწარი, როცა უკვე შექმონდათ მისი ცხედარი, სანიტრებს ფული მივეცი, ჩემი ნათესავი-მეთქი და შემიშვეს. იქ ფულს არავინ ჩუქნის - ისე გაიხარეს, პირდაპირ დუმელთან მიმიყვანეს. და, იცი,

რა მოხდა, როცა ჩართეს ღუმელი, ჩემი ხორისტკა უცებ წამოიწია, როგორც ცოცხალი, მთელი ტანით აღივლიდა და იქვე დაიფერულა. კინაღამ გული შემიღონდა: ეს იყო რაღაც საოცარი სანახაობა, მერე განცდილი შოაბეჭდილება ცეცხლში გამოვიყენე. იგი რა, იქნებ ერთხელ წამოყვანო, როცა ასეთი პიძიქე დღე გექნება, მეც დავესწრები ამ პროცესს“. - „რას ამბობ, როგორ შეიძლება იქ სხვისი ყოფნა“. - „მერე მე სხვა ვარ?“ - „იქ ესწრებიან პროკურორი, ციხის უფროსი, ექიმი, სპეცრაზმელები და საგანგებო შემთხვევაში ან მე ან ჩვენი წარმომადგენელი“. - „ჰოდა, მე ვითომც ექითანი ვარ“. - „ნუ სულელობ, იქ შენ ყველა გიცნობს“. - „ოო, რა ცუდი ბიჭი ხარ“, - გაიმუტა ბაღერინს. ჩეკისტი მთელი საათი უმტკიცებდა ასეთი რამის შეუძლებლობას, ბაღერინა კი ბავშვითვით ჭირვეულობდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა პროფესიული ინტერესის შესახებ. ჩეკისტი დასაწყხარებულად ცალკებად შეპირდა, თუ იქნა მომენტი, ჩემთან ერთად დაეცაწრებო. შალე ისევ შერიგდნენ - კვლავ როკვა, სიკვდილიდან გაქცევისა და გარდაცვალების მოლოდინი... ცოგა იძინეს და მწუხრისას ბაღერინა ოპერაში წასასულივლად მოემზადა. ჩეკისტმა ტელეფონით მანქანა გამოიძახა. „ხვალ დაპატივებ შენს სკუმრებს?“ - „მაშ, თორემ ეს ამდენი სანოვაგე გაფუჭდება“. - „თუ რაზე დაბაგება დაგვირდა, დამორეკე“. - „აი, ეს ხარახურა აუჯი ვადაბაყრევიზე აქედან, ჭურჭელს, დანა-ჩანაგლებს და ჭიქებს სახლიდან მოვიტან, ოღონდ მანქანა გამომიგზავნე და ვინმე მომახმარე“. - ჩეკისტი იდიშებოდა, თავს იქნევდა თანხმობის ნიშნად: „დირექტორს თუ დაპატივებ, იქნებ მეც დრო გამოუნახო და მოვალ“. - „ოო, დირექტორს თუ უფროსობას, ხომ იცი, არაადროს ვაპატივებ, ისე შენ თუ გამოივლი, კარგს იმავ“. მეორე საღამოს წარმოდგენის შემდეგ ორიოდე პარტნიორი და ოპერის მთელი ე. წ. მომსახურე პერსონალი: „ბულეტეორები, მეგარდეროები, კოსტიუმერები, გრიმორები, კონტროლორები და მხანამრევიები კი მოვიდნენ ბუმბარაქზე. დილაზე ჭამდნენ, სვამდნენ, მღეროდნენ, იცინოდნენ. წასვლისას, რაც კი რამ გადარჩა - მოგს ღვინო, მოგს კონიაკი, მოგს ვოჭის თავის ნაწილი, მოგს ხაჭაპური ჩაუტენა პარკებში - სახლებში გაატანა - ქვეყანა გაჭირვებული

იყო. ჩეკისტმა ვერ მოიხალა და ქიფს ვერ დაესწრო, თითქმის ვათენებულზე წავიდა ყველა. ბაღერინას აყრილი ოთახების დაღაგების თავი არ ჰქონდა, გადადილს სამონალად ეძინებოდა, ხოლო ღღის თერთმეტ საათზე თეატრში პირველად უნდა დასწრებოდა რეპეტიციას; ბოლო სკუმარს მიუკეცა თუ არა კარი, წამსვე სინათლე ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა. ოთხი თუ ხუთი საათი ეძინა. შემწუნებულმა გაივიძა, მიშეში როცა მოიძია, სიმშობა ნახა რაღაც ისეთი, რომ ვეღარ მოვერენებინა, არადა, ძილშივე შეპირდა ვიდაცას თუ თავის თავს - დღესვე, გავიძებისთანავე აუცილებლად გააკეთებდა, ახლა კი ვერაფრით აღუდგინა, რა უნდა მოემოქმედა. მეგად უსიამოვნო განწყობა ჰქონდა გამოყოლილი. ძილის შემრუნება დააპირა, იქნებ იმ სიმშობს დასწროდა, მერე მიხვდა, რომ ჯერ ხეირიანად არც გამოფხიზლებულიყო და ეს სულელური ამრი თავიდან მოიცილა, თანაც მალე თეატრში წასვლის დროე მოაწვედა. ადგა, მსახიმილი და, როცა პოლში. დიდ სარკეში შეივალა თავი, ისევე იმ შემადრწუნებულმა გრძნობამ შეიპყრო. რა, მაინც რა უნდა გაეკეთებინა? ეს გაურკვეველი აუცილებლობა გულს აწყვდებოდა. ცულ ხასიათზე დაღვა. მექანსკურად რაღაც წაიცეცხა, ჩაი დაღია, გზაშიც ერთთავად ფიქრობდა, როგორმე აღუდგინა, რაში იყო საქმე რეპეტიცია ახალი დაწყებული ჩანდა, მსახიობები თავ-თავიანთ სავარძლებში მოხერხებულად ეწყობოდნენ, მესტრო უკვე კითხულობდა, მობობდებამე არაფერი უკასხუხა, ხელთი მიუთითა, საღ დაძქადრიყო. ბაღერინამ ყველას უხმოდ თავი დაუკრა, საერთო საღამის ნიშნად გაიღიმა. გულზე მარწუხებით მოჭერილი რაღაც ოდნავ მოშვა, აჯადა და მიაყურადა. სველსტავში, სამარის მთავარ ქალაქთან, „მკედარ მღვასა“ და ქალაქს შორის პეროლე დიდის მიერ აშენებული მახერუნგის ციხესიმაგრე მაღალი სკუმრების სკომურ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა და ნაღიშების გამართვისათვის უფრო ჩანად განკუთვნილი, ვიდრე თავდაცვითი დანიშნულებას ასრულებდა. გაშლილ, ხორბლის თავთავებით მოღვივლივე ველზე თეთრად გამოქიმული იდგა. აქა-იქ შემოჭრილი წარაფები და ღლევის ხეები ისე გადამხეილიყვნენ ქალაქისაკენ, თითქოს მღვის ნაპირიდან ვიდაც მოსდევდით,

არადა, ციხესიმაგრესთან ცოტა მოშორებით, უკვე ნახევრად სილიან მიწაზე სტუმართმოყვრულად ხელგამოწლი პალმები მშვიდად ეპატიებოდნენ მომხდურებს სანაპიროსაკენ, სადაც ლურჯი ცა და ლურჯი მღვა, გინდაც პირველად ხედავდნენ, გაოცებული შესცქეროდნენ ერთმანეთს. ქალაქი სევასტია რომის კეისარმა აჩუქა დიდ პეროლეს, ამიგომაც დაერქვა მას სევასტია, რაც ნიშნავს ავგუსტოს ქალაქს. პეროლედ პალესტინაში ის ერთერთ კოხტა საცხოვრებელ ადგილად აქცია. მახერუნგის ციხესიმაგრეც იმიგომ ააშენა მოშორებით მყუდრო გარემოში, რომ იმედი ჰქონდა, კეისარს ჩამოსვლის შემთხვევაში, - რასაც შეჰპირდა ღვთაებრივი ავგუსტუსი, - იქ ექნებოდა რემიდენცია. ავგუსტუსი, თავის მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა არა მხოლოდ დიდი პეროლეს მიმართ, არამედ მისი შვილის პეროლეს ანტიპას მიმართაც. ციხესიმაგრეს თეთრი ქვის კილიანა გალავანი ერგო. წინ ნაბიჯგადადგმულ გოლოლებში ჩაფხუტიანი შუბოსნები იდგნენ ყარაულებად. თვით ციხესიმაგრეც დანიშნულებისამებრ სასახლეს წააგავდა. მართალია, ნაშენები იყო მასიური ერთიანი ქვები-საგან, როგორც სიმაგრე, მაგრამ შესასვლელი კარები კოლონებითა და სარკმელები პალიასტრებით იყო დამშენებული. ბროწეულის ხეების ფანჩატურების და კაკლის ხეების უკან ოსტატურად მიმაღული ერგასტული აეშენებინათ, სადაც მოსამსახურე მონების საცხოვრებელი და საპყრობილე იყო. იოანე საპყრობილეში არ ჩასვს, იგი სასახლის დილეგში გამოამწყვდიეს, იმის შიშით, რომ მონებთან და პატიმრებთან ურთიერთობა გაუკონტროლებელი დარჩებოდა. გარდა ამისა, იგი განსაკუთრებული გუსადი გახლდათ. პეროლედ და, აქედან გამომდინარე, ციხესიმაგრის განმკარგავნიც ხშირად იცვლიდნენ მისდამი დამოკიდებულებას. ხდებოდა. ბროწეულის ფანჩატურში გამოჰყავდათ და საშუალებას აძლევდნენ, შეხვედროდა თავის მოწაფებს, რომლებიც არცთუ იშვიათად აკითხავდნენ. ხან კი უცებ ბორკილებს დაბადებდნენ, მოსასაქმებელ კასრს შემოუგდებდნენ, ხის მასიურ კარს გადარზავდნენ, გარედან დიდ ლოდიანს მიაყვლებდნენ. ჩვეულებრივ საკნისთვის არ იქნებოდა ეს ადვილი გათვალისწინებული, ეს იყო საძირკვლის კუთხის ქვისა და შენ-

ლობის სარტყელთან ყოველშემთხვევისათვის გადაღობილი სთათესო, რომელსაც სარკმლის მსგავსი ვრძლად დატოვებული საპაიერო დასდევდა, ალბათ, სინესტგმე ვენტილაციური გემოქმედების მიზნით, საიდანაც ხანდახან სასახლის გალავანთან მოძრაობის მიერუებული ხმები თუ შემოიჭრებოდა, თორემ გარედან დადევნებული საფარის გამო სინათლე ვერ პოულობდა გასაქანს. პირველად როცა კარი გაიჯახუნეს და გარედან ლოდიანი მიუვორეს, გაეღიმა: ვანა რამეს ნიშნავს საუკუნეები, თუკი ადამიანები ღვთიური განჭვრევის გემოქმედებით ერთსა და იმავეს გრძნობენ: „აღმსვა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკედარი საუკუნო“. ალბათ, ენგადის გამოქვებაზე შეთხზა ეს ლოცვა დაგვიომა. კიდე იქით, მეფე ციციამ იერემია ჩააგლო დილეგში, სიმართლე ვერ აიგანა ნაბუქოდონოსორის შემოსევის შესახებ. რაღა არ დააბრალეს, ცრუწინასწარმეგყვეულა, ბაბილონის აგენტობა, ხოლო იგი გაქვეულ ებრაელებს გაჰყვა ეგვიპტეში, იოანეს მეციხოვნეებმა არ იცოდნენ, რომ იოანე ბნელშიც ხედავდა, მართალია, კითხვა არ შეეძლო, მაგრამ საგნებს გარკვევით არჩევდა. არც დღე-ღამის თანმიმდევრობა ერყოდა. თუ ძილი მონუდებოდა, მაშასადამე, ერთი დღე დამთავრებული იყო, და თუ დამე ბორკილები უხერხულად არ მოედებოდნენ გვერდებთან, არ გამოაფხიზლებდნენ, ეძინა და ბუნებრივად როცა გაიღვიძებდა - ახალი დღე იქნებოდა გათენებული. მრავალმა ჭირნაცადობამ დღეების მიდევნებას გააძაჩვია და, საერთოდ, დრო მისთვის კარგა ხანია აღარ არსებობდა. წმიდა წერილში მოგანხილი ამბები მდგომარე დღეს განეკუთვნებოდა. ვანა დრო უფლისათვის არსებობს. ეს ადამიანის შეგრძნებაა და მოუღენათა თანმიმდევრობა, დროს მნიშვნელობა ადამიანის განსჯით ენიჭება. ღვთიურ სამყაროში ხომ არც სახეა, არც სიღიადე და არც ადვილთა ცვალება. მაშ, დრო, საიდან იქნება? ვანა თვით შესაქმე მყისიერი ქმედება არ იყო? იოანეს სანახავად პირველად თორმეტი მოწაფე მოვიდა, ხოლო ასისთავმა, ციხესიმაგრის შედამხედველმა მხოლოდ მათ მიერეუ ამორეულ ორ მოწაფეს, ყუშიასა და იოშაფეტს დართო ნება, შეხვედროდნენ იოანეს. ის პერიოდს პეროლეს მისდამი კეთილგანწყობის ხანა გახლდათ და დილეგიდან ბროწეულის ფანჩატ-



ურში გამოიყვანეს. „რაბი, ვინც შენთან იყო, იორდანეს პირას ნათელსა სცემს“ - იწილა ყუბშიაძე, - „მრავალმა მიგვაგოვა ჩვენ და მას გააგებ“, - აღშოურებულად იყო იოშაფეგი. - „ანდრაბ, რომელმაც შენგან გაიგონა იესოს სახელი, გაიქცა, მონახა თავისი ძმა სიმონი და უთხრა მას - „ვოვეთ მესია“... „თქვენ თვითონვე დამემოწმებით, რომ ვთქვი: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მის წინაშე ვარ მოვლინებული, ის უნდა იმარლოს, მე კი დაეკნინდე, თესლის გახარება მის დაღუპუ- აშმა“, - მშვიდად მიუჯო იოანემ, „ნაზარეთი- დან, სადაც აღიმარდა, გააძევეს იგი“, - წამ- იოძხა ნიშნისგებით იოშაფეგმა. „შაბათს შევიდა სინაგოგაში და, როცა წამოდგა წასაკითხად, წიგნი იმ ადგილას გადაშალა, სადაც ესაია წინასწარმეტყველებს: „სული უფლისა ჩემზე, რომელისთვისაც მცხო მე და მომავლინა გლახაკთა მხარებლად, და გულით შემუსვრილთა მკურნალად, გყვეთ- თვის განთავისუფლების მაუწყებლად, ბრძა- თა თვალის აშეკლად, განჯულთა განსაკვე- ბლად...““ შერე დახურა წიგნი, მისცა მსახ- ურს. დაჯდა. მთელი სინაგოგა მისჩერებოდა და თქვა: „დღეს აღსრულდა ეს ნაწერი, რომელიც მოისმინეთ. ხალხი კი გაოცებული ერთმანეთს ეკითხებოდა: „განა იოსების ძე არ არის?“ - პირიდან გამოსატყა იოშაფეგს სათქმელი ყუბშიაძე. - „ესაიამ თქვა: „სმენით მოისმინეთ, მაგრამ ვერ გაიგებთ, ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ მიხვდებით“, - კვლავ დაყვავებით შენიშნა იოანემ. „ნათლობის შემდეგ რატომ არ ჩანდა არსად?“ - არ ცხრებოდა იოშაფეგი. - „აბა, გაიხსენეთ, რა იწინასწარმეტყველა მიქამ“, - იკითხა იოანემ. ორივემ იყურა, მერე ერთმანეთს შესხდეს და ყუბმა თქვა: - „მიქას ვაგება სხვაგვარადაც შეიძლება, იგი ბეთლემიდან გამოსულ ხელ- მწიფეზე საუბრობს, რომელიც დამწყესას უფლის ძალით, თავისი ღმერთის სახელის დაღებით და არა თვითონ იქნება ღმერთი ან ძე ღვთისა“. - „ვინც მიიღო მისი მოწმობა, ამით დაბეჭდა, რომ ჭეშმარიტია ღმერთი“, - თქვა იოანემ და ისევ გაწიშაგლა იაშოფე- გი: „თავისიანებმა რომ არ იწამეს, ახლა გალილეაში გამგზავრებულა“. - „პოდა, აი, კიდევ მტკიცება ესაიისა: „ასე უკანასკნელ დღეს განადიდებს მღვისპირეთს წიაღიორ- დანეს და წარმართთა გალილეს“, - შენიშნა იოანემ და განაგრძო“ - „ისიც ვაგიხსენით,

კიდევ რას მოგვიხსრობს ესაია, რა ნიშანი მისცა ღმერთმა მეფე ახაზს: „აბა, მეუღლად იღებს ქალწულს და შობს ძეს და უწოდებს სახელად ეშანუელს“. მეფე დავითსაც არაუ- თო წინასწარმეტყველებდა აქვს: ეკამი უფლის მოქმედებისა, მამისა მარჯვნივ ჯდომა, იორდანეში ნათლისღება; მაშ, მე ვინ მოვნათლე იორდანეში?“ - აუწია ხმას იოანემ - „ან ემეკიელი: „მე ვიქნები მსაკული ცხვა- რსა და ცხვარს შორის“. - „ეგ ყველაფერი წერილიდან სხვა რამეს რომ დაუკაფე- შიროთ, სულაც შესაძლოა, სხვა რამ გამოვი- დეს“, - თქვა ყოყმანით ყუბშიაძე. - „თავდაყირა ყველაფრის დაკავშირება შეიძლება, ხოლო მაძიებელს ოქრო სილაში არ აერევა და მერე განა დანიელმა მუსკად არ გამოთვალა, ბაბილონის გყვებიდან 490 წლის დამთაფ- რების შემდეგ გამოცხადებო?“ - მოწაფეები თავიანდრულები იდგნენ. - „ჩემს შესახებ რაც მალაქიამ იწინასწარმეტყველა, ის თუ გჯერათ?“ - „გჯერა, რაბი“, - დააქნიეს თავი ორივემ. - „მაშ, მისივე ნათქვამი ირწ- მუნეთ, მეორე ტაძრის აშენების შემდეგ მოვაო ქრისტე“. დიდხანს იხსდნენ მღუპარად ფანჩატურში. იოანე ხან ერთს გადახედდა და ხან მეორეს, აღარაფერს უმტკიცებდა - მისედა, რომ მათ უბრალო გულდაწყვეტი- ლობა აუჭვებანებად. ყოველი კაცი თუ საკუთარ საქმედ გაიხდის რამეს, მხოლოდ მამინ შეუძლია ირწმუნოს ბოლომდე. წამო- დგა იოანე, შორიდან მომშორდა ყარა- ულებს უხმო და დილეგში ადბრუნება მო- ისურვა, მოწაფეები კი დაარიგა: - „ახლა წადით და თვით მას შევეკითხეთ: „შენა ხარ მომავალი თუ სხვა ვინმეს უნდა ევლოდეთ- თქო“.

მოწაფეებთან შეხვედრის შემდეგ ყველა- ფერი შეიყვალა: ზედაშეღველი, რომელიც უფრო ემსახურებოდა, ვიდრე უთვალთვალე- ბდა, სადაც გაქრა. ჩაკეცეს, გადარაგეს დილეგი. დილით ერთ ნაკვს პურსა და კათხა წყალს დაუღვამდნენ და მეორე დილა მდე არაიენ აკითხავდა. დამოკიდებულების ამგვა- რად შეეკვლას საესებით გამართლებულად თვლდა, ძველი გვევიტურნი ანდამა ასე ქი- ლიკობდა: რად უნდა ქათამს წყალი, თუ დილ- ისათვის დასაკლავად ამზადებენ. თუ ღმერ- თმა მეფე დავითს თუთების ხეთა შრალი მისცა ფილისტიმილიანელების წინააღმდეგ გასალაშქრებულ ნიშნად, მოპყრობის ამ გას-

ასტეკებს იოანე დასასრულის მოახლოებად თვალდა, თუმცა, მოულოდნელად, ცოცხა ხნის შემდეგ მისი ზედამხედველი დაბრუნდა და უამბო, რომ თურმე მოწაფეებთან შეხვედრის შესახებ პეროლიდასათვის ვიღაცას ენა მიუგანია, მას კი ერთი ამბავი დაუწვია: მოვარდნილა, ციხისმაგრიდან ასისთავი სულ თმებით უთრევია, გეღამხედველი კალოზე ხორბლის დასაფეხვად გაუწვსებია, ფარაულები გაუყრია; ახლა თვით პეროდეს ბრძანებით მოხდა მათი შეწყნარება-დაბრუნება. ზეღამხედველმა ახალგამომცხვარი ხორბლის პური მოართვა იოანეს.

მაესტრომ თავი ასწია, სათვალე მოიხსნა, შუშებს დაუწყო წმენდა: აქ ახლა ვრცელი ინტროსპექცია იწყება, ამის მოქმედებაში გაღმოდება არ გამოგვადგება, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად საინტერესოა - მაყურებელი მოიწყენს. პამლეგის ყოფნა-არყოფნის მონოლოგს ძლივს უძლებს ჩვენი პუბლიკუმი და იოანე ნათლისმცემლის გირადებს ვინ მოისმენს, თუქმე დრამატული ელემენტები მის განხჯაში ნამდვილად არის. - „მაყურებელი კი არა, მე კინაღამ ჩამქვინა, თუ პეროდეს მაინც დღეს არაფერი ეხება, იქნებ გამიშვით, მაესტრო, საქმეზე ვარ წასასვლელი“, - წაბოღა ლომი. - „წადით, და პეროლიდაც წაიყვანეთ, აჰანაც, ვაგყობ, სასტიკად მოიწყინა“. პეროლიდამ რაღაც გადაუღაპარაკა რეისორს და თანამშრახველის ღიმილით გაჰყვა ლომს. მაესტრომ ბალერინას გაღმოდება გამოქმედვლად. ბალერინა მაინცდამაინც დიდი ყურადღებით არ მისდევდა კითხვას, სხვა დროს, ალბათ, ისარგებლვდა ასეთი მომენტით და გაჰყვებოდა სხეებს, მაგრამ ამჟამად ამ რეპეტიციამ დამამშვიდებლად იმოქმედა, დიღანდელი ფორიაქი მოხსნოდა. თანაც არც ლომის კამპანას სურდა შეერთებოდა. ძალაუბერად მისი მდარე სუბრობები მოესმინა. და იმისათვის, რომ მაესტროს ეჭვი მისი ისეთივე სავარაუდო არასერიოზულობის გამო, როგორც პეროლიდას და ლომის საქციელი იყო, გაექარწყლებინა, იაქტიურა და შეკითხვა დასვა: - „იცი, მაესტრო, მოწაფეებთან შეხვედრისას მომეგვნა, იოანე ედილობს, ისეთ რაღაცაში დაჯეროს ისინი, რაშიც თვითონაც ბოლომდე არ არის დარწმუნებული, იქნებ ისა სწყინს, რომ ქრისტე მის პატიმრობაზე არ რეაგირებს?“ - „ვეჭირობ,

აქ, როგორც სტანისლავსკი იტყვოდა, იოანეს როლის „მერნოსთან“ - მარცხვლადან გვაქვს საქმე. მერთალად, მაგრამ მაინც იკითხება მის სულში ჩაბუდეული კოლომია; მოწაფეებთან შეხვედრის მერე მარტო დარჩენილი, რაღაც დაბნეულობას იწენს, სულიერი წინააღმდეგობის გრდად აქ ფაქტობრივი გაუგებრობაა. კაცმა რომ თქვას, იოანე და იესო ახლო ნათესავეები არიან. ელისაბედი ღვთისმშობლის დეიდაა. როგორ შეიძლება. მათ ერთმანეთი არ სცნობოდათ. მით უმეტეს, რომ მათი დედეები მშვენივრად უწყოდნენ საკუთარი შედელების მისიასა და ღვთიერი განგებულებას. ნუთუ მონათვლამდე მათ კავშირი არ ჰქონდათ და პირადად ვერ სცნობდნენ ერთმანეთს? - „იქნებ რობერტ ჰუკისა და ისააკ ნიუტონის, მოცარტისა და სალიერის ურთიერთობათა პირველწყაროსთან გვაქვს საქმე“, - თქვა რეკისორმა. - „არა! იოანეს შენიშნა: „მე უნდა დაეკნინდე და ის იზარდოს“ - გამორიცხავს ამ მოსაზრებას. მომდევნო თხრობაც სხვა რამეზე უფრო მიგვანიშნებს. საერთოდ, როგორც თავიდანვე მაშა ზაქარია ვარაუდობდა, ყველაფერში ჰუმპარიტი პირველის ბედ-იბადლი ცნობილია - პირველი ყოველთვის უსახელოდ იღუპება“. - „პატივემულო მაესტრო“, - წამოწილდა სტაგისტი, - ჩვენ ეჭვი როცა შევიგანეთ მაშა ზაქარიას მოკვლის შესახებ, ხომ შეიძლებოდა თოთლ ბავშვს, რომელიც უმთავრესად უდაბნოში გაიზარდა, არაფერი სცოდნოდა თავისი ნათესავის თაობაზე?“ მაესტრო ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა სტაგისტს, მან კი უხერხულად იგრძნო თავი, გაიფიტრა, კანდიერება გამოშვიდაო და დანაშაულის გამოსაწორებლად წაიღულულა: - „შესაძლოა, საკუთარ მომავალ მისიაზე ვაღმეძრულა?“ - „რა მომავალი, რის მომავალი, მან თავისი საქმე გააკეთა, მოუგანეთ მაშა ზაქარია ქრისტეს გამოცხადებას“ - თქვა დაუდევრად რეკისორმა. - „როგორ? ახლა აქვს, თუ აქვს, გასაკეთებელი“ - ჩართო მაესტრო - „ჯოჯოხეთში უნდა ახაროს ვარდაცვალებულებს ღმერთის მოსვლა. ვეჭირობ, აი, ეს ვერ არის დალაგებული, როგორ უნდა იმოქმედოს? ჩვენს წუთისოფელში თუკი მოსამზადებელი საშუალო ჰქონდა, ერთგვარ რეპეტიციას აგარებდა, მონანიებისათვის შემზადება, ნათლისცემა და რიგი დედალების პროპაგანდა, აი, იქ რა

ველობა. იქ ხომ მილიარდობით ცოლელი ელოდება, უმთავრესად მაინც ჯოჯოხეთში ან თუგინდ ავიღოთ ის გავუგებრობა: სხვა ღმერთების რწმენით მაცხოვრებლებმა ხომ არ იცოდნენ, ვინ არის იესო ქრისტე, ისინი თავ-თავიანთ ღმერთებს ბევრნი პირნათლად ემსახურებოდნენ, ისინი რაში არიან დაშნა-მაჟე? ამას რა ეშველება? უნდა წარწყმდნენ? თვით დავით მეფე ელოდება, უფლის ფაეორიგაც, „ღმერთი დაიხსნის ჩემს სულს ჯოჯოხეთისაგან, როცა ამომიყვანს“, - ამბობს ფსალმუნებში. ამქვეყნიურ ცხოვრებაში დი-დაი მისი როლი, თუ სურს აღამიანს ცხოვრება, უნდა მოინანიოს, მოინათლოს და მომავალში აღარ შესცოდოს, მაგრამ იქ რისი შეცვლა შეუძლია იოანეს? მხოლოდ ხარება? დრო როცა მოაწვედა, ისინი ისედაც გაიგებდნენ მაცხოვრის მოსვლას. ამ საკითხზე იოანე პირდაპირ არ ფიქრობს, მაგრამ იგრძნობა რაღაც მერყეობა. რაგომ არ ეშვადება ამ ახალი მისიისათვის - გაურკვეველია. ხანმოკლე დემოლის შემდეგ რევისორი შეეკითხა მაცხოვრს: ხომ არ შეგვეყვანა სპექტაკლში ლიტერატურული პერსონაჟი, მითხველი, ან რემონიორი, რომელიც ყველა ქვეყნისკაცებს გახსნიდა? - „მაშინ მსახიობი რაში გვჭირდება?“ - „ამ შემთხვევაში ეს ლიტერატურული პასაჟებია, რელიგიის როული პრობლემები, ამას ხომ განსჯა-პაექრობა ესაჭიროება?“ - „როცა სცენაზე რემონიორი გამოჩნდება, ესე იგი, სპექტაკლში ყველაფერი რიგზე ვერ არის. მიღერი ასეთ რაღაცას პარმონიის დარღვევას - მეტრომანიას უწოდებდა. არ ვერკვ, როცა ქანდაკების აღქმისას თვალში გვჩანს ქვა, მარმარილო, ვაისი ან სხვა მასალა. თეატრში მსახიობის სიგყვა, ქმედითი სიგყვა ყველაფერი. თეატრი რელიგიას იმით ემსგავსება, რომ ჯერ იყო სიგყვა და სიგყვა იქნა საქმედ. თეატრის სულიერი არსის გასარკვევად რელიგიური რიტუალებიდან მისი წარმომავლობის აღიარება არ არის საკმარისი. მიმუხისი და მარადიული ლტოლვა დეკალებისაკენ - დვთაებრიობისაკენ, კათარმისი - მონანიება, განწყმენდა, გარდასახვა - გარდაცვლება, თვითდაჯერება - რწმენა, ეს ყველაფერი სულიერი პარალელებია. პირველყოფილი სინკრეგიმში, დღესასწაულები და მისგერიები, ბერიკათა ღრეობა, მაღალი კომედია და ტრაგედია - სიგყვის საქმედ ქვევაა“. სიწმემე დაისაღ-

ურა. მაესტრო უკვე მერამდენედ აორთქლებდა და წმენდადა სათვალეს. რევისორმა ნაბალადევედ გაიყინა: - „თქვენ თავი ქედში გაქვით, უპარტიოები ხართ, მე ვიკითხო“. - „მამასადამე, ამბობ, დავამატოთ ახალი პერსონაჟი - რემონიორი?“ - უფრო თავის თავს კითხა მაესტრომ. „რასაკვირველია, რომელიც კრიტიკული თვალით ათვისებურ პოშიციას დააფიქსირებს“. - „მაშინ ჩვენ სპექტაკლში უნდა ჩავართოთ, არც მეტი, არც ნაკლები, ანტიქრისტიკა“, - თქვა სიცილით მაესტრომ. - „გინდაც!“ - დადასტურა რევისორმა. - „თუ კიდევ შენს რჩევას გავიზიარებთ, ჩვენს პარტკომს დავასაქმებთ და ანტიქრისტიკეს როლს მივცემთ, მშვენიერი პაროღია გამოგვივა“. სტაგისტმა ხმაშაღლა გაიყინა. „სასაცილო არაფერია“, - თქვა სტაგისტის მისამართით რევისორმა. - „რეჟერაკომში უკვე ლაპარაკობენ, პიესის დამკვიცვას იდეოლოგიური დამუშავება დასჭირდებაო, ამიტომ ჩვენ ხომ უნდა გვექონდეს სერიოზული არგუმენტები, საკამათო მასალა!“ - „წმინდა წყლის სისულელებს და აბსურდულობას სერიოზულად დაუპირისპირდები, აქ მხოლოდ სატირას შეუძლია ჭეშმარიტება გამოავლინოს“. - რაგომ გგონიათ, რომ პარტკომი რემონიორად არ გამოდგება. ასეთი მომთხოვნელობით არც მე ვარ იოანე ნათლისმცემელი“. - „მთავარია ნჭიერება, თორემ ჩვენი ლომიც პლატონს თამაშობდა და არცთუ ისე ცუდად. მსახიობი წყალივითაა - თვითონ რაც უნდა ჭუჭყიანი იყოს, სხვისი განზანა მაინც შეუძლია“. ელისაბედი რაღაცს იწერდა თავის რვეულში, სტაგისტი აღფრთოვანებული შეჰყურებდა მაესტროს, რომელმაც საყვალე გაიკეთა, გადაფურცლა დაფთარი, შეაჩერა მშერა ერთ-ერთ გვერდზე და განაგრძო კითხვა:

მეორედ დონეს სანახავად ყვმიასა და იომავეტთან ერთად მაქანაიცი შემოუშვეს ბროწეულის ფანჩაგურში, რომლის წინაც ახლა პატარა სახელდახელო საშვერე აემუნებიათ. მაქანაიამ ლედის ჩირი მოუგანა მოძღვარს, მის გასიფრიფანებულ სახეს შესცქეროდა და ცრემლებს ვერ იკავებდა. ერგასტულებში სიბლენის წინწილებს ახმიანებდნენ, გეგონებოდათ, ფანჩაგურში მანშალაკებად გაფურჩქნული ბროწეულის ყვავილები რეკდნენ. „რაბა! უსიკვდილოდ უნდა დაგეთანხმდე“, - ცხვირში ქსიგინებდა, და-

აღუპით მომდინარე ცრემლებს მკლავით იწმინდა და ჩურჩულდა მაქანაია, - „იუღვაში ხმები დაყარეს, იოანეს ეშმაკი ჰყავსო, ყველაფერი შშადა მაქეს, ამ უამრო გყვეობიდან ფარულად რომ დაგისხნა.“ - „თავი გსურს ძვირის ხილვაში ჩაივლო?“ - შეკრა წარბები იოანემ - „იერემიამ მთელი ცხოვრებამ გყვეობაში, დილეგსა და საპყრობინებში გაატარა, განა მას ცილისწამებას აკლებდნენ? მერე, რას ამბობდა, გაიხსენე: „ვის თქვაზე აღსრულება რამე თუ უფალმა არ ბრძანა? განა უშენაისის პირიდან არ გამოდის უბედურება და სიკეთე?“ - ახლა დასხედით, თქვენი მოგანილი ჩირი გაინაწილეთ, შეექცით და მომიყვით იესოს ამბები“. იოშაფტი აზერად ყინაღ ოჯდა, ყუშია კი ყვებოლა: „ქალაქ ნაინში ვნახეთ, კეზოდან როგორ წამოაჯინა გარდაცვლილი ჭაბუკი, ალაპარაკა და მგლოვიარე დღეს დაუბრუნა; შევესწარით, როგორ მოარჩინა შაბათს საპყარი, მოუუსმინეთ მის ქადაგებას. რასაც შენ გვასწავლიდი, იგივეს ამბობს. ვისაც ორი სამოსელი აქვს, მისცეს არამქონესობა; ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემაო. უკვირდა ხალხს მისი მოძღვრება, ვინაიდან ის ასწავლიდა მათ, როგორც ძალმოსილი და არა როგორც მოწინააღმდეგე“. - „ვერაფერს მიიღებს კაცი, თუ მეყით არ მისცემა“, - ჩაურთო იოანემ. - „გაიგო, რომ შენი მოწაფეები ვიყავით, მოგვიხმო და დაგვაბარა: უთხარით იოანეს, რასაც ისმენთ და ხედავთ. ნეგარ არს, ვინც არ შემედარაო ჩემში. ხალხი ეკითხებოდა, იოანეს მოწაფეები მარხულობენ, შენი რაგომ არაო. უაახსხა: იოანე არც ჭამს და არც სვამს, ამბობენ, ეშმაკი ჰყავსო. მოვედი მე და გაიძახინა, აბა, კაცი მჭამელი და ღვინის მსმელი, მეზაყეთა და ცოდვილთა მეგობარიო, ახლა ჩემზე ამბობენ, ეშმაკი ჰყავსო. მოვა დრო, როცა სიძე აღარ ყვოლებათ ჩემს მოწაფეებს და მაშინ იმარხულებენო“. - ვისაც სასძლო ჰყავს - სიძეა, ხოლო სიძის მეგობარი, ვინც დავს და ესმის მისი, სიხარულით ხარობს სიძის ხმის გაგონებისას. სწორედ ეს სიხარული აღსრულდა ახლა ჩემში“, - თქვა ნათლისმცემელმა. - „იგავებით ქადაგებს“ - ამოიღო ხმა, როგორც იყო, იოშაფტმა, მსგავსად ღმნაშავისა თავი მანც ჩაქინდრული ჰქონდა. იოანეს გაუღმა. - „გული ნუ გეთანადრება, იოშაფტ! პირიქით,

შენ ხომ. იწამე ქრისტე და განა მე სხვას გასწავლიდი? ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ჩვენ ჭეშმარიტი გზაზე ვიქვითი; ერთიე იყოლე: ყველაზე დიდი სიბრძნე ისაა, შენთვის მოზომილი მიწის საზღვარს შენვე მიაგნო, ყველაზე დიდი ბედნიერება კი ჭეშმარიტებასთან მიაგრება“.

მოწაფეებმა კვლავინდელზე მეტი დრო დაჰყვეს მასთან. ყუშია გამოწვლილივით ჰყვებოდა ქრისტეს სასწავლებს. იოანეს ფერმერთალი სხე თანდათან მშისებრი შუქით იფინებოდა, ეს ნათელი მისი თვალბეზიდან ისხივებოდა. მოწაფეები პირქვე დაემხნენ იოანე წაიოღვა და გამოეთხოვა მათ.

პეროდეს დაბადების დღესთან დაკავშირებული ნადიმის მოწყობა მახერუნგის ციხისმაგრეში უპირველეს ყოვლისა იმიგომ გაღაწყდა, რომ საპატიცემულო სკურების: აბიღენეს გეტრარქის ღვინისა, ათასისთავებისა და გალილეელ წარჩინებულთა გარდა დაპატიცემული ჰყავდათ რომის იმპერატორის მიერ სირიაში დასანიშნად მოვლინებული ლევატი. ნადიმი მახერუნგლობით უნდა გამართოლებოდა. პეროდეს სურდა, მომავალ ლევატს სცოდნოდა, რომის იმპერისამ პროვინციაში ყველაზე გავლენიანი, მდიდარი და ერთგული ხელისუფალი პეროდე იყო. და მხოლოდ ქალაქი სევასტია კი არ არის აფგუსტუსის სახელზე, არამედ ეს სასახლევ რომის იმპერატორის, აზკერად გინეარუსის რეზიდენციას წარმოადგენს. პეროდეიდას კი ამ ცულმშეაობრობაზე უფრო საფუძვლიანი ნიაში მოუბოვებოდა. ბოლო ხანებში პეროდემ თითქოს გული აიყარა მასზე. თავიდან ამას იოანე მაქარისა მის მიერ მათი შეუღლების გაკიცხვას აბრალდება, ხოლო მერე და მერე აღმოჩნდა, რომ საყვარელი ქმარი მის მაგიერ სხვადასხვა ხარჭებთან აძკობინებდა სარეკელს. ასე თუ გავრტელვებოდა, ადვილი გახლებოდა - პეროდეს ვნებულების გაღამებულს - მისი წინამორბედის, არაბეთის მეფის ქალიშვილის მირკანის ბედის გამიარება. ცხადია, ამას, როგორც ყველა გონიერი ქალი, შეძლებისდაგვარად უნდა აღდგომოდა, თანაც ისეთი თავგადასავლებისა და ისეთი მხურის შემდეგ, რაც მათ გამყვანებულ ურთიერთობას მოჰყვა. იოანე, რასაკვირველია, ცილსწამება - ფილიპეს სიკვდილი მას არავისთვის დაუბალებია, ისიც დასამტკიცებელია, რა ვითარებაში

დაიდუმა, ბოლოს და ბოლოს, თვითონ ყველაზე უკეთ წყვის, რა სუსტი ჩანძრითელობაზე გახლდათ მისი ქმარი, ანდა როგორ იკადრებდა ჩარეულიყო ძმების მგრობა-ურთიერთობაში, პეროლიადა სხვებსაც უხსნიდა და თავის თავსაც არწმუნებდა ამაში და მერე - ყველაფერი თავლაიწყებელი სიყვარულის ბურანში მიმდინარეობდა, თუმცა მას სულაც არ აინტერესებდა, თუ ვინ და რაგომ მოაკვლევინა ასე დროულად ის მირკანი. პეროდეს გულგრილობის ამკარა ნიშნები საპასუხო მოქმედების გარეშე დატოვებას გამორიცხავდა, მაშინ რა საჭირო იყო ახელდა მსხვერპლი, პეროლიადას გამოცდილ თვალს არც ის გამოჰპარვია, რომ პეროდეს დამოკიდებულებას სალომეასთან - გერთან, მამამილურს ვერ დაარქმევდი. სალომეასთან შეხვედრისას თვალბეში წადიერი ნაპერწკლები უთამაშებდა, შედმეტად მრდილობიანად ექვეოდა და მოულოდნელად რაღაც ინგიმური ეესგის საპასუხოდ შემხვედურ გამოქვევე მოძრაობას იღებდა. ჯერხნობით კონკრეტულად არაფრის გამოთქმა არ შეიძლებოდა; კარგად იცნობდა ჯერ საყვარელსა და მაშლს, ახლა კი ქმარს. ეჭვი რომ გამოეთქვა, შესაბამისად უნდა ემოქმედა, ამას კი პეროდეს დაუდგრომელი ხასიათის გამო სულ ადვილად შეიძლებოდა რაიმე გამოუსწორებელი შედეგი მოჰყოლოდა. ჯერ რასაც ამჩნევდა, სირბილის ან გაღაქროლილი გატაცების ფარგლებს არ სცილდებოდა, რაც დიდ სამიშროებას არ წარმოადგენდა, პირიქით, მას რაღაც ცხოველურ ღინს, პეროდესთან თაფლობის ხანის ადგვენის მზანებას, ფარულ ნიშნისგების საშუალებას და საბოლოო გამარჯვების, ანუ დრომე ჩარევის, ორივე მხარის დადანაშაულებით ტკობის წინაგანცდის ხალისს აძლევდა, მით უმეტეს, რომ პეროდე ხშირად უადგილო ადგილას აღნიშნავდა არა იმას, სალომეა შენა გვაესო, არამედ, შენ, ალბათ, მის ასაკში ასეთი იყავით. და მაინც, შეხვედრების წინ სალომეას მოგადად ჭკუას არიგებდა, აფროთხილებდა, რაღაც-რაღაც ქარაფშუკული საქციელი, გინდაც მამის წინაშე, აკრძალულიყო. სალომეას თექვსმეტი წელი დასრულდებოდა, დღეასავით ღამამი და შესრულა იყო. და თუ დღის თვალბეი ადგმნების დროს ნაპერწკლებს კვსავდა, სალომეას თვალბეი მომზირალს ბნელ დამემი იორ-

ვედა. დღის სიმაღლისა ჩანდა, გამოკვეთილი მაღალი თებოები და ვაწრო წელი დაქონდა. პროპორციული აღნაგობა მის მოძრაობებს ნებეურ პარმონისა ანიჭებდა. პეროლიადას პაგარაობიდანვე შავ დღეში ჰყავდა ჩავლებული. იმეითად გამოჰყავდა საზოგადოებაში, უმიზმოდ, განწყობილების მიხედვით სასტიკად გუქსავდა. ბავშვებთან თამაშიც კი დღის ნებართვის გარეშე არ შეეძლო. ადარე ისე პაგარა იქნებოდა, როცა დედამისისა და ბიძამისის ისტორია გათამაშდა. ყოფილა - შესწრებია მათ სასიყვარულო სცენებს, რამაც მისი ბუნდოვანი ოცნებების სამყაროში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. დედა მისთვის ფეხი ქალურობის და გამოუქმეული წყენის გაუმოვება შეიქმნა. ემინოდა მისი და სულ მოახლოებული დამოუკიდებლობის მოუთმენელი განცდით ფეიქვდა. ახლა იმ ასაკში გახლდათ, როცა მთელი სხეული რაღაც მტკიენეული სიტკობებით ისუდრებოდა, გაურკვეველი მიზეზით გაღიზიანებული ერთბაშად ქოგურ ბურანში ვარდებოდა. ბავშვობაში დედამ მოახლედ ეგვიპტიდან ღლოელი ქალი მიუჩინა. დროთა განმავლობაში გამტადანდა, რომ მოახლედ თავის ქვეყანაში დედაბა აბუნის მსახურედ, ესე იგი, საყვარლად ითვლებოდა გაძარში. ამ ქალმა ასწავლა სალომეას ღამაში რიტუალები და როკვა. ეს ერთადერთი თავმესაფარი გამოდგა ბავშვის ცხოვრებაში, საცა შეეძლო ისე ჩანეს, როგორც მას მოსწონდა და მანჭვა გრეხა, რითაც ერთობოდა. ხშირად დღისგან უსამართლოდ დასჯილი ჩაიკეგებოდა თავის ოთახში და საათობით ცეკვავდა, ვიდრე გასავათებულად არ მიეგდებოდა და ნაირფერ სიმრრეში არ ჩაიძირებოდა. მოგვიანებით ფარულად, თავისით ისწავლა ქნარსა და დაირაშე დაკერა, დროს როცა მოიხელთებდა, მუსიკოსებთან ვარჯიშობდა კიდევ. ყველაფერი ეს მის შურისმაძიებელურ, სანუკვარ ხილველობებს შეიცავდა, თუმცა დედამ, რადა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იცოდა და კმაყოფილიც იყო, ვინაიდან ქალშვილი დასაქმებული ჰყავდა და პირად ცხოვრებაში მედმეტ ბარგად არ ეკიდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს სალომეამ აღმოაჩინა, რომ თუ ახალგაზრდა ქალბენი მას არაკეთილმოსურნედ ამტკერდებოდნენ და თავისუფალ საქციელში ბოჭავდნენ, მამაკაცებთან ურთიერთობისას საიდანდაც უპირატესობის გრძნობა

უჩნდებოდა, ისინი კი მის მცირედ ჭირვეულობას შემწყნარებლურად ან სასიამოვნო მორჩილებით იღებდნენ. ეს უღიღეს კმაყოფილებას ანიჭებდა და, თუ დედა ახლომხლო არ ეგულებოდა, სულ უფრო და უფრო, განგებ ჭირვეულობდა. მან ისიც შეამჩნია, რომ მრისხანე მაშინაცვლიც უკვე ყურადღებრივად და ხაზგასმული მრდილობით ექცეოდა, რაღაც დაძაბული შეწყურებად, ფარულად ან ხელს მოუჭერდა, ან თავის გადაუქნეველ გურკვეველი მნიშვნელობით. ცდილობდა, საზოგადოებაში მისი ყოფნა გაეხანგრძლივებინა. სალომეა ვერ გეტყვოდათ, შემთხვევით მოხდა ეს ამბავი თუ მაშინაცვლი უთავალთვალედა, მაგრამ სულ რამდენიმე ხნის წინ, ის-ის იყო, ვარჯიში დაამთავრა და გუნჯის იხლიდა, როცა იგი მისი ოთახის კარში გამოჩნდა, სალომეა მოულოდნელობისაგან გაქვავდა. მაშინაცვლიც შეყოყმანდა წამით, გერე ნელა მიუახლოვდა, ხელი მოხვია და ჩახრინწული ხმით უთხრა: „რა ვარდის კორებიანი გულმკერდი გქონია“. ამ დროს დღის ხმა გაისმა და პეროდემ სასწრაფოდ მიაგოვა იქაურობა. ამის შემდეგ სალომეა თავს არიდებდა მასთან შეხვედრას, თუმცა ხანდახან თავგებულადეული ფიქრებით გაჰკრავდა ხოლმე გურკვეველი გრძობებით დაბინდულ გონებას, სადაც შურისგების უმისამართო გალდა და ფარული სიამაყის გრძობა გამოირჩეოდა წამიერად. სასახლეში მისდამი დამოკიდებულება შეიცვალა. პეროლიადამ რამდენჯერმე ქალთა წრეში იცეკვა, ყველა დამსწრესთან ერთად უწონებდა და ყოველთვის ასაქურებდა, ნამდვილ სიხარულს კი ის გვირდა, რომ მიეცა შესაძლებლობა მაყურებელი აყოლოდა. მისი აღმშრდელ-მოახლე კარგა ხანია ეგვიპტეში დაბრუნდა. ახლა სალომეა თვითონ ხევედა და ართულებდა იღიღებს, რაც თავისთავად მოძრაობის ახალ ფორმებს ბადებდა. ეგვიპტეში იღიღივლის ახსნა-ჩვენებით როკეის ერთი მთავარი შინაარსი არსებობდა: დაუკონკრეტებულ არსებასთან, უხილავ დეთაებასთან ფიზიკური გამოქვლიანებისაკენ სწრაფვა: მან საიდუმლოდ ისიც გაანდო, რომ ერთერთმა მისმა დაქალბელ დეთაების ეჭვიანობის ნიადაგზე მსხვერპლად საკუთარი ქმარი შესწირა და სარიგულო ცეკვის მსვლელობისას გაძარბი სისხლი დაიდვარა. ამუნის მხევალი ამას რიგუალური პლასტიკით ვაღმოსეკება,

სალომეამ კი ეს მოძრაობები თავის შინაგან განწყობას და საგრძობელთა ერთიანობას მორაგო, რიგში შეუცვალა, ცეცხლოვანი შემაგა და სისტემატური ვარჯიშით ერთუღეს იღიღებს ისეთი ბუნებრივი სიმსუბუქე შესძინა, რომ უადვილეს და, ამავე დროს, უღამამეს, თავისთავად ნაგულისხმე მოძრაობებად აღიქმებოდა. არადა, არა მხოლოდ მთელი დღეები ვარჯიშობდა, არამეუ ხანდახან დამეუ საწითლების სინათლემე კედელმე თავისივე მოფარეუგე აჩრდილს მიძიგინებული მიხრა-მიხრის განსხვავებულ ხამებს აფიქსირებდა. პეროდეს დღიობამე, რომელსაც იგი ყოველწიურად დიდი მემით აღნიშნავდა ხოლმე, პეროლიადამ ვადაწყვიტა, სტუმრების წინაშე სალომეა გამოეყვანა. ვარდა პროვოკაციული ენისხა, იმისა, რომ საბოლოოდ გარკვეული საკუთარ ეჭვებში, თვით პეროდეს მიმართ ქონდა ნიშნისგების განწყობაც, მისი ვაწილების ხილვის სურვილი და, რაც მთავარია, კიდე ერთი ხანაფერის განხორციელება ეწადა. სირიამი დაბინდული ახალგაზრდა ლევაგის სალომეასთვის ვარიგება დაისახა მიზნად. ეს მისცემდა მათ (უპირველესად - მას) საშუალებას, განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა, როგორც რომის იმპერიის ფავორიტი მმართველის ოჯახისა. ამრიგად თავისთავად ვვარდებოდა პირადული თუ ოჯახური პრობლემები.

რად თქმა უნდა, პეროლიადამ ამის ახსნა ვანმარტებას არ მოჰყოლია, უბრალოდ, სალომეას მკაცრად მოთხოვა, მომზადებულიყო საცეკვაოდ პეროდეს პატივსაცემად. სალომეამ დედად ვახიარა. თავი დამწაშავედ მიაჩნდა დღის წინაშე, რაც არამე და არამე მონანიებას არ ნიშნავდა, პირიქით, ალაგმონ შურისძიების ასპარეზის გამოჩენამ. ამიტომ მთლიანად დამთმობი და მამამებური განწყობით შეუღლა მზადებას. საქაულებისა თუ განსაცმლის შერჩევა ვითომც დღის გემოვნების დაყოფიებით ხდებოდა, სინამდვილეში კი სწორედ იმ დროს ეითხებოდა ყახსიდად რჩევას, როცა პეროდესად სხვა საქმეების თადარიგით იყო დაკავებული და ნაუცბათეე თანხმობას აცხადებდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა: ცეკვას რაც შეეხებოდა - ყველაფერი მისი პირადი საქმე გახლდათ და ვერავითარ ჩარევას ვერ აიგანდა. საცეკვაო კოსტიუმის თობამე ჯერ თავისთავისაგ არაფერი ქონდა მოფიქრებული. გულ-



ახილი რომ ყოფილიყო, იგყოფდა, სამოსი სულაც არ არის საჭიროო. ის ცეკვა, რომელიც კარგა ხანია ააწყო, შიშველ ხეუღელს, ბუნებრიობას, პირველყოფილ მშვენიერებას საჭიროებდა, არა იმიტომ, რომ შას, მართლაც, როგორც მაიმინაცვალა აღინიშნა, ვარდის კოკრებივით აფეთქებული გულმკერდი, ვიწრო წელი და ჩამოთლილი კიდურები შეინდა, არამედ იმიტომ, რომ ღვთაებასთან ურთიერთობა გამორიცხავდა ყოველგვარ შუალედობას, ვიღაცის თვალთმაქცობის ან თუ ვინღ უხერხულობის გათვალისწინებას, სიმახინჯის გასამართლებელ გყიღებს, საფარს, რაღაც გამოვონილ არაბუნებრივ კანონს. მაგრამ ყველაფერი ეს სუფევდა იდეალში. პირველ გამოხვლას, მყურებლისიგან მოწონება არმოწონებას დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პეროდიადამ წინდახედულად ნადიმში ქალები არ დაბაგივა. პაგრიარქალური ტრადიცია მანინც ყურადსაღები იყო. პეროდიადამ ერთ-ერთი გამოსახველად ურჩია ჭრელი ცლაყარი ჩაეცვა, რითაც საერთოდ იმოსებორდნენ შუფის ქალწული ასულები. მოსახსამში, ხლამიდა, გუნია, გამჭვირვალე ხელის მარვარები თავისთავად ლამაზები და კარგადაც მორგებულები შეინდა; სარკეში იბომებდა, იჭრდა სხვადასხვა პოზებს და მაინც ვერაფერი მოიწონა. გადაწყვიტა, უშუალოდ ცეკვის წინ გაეკეთებინა არჩევანი. ნადიმის წინადადეს პეროდიადამ დიდიდან ჩხუბი წაპრიწყყო. სხვა დროს დედამისის ჩვეული ანჩხლობა თავის ოთახში განმარტოებულ საღომეას შემოოთებდას არ გამოიწყევდა, მაგრამ პეროდიადას ხასიათიდან გამომდინარე, დღევანდელი გაავება ნადიმის ჩაშლას ხომ არ მოახწავებდა?!

საღომეა წამოიშარდა თუ არა, სასახლეში ჩამოყალიბებული ის აზრი შეისისხხორცა, რომ მათი ოჯახის დაუძინებელი მგერი იოანე მაქარიას ძეა, რჯულის აბუნად ამგლები და თვითმარქვია წინასწარმეცხველი! ამის თაობაზე პეროდიადას და მაიმინაცვალს ხშირად მოსვლიათ უსიამოვნება. მაიმინაცვალი რატომღაც უწინააღმდეგებოდა პეროდიადას მოთხოვნას გადამჭრელი მომების მიღების შესახებ, რათა აღკვეთილიყო ამ ეშმაკისეულისა და ცილისმწამებლის პარპაში. მართალია, პეროდიემ ბოლოს, როგორც იქნა, გაბუდა და საპატიმროში ჩააგდო, მაგრამ

და აი, მამის, მე უკვე ასპირანტურის მტორე კურსზე ვსწავლობდი, - თბილისის აღმასკომს თხოვრით მივმართე - მოეცათ ჩემთვის ბინა. ბინა კი არა, ნებისმიერი თავშესაფარი ნებისმიერ რაიონში - ველაბარში თუ საბურთალოში, ძველ თუ ახალ სახლში, მოწყობილი თუ მოუწყობელი, სულერთია, - ოღონდ სადმე კუთხე გამოეყო ჩემი ოჯახისთვის, რომ დამოუკიდებლად ვეცხოვრა. ჩემს განცხადებაში, რომელიც აღმასკომის თავმჯდომარის აბს. გ. ჯავახიშვილის სახელზე დაუწერე, აღნიშნული იყო, რომ ასპირანტი ვარ, მწერალთა კავშირის წევრი, პარტიული და სხვა.

შუამდგომელი არ მყოლია, „პროტექციას არავენ მიწვედა, უბრალოდ კონსტიტუციით მინიჭებული უფლების საფუძველზე მთავრობას ერთ ოთახს ვითხოვ, რომელიც სამ სულს, - მე და ჩემს ცოლ-შვილს, გვჭირდება ელემენტარული არსებობისთვის.

ჩემი განცხადება „სადაც ჯერ არს“, იქ მოხედა, და როცა შედევით დავემტრესდი, მითხრეს, ადრიცხამე აყვანილი ხარ და შენს ჯერს უნდა დაულოლო. როდის მოაღწევა ეს „ჩემი ჯერი“, უფალმა უწყის, რადგან ჩემი რივითი ნომერი ხუთციფრიანია რიცხვით გამობიბგებოდა...

გალოდა და დრო. ბინის არაფერი ისმოდა. მე და ჩემი მეუღლე უკვე „გაყრილიყვიით“ ვცხოვრობდით: ის ბავშვთან ერთად, სოფელ ხლენიკოვოში, მე კი თბილისის სხვადასხვა ინსტანციებში დავრბოდი, რათა ბინის საკითხი მომეგვარებინა ან ორიოდ ვტროში მემოვნა, რადგან ჩემი შემოსავალი მხოლოდ ასპირანტის სტაქენდია იყო... ამ სირბილსა და გაწამაწაწაში ბოლოს დავრწმუნდი, რომ „ჩემი ჯერი“ არახდროს დაღგებოდა და ამ გზით ოთახს ვერასდროს ვეღირსებოდი...

კარგად მახსოვს ის კაცი, გვარად ხომერიკი, ქალაქის აღმასკომთან არსებული ბინების განაწილების ბიუროს უფროსი (შეიძლება მეშლება ამ დაწესებულების სახელწოდ-

ება, მისი უფროსის გვარს კი, რა დამავიწყებს! ამ კაცმა მითხრა, ეგრე ბინას ვერ მიიღებო. შენ თვითონ უნდა მონახო ქალაქში სადმე თავისუფალი ოთახი და იმას გაგიფორმებო. სულელი ვიყავი და დავუჯერე იმედმოცემული შინ ვთვდი და მამაჩემს ვთხოვე, თავისუფალი ოთახის პოვნაში დამხმარებოდა... იმ დღიდან მოყოლებული მე და მამა მეძებრებივით დაერბოდით ქალაქში და „გამოთავისუფლებულ ოთახებს“ ვეძებდით. მამაჩემმა მაკლერებთან გააბა ურთიერთობა. მილიციის რწმუნებულებას და სახლმმართველებს დაუშეგობრდა. მათთან სვამდა და დახმარებას თხოვდა ეს მოხუცი ინგელიგენტი, პეტერბურგში ნასწავლი, ინჟინერი კაცი... და აი, ერთხელ გახარებულმა მამამ ორი მისამართი მოიგანა: სადღაც ვაკეში და პლეხანოვის პროსპექტის მიდამოებში თავისუფალი ოთახები აღმოჩნდა (იქ მარტოხელა მოხუკები ცხოვრობდნენ და გარდაიცვალნენ). აბა, ახლა შენ იციო, - თქვა მამამ, - ხომერიკს მიუგანე ეს ორი მისამართი და იქნება ამ ოთახებიდან ერთი მაინც გაგიფორმოსო... სასწრაფოდ მეუღლეს ვაცნობე ხლებნიკოვში, რომ ჩამოსულიყო და ბავშვიც ჩამოეყვანა.

ლილი ჩამოვიდა. მე ხომერიკთან გავიქეცი. იმან მითხრა: შევაპოწმებთ თქვენი ცნობების სისწორეს და, თუ ოთახები მართლა თავისუფალია, ერთ მათგანს მიიღებთ...

„შემოწმება“ რამდენიმე თვეს გაგრძელდა. ბოლოს ხომერიკმა მითხრა: ორივე ოთახი მართლა თავისუფალია, მაგრამ ერთს, შესაძლოა, მეშევიდნე გამოუჩნდეს, მეორე ოთახს კი, პლეხანოვის რაიონში, ნამდვილად მოგცემთო. როდის-მეთქი? ცოტა მოცდა დაჯჭირდებაო, - მითხრა ხომერიკმა და იმ დღიდან მოყოლებული ეს ფრამა, „ცოტაც მოიცადეო“ არ მოსიღებია მის პირს. ამას რომ აპბობდა, სულ გამომცდელად მიყურებდა თვალებში, საუბარს აჭიანურებდა და როგორც მერე, დიდი ხნის შემდეგ მიხვდი, თურმე ჩემგან რადაცას მოელოდა: სიგყვებს კი არა, მოქმედებას, ანუ ჯიბისკენ წაღებულ ხელის მოძრაობას... მაშინ ეს აზრადაც არ მომსვლია. ხანდამული მამაჩემიც ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ თურმე ელემენტარული ქ რ თ ა შ ი ს მიემა იყო საჭირო და იმავე წუთში ოთახის ორდერს გამომიწვრდნენ.

ერთი საღამო დამამაბასოვრდა, წინა

დღით ისე ხომერიკთან ვიყავი და გადაჭრით მითხრა: ხვალ მოდი და იმ ოთახის ორდერს ჩაგაბარებო. მე და ლილი, - ვინ იყის უკვე მერამდნე! - შინიდან გამოვედით და პლეხანოვისკენ გავემართეთ ისევე იმ სახლის სანახავად, სადაც სულ მაღლა, თითქმის სახურავის ქვეშ, ერთი ჩაბნელებული ფანჯარა გვეგულებოდა. ამ ფანჯარაში დღე-დღემე ჩვენი ოჯახის შუქი უნდა ანთებულყო და ეს იყო ერთადერთი, რაც გვასულდგამებდა. ეჭვის ნაგამალიც არ აღონებდა ჩემს გულს, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მოხლოდა ხვალ დღითივე და მე და ჩემი ცოლი იმედიანად მივაბიჯებდით იმ ჩვენი ხვალანდელი დღისკენ... ოთახი, რომელიც ჩვენთვის უნდა მოეცათ, მარჯა-ნიშვილის ქუჩის კუთხეში, საიუველირო მაღაზიის უკან მდებარეობდა. ძველი შენობა იყო, შემინული აივნით და „ჩვენი“ ოთახის ერთადერთი ფანჯარა ყოველთვის ჩაბნელებული იყო...

ალეკსანდრე შევედით, მაღლა ავიხედეთ და... კინაღამ თვალთ დამიბნელდა:

„ჩვენს ფანჯარაში შუქი ენთო! კარგა ხანი გავიდა, ვიდრე გონს მოვედი. მერმე ეზოში ვიდაც ქალი განთოვი. მე განათებულ ფანჯარაზე მივუთითე: - „იქ ვინმე ცხოვრობს? - ვეითვე. დიახ, პაგონო, გუშინ შეასახლესო. - ვინ?“ „რა ვიცი, ახალგამრდა სომეხი ქალია, მოღარედ მუშაობს“. „მაინც ვინ არის, რა მოხელეა?“ „რა ვიცი, ქმარი ჰყოლია დაპაგამრებული...“

მეორე დღესვე ხომერიკს მიუვარდი. მან დიდად გააკვირვა, როგორ თუ ვიდაცა შეასახლესო? მე ამის შესახებ არაფერი ვიციო... და ბინების განაწილების რაიონულ ბიუროში განამგზავნა, ალბათ, იმათ მისცეს სხვას თქვენი ორდერი და, თუ ახვა, დედას ვეცირებ მაგათო!.. რაიონულ ბიუროში ხომერიკის სიგყვები რომ გადაეციე, გაიღიმეს და იმ „ჩემს“ ოთახზე გაეცემული ორდერის ასლი დამანახეს - ხომერიკის ხელმოწერილი!.. ხომერიკთან აღარ დაბრუნებულვარ, ისე ვიყავი შემრწუნებული, ალბათ, შემომაკვდებოდა და სიმართლის საძიებლად პარტიის ცეკაში გავწვიე. იქ არ მიმიღეს, ბინის საკითხზე ჩვენ არ გვეხებოდა და ისევე ქალაქის აღმასკომში გამამგზავნეს. აღმასკომში კი მითხრეს: თქვენი განცხადება ამხ. ჯავახიშვილმა რა ხანია ამხ. ხომერიკს

ვალდებულნი ვართ იმას მიაკითხოთ. ამაზე სულ მთლად გადავირიე. დაველოდე ამხ. ჯავახიშვილს აღმასკომის კართან და, მანქანიდან რომ გადამოვიდა, გზა გადავუღობე: ამ წუთში უნდა მიმიღოთ, თორემ აქვე, თქვენს თვალწინ კედელს თავს მივახლიძეთქი!

ამხ. ჯავახიშვილმა, ალბათ, შემაგყო, რომ არ ვხუმრობდი და თავის კაბინეტში შემიყვანა. პალატო არ გაუხდია, ისე მელაპარაკებოდა ჯიბეში ხელეზმანაწყოებით. როცა ეუბამე, რაც მოხდა, ცივად მითხრა: კი, მაგრამ რაშია საქმე? იმ ქალს, ალბათ, თქვენზე ადრე ეკუთვნოდა ბინა და იმიტომაც მისცეს, ისიც ხომ საბჭოთა მოქალაქეთა?! ალექსებრისგან ენა დაშება, თავად არ შესმოდა, რას ვლულულებდი. „ის ოთახი ხომ ჩვენ, მე და მამაჩემმა აღმოვაჩინეთ, მისი არსებობის შესახებ არავინ იცოდა... გყვილებრადლოდ რაგომ გვარბენინეთ, რად მოგვაგყუეთ?“ რას ნიშნავს თქვენ აღმოაჩინეთ? - წარბი შეიკრა ამხ. ჯავახიშვილმა, - ბინები ქალაქის ფონდს ეკუთვნის და მათ კანონის საფუძველზე ვინაწილებით... მე უხმოდ გაგვრიალდი, აღარაფერი მითქვამს.

ამის შემდეგ სულ მალე მე და ჩემი ცოლ-შვილი რუსეთში გადასახლდით. იქ მე და ლილი ჯერ მის ღვიძლსთან მოსკოვში ვცხოვრობდით, ბავშვი კი ბებიასთან, ხლებინკოვოში გვყავდა გაბარებული; მერმე ერთხანს ოთახს ექირაობდით... მოკლე წარმოუდგენლად ეწვალოდით! დისერტაციის დაცვაზე ხელი ჩავიქნიე და ჩემი სამეცნიერო ნაშრომი (ვეფხისტყაოსნის “დასურათებანი”) წიგნად გამოვეყი, რომ აღებული თანხით მოსკოვის მწერალთა კავშირთან არსებულ ბინის საამ-შენებლო კოორპერატივში შესულიყავი. მერმე სასხარესავე ვეწვი, მერმე... მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით შემდეგ ვიამბობთ.

მოსკოვის სამსახური

დავბურუნდეთ ჩემს თავგადასავალს... უკვე გითხარით, მოსკოვში ჩამოსვლისას საშინლად გამიჭირდა-მეთქი. იმდენად გართულდა ჩემი ცხოვრება (ასპირანტურაში სწავლების ვალდებულებითა და 60-მანეთიან სტიპენდიასაც გამომეხდებოდა, რომ მამაჩემი თავისი საინვალიდო პენსიის ნახევარს ყოვე-

ლთვიურად მე მიგზავნიდა, ხოლო, როცა ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი, ჩემს მიერ მოსკოვის გამოძეგვლობაში აღებული მხატვრული ნაწარმოებების ბუკარედ-თარგმანს აკეთებდა და ამით მენმარებოდა (ერთი ცნობილი ქართული მწერლის რომისში ბუკარედ-თარგმანი, - საიდანაც მე და ლილიმ შემდეგ მხატვრული თარგმანი შევასრულეთ და წიგნადაც გამოვეყით) - მამაჩემის - ინჟინერი კაცის! - გაკეთებულა...

ამასობაში მოსკოვში მწერლების კოორპერატიული სახლი შენდებოდა და ახალ სახსრებს მოითხოვდა. ჩემი ცოლი „ინტურისტი“ მუშაობდა თარჯიმნად და მარტო მისი ხელფასით ვცხოვრობდით. მე, ყოფილი ასპირანტი, ჩემს დისერტაციას ვამზადებდი ხელმეორედ გამოსაყვამად (ლექსებისგან განსხვავებით, ამ ნაშრომს „დისიდენტობას“ ვერ დასწამებდნენ!) და სამსახურის ძენაში სხვადასხვა დაწესებულებებსა და რედაქციებში დავებოდი. ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა ვიყავი, მენატრებოდა ისეთი სამსახური, სადაც თვეში 100 მანეთს მაინც მომეძებდნენ, რომ როგორმე ოჯახი შექმნახა. და აი, ერთი მშვენიერ დღეს, როცა მწერალთა კავშირში შევიარე საბინაო საქმეების გასარკვევად და კადრების განყოფილებაში მომუშავე რუს გოგონებს ველაზმდებოდი (გარეგნობით არა მიშავდა!), გამოირკვა, რომ საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის აპარატში ერთი საშტატო ერთეული - ქართული ლიტერატურის კონსულტანტის ადგილი - განთავისუფლდა და ქართული ენის მცოდნე ლიტერატორს ეძებდნენ. „თქვენ ხომ არ ისურვებდით ჩვენთან მუშაობას?“ - მკითხეს გოგონებმა. გამიხარდა, მაგრამ არ შევიმხნეე და ისე, სასხუთაშორისოდ ვიკითხე: ხელფასი რამდენია-მეთქი? 2500 მანეთით. ამის გაგონებაზე მუხლები მომიკვეთა და ალბათ, წავეიქციე, რომ არ ჩამოვჭვადარიყავი. კარგი-მეთქი მოვიფიქრე. „რა ფიქრი გინდათ, დაწერეთ განცხადება და ახლავე შევუკვანთ უფროსს“. წამოვედი მწერალთა კავშირიდან და ვფიქრობდი: არავითარი დაბრკოლება არ უნდა დამიდგეს წინ ამ სამუშაოზე მოსაწყობად: ქართველი მწერალი ვარ, რუსული ბრწყინვალე ვიცი, ასპირანტურა დამთავრებული მაქვს, ლიტერატურის გარდა მხატვრობასაც ვიცი, თეატრსაც, ამაღსთან, პარტიის წევრიც ვარ, თან მოსკოვში ვცხოვრობ,

ვაპირებ ცხოვრებას...

ბარემ აქედან ვემსახურები ჩემს სამშობლოს, ჩემს ქართულ ლიტერატურას! ისევ მწერალთა კავშირში დაებრუნდი და განცხადებ დავწერე გამგეობის იმდროინდელი თავკაცის კონსტანტინე სიმონოვის სახელზე, სადაც ყველა ეს ჩემი ღირსებები ჩამოუთვალე. შევედი კიდევ მასთან და ვესაუბრე. გამოირკვა, რომ ჩემი ლექსებიც ჰქონდა წაკითხული... გამომშვიდობებისას სიმონოვმა მითხრა: თქვენი კანდიდატურა პირადად ჩემთვის მისაღებია, მე მხოლოდ თბილისს დაველაპარაკები და ამ საკითხს ირაკლი აბაშიძესთან შევათახსებო.

იმედოცემული და გახარებული მინ წამოვედი და დღე-დღეზე მწერალთა კავშირში გამოძახებას ველოდებოდი, მაგრამ, როგორც იტყვიან „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო“. შევედი თუ არა სიმონოვთან, შევაგვევ, რომ ჩემი საქმე არც ისე კარგადაა, როგორც შეგონა. „ისეთი რა ჩაიდინეთ თბილისში, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ერთხმად აცილება მისცა თქვენს კანდიდატურას?“ „რაგომ? - გავშირე მე. „ეს თქვენ უნდა გკითხოთ, - ვანაგრძო სიმონოვა. - დღეს დილით ველაპარაკე აბაშიძეს და მითხრა: პრეზიდიუმი წინააღმდეგია, რომ ქართული კულტურის კონსულტანტად მოსკოვში მიხვილ ქვლივიძე დაინიშნოს! მაინც რა ჩაიდინეთ?“ „იცით, კონსტანტინე მიხეილის-მეც, ძალიანაც რომ შლომბოლა, ქართველი მწერლების წინააღმდეგ რაიმე ცუდი ჩამედინა, უბრალოდ, ვერ მოვასწრებდი: სულ ახალგაზრდა წამოვედი თბილისიდან, მანამდე კი, ძირითადად, სახვით ხელოვნებასთან მქონდა საქმე, როგორც სამხატვრო აკადემიის სტუდენტსა და ასპირანტს. მწერლობასთან მარგო ის მაკავშირებდა, რომ ლექსებს ვწერდი და, თუ ჩემი დაწერილი სხვებისას ჯობდა, არ ვიცი... ნუთუ ეს დანაშაულია?“ სიმონოვს შეუქმნევლად გედიმა: „კარგი... მოდი, ასე მოვიქცეთ: მე ახლა დაველაპარაკები აბაშიძეს, თქვენ კი პირადად უნდა აპარაგის ყურმილი დაიღეთ და თვითონ მოუსმინეთ, რას ამბობენ თქვენზე...“

სიესა არასდროს დამწერია, მაგრამ ახლა უქაბოხვია დიალოგის სახით გადმოგცეთ ის სატელეფონო საუბარი, თანაც რუსულად, რომ არაფერი არც დაუემბათ, არც მოეკლო...

სიმონოვ - Здравствуй, Иракли! Вчера

ты сказал что ваш президиум отверг кандидатуру поэта Квливидзе на должность консультанта по грузинской литературе. почему?

Абашидзе - Они сказали, что он молодой... они его не знают... и вообще, они сказали, что хотели бы иметь в Москве своего человека.

Симонов - Послушай, Иракли! Молодой - это хорошо, зачем нам держать здесь старого склеротика?. Что же касается того, что они его "не знают", это извини меня, ваша проблема! Вот здесь лежит справка из отдела кадров... Я прочту: ("Квливидзе член Союза Писателей с 1946 года, автор нескольких поэтических сборников, написал научный труд для соискания звания кандидата-Искусствоведения, в совершенстве владеет русским языком, член КПСС"... по моему, достаточно... а насчет "своего" человека, прости, я не понимаю: что значит, "ваш" или "наш" человек? мне кажется, эти слова из другой области и к нашим писательским делам отношения не имеют.

Абашидзе - Конечно, конечно... Я тоже так сказал, но они...

Симонов - А ты-то сам, лично, поддерживаешь эту кандидатуру?

Абашидзе - Я не против.

Симонов - Ну и прекрасно. Всего хорошего. До встречи.

სიმონოვმა უკრმილი დაღო და მე მომიბრუნდა: Пошли они к... матери (შესტად ასე თქვა) Идите и работайте.

იმ დღიდან დაიწყო ჩემი სამსახური საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობაში - ქართული ლიტერატურის კონსულტანტად. ხელუხასიე კარგი მქონდა, ბინაც შენდებოდა მოსკოვში, ყველაზე მთავარი კი მაინც ის იყო, რომ მთელი ჩემი საქმიანობით საქართველოსთან, ქართულ მწერლობასთან და ქართულ ენასთან ვიყავი დაკავშირებული და, მამსადადე, გადაგვარება და გარუსება არ მემქერებოდა!.. საქართველოში გამოცემული ყველა წიგნის „პუბლიცებელი ეგემქლარი“ (მხედველობაში შექცეს მხატვრული ლიტერატურა) მოსკოვში, მწერალთა კავშირში მოდიოდა ჩემთან: ამაზე დიდი ბედინერება რა უნდა ყოფილიყო სამშობლოდან



ვადახვეწილი ქართული მწერლისთვის?!

სანამ დაემათიერებდე მოსკოვის სამსახურში ჩემი მოწყობის ამბავს, კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო, რაც სამსახურის დაწყების შემდეგ მოხდა. არავითარი „დიდი“ თანამდებობა მე არ შეკავა. ჩემი მოვალეობა იყო, თვალყური მედევნებინა ქართული ლიტერატურისთვის, მეზრუნა იმაზე, რომ ჩვენი საუკეთესო წიგნები რუსულად ეთარგმნათ და მოსკოვში გამოეცათ, დროულად და ორგანიზებულად ჩაეგარებინათ საკავშირო ლიტერატურული ღონისძიებანი, როგორც: ყრილობა, ლექაბა, კონფერენცია, იუბილე და სხვა..

ერთი სიგყვით, ქართველ მწერალთა „დესპანი ვიყავი საკავშირო მწერალთა კავშირში. ხოლო, რადგანაც საკავშირო მწერალთა კავშირი მოსკოვში იყო, სსრკ-ს დედაქალაქში, და მეც მოსკოვში ვცხოვრობდი, ზოგიერთ უკვე სახელიან, მაგრამ საკმაოდ ჭკუათიხელ ქართველ მწერალს რაგომდაც „დიდი“ და გავლენიანი კაცი ვეგონე, ვისაც მისთვის სარგებლობის მოგანა ან ზიანის მოყენება შეეძლო! ამიტომაც, დამნიშნეს თუ არა კონსულტანტად, ზოგიერთმა ჩვენმა მწერალმა უმაღლვე შეცვალა ჩემდამი დამოკიდებულება და დაიძრა საქართველოდან მამებლობის ნაკაღი! გუშინდელი ჩემი განმქიქველები „მეგობრებად“ გადაიქცნენ! შავანი მწერალი, „კლასიკოსად“ რომ მაჩინდა თავი და მისალმების დირსადაც არ მოვლიდა, დღეს პირზე კონცით შეგებებოდა და რესტორანში მებაგიყებოდა! ასეთებს შორის, სხვათა შორის, პრემიადიუმის წვერებიც იყვნენ და ისინი განსაკუთრებით აქტიურობდნენ: თავიანთ წიგნებს მუქნიდნენ გულისამაჩუყებელი ავტოგრაფებით, გელეფონით შირიკავდნენ, მიგზავნიდნენ წერილებს, მოსალლო დეპეშებს, ხოლო როცა თბილისში მხვდებოდნენ, შინ მებაგიყებოდნენ და სუფრას მიშობდნენ! გავიდა ხანი და დაახლოებით ორასამდე ავტოგრაფიანი წიგნი დამიგროვდა. რა აღარ ეწერა იმ ავტოგრაფებში: გამოირკვა, რომ მე თურმე „ქართული პოემების სიამაყე“ ვყოფილვარ, რომ ვიღაცის „უსაყვარლესი მეგობარი“ ვარ, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ჩემისთანა „ღირსეული დესპანი“ ქართულ მწერლობას მოსკოვში არასდროს უყოლია!..

ერთ დღეს შევავროვე ეს წიგნები, ამოვხ-

იე ავტოგრაფიანი ფურცლები და მათგან ახალი წიგნი ავაკინძინე, რომელსაც „მამებლობის მაგიანი“ დავარქეი... ახლა ეს უჩვეულო გამოცემა თაროზე მიდევს. შესვხედავ ხოლმე, გამახსენდება მოსკოვში გაგარებული წლები და... მეცინება!

ამ რუსულ სოფელ ხლებნიკოვში

ხუთი წელიწადი, სანამ მოსკოვში მწერლების სახლი შენდებოდა სოფელ ხლებნიკოვში ვცხოვრობდი - ჩემი სიღვდრის მაგარა, ისლით დახურულ ქოხში. აქედან საგარეუბნო მაგარებლით დავდიოდი სამსახურში. გვიან დამით, შინ რომ ვბრუნდებოდი. მოგჯერ თოვლსა და ყინვამი ფეხითაც მიწვევდა სიარული, ხშირად კი დადიოდა ან მთვრალს ვავიხსენებ ჩამქინდებულ და ჩემს სადგურს გავცილდებოდი...

ხლებნიკოვო ჩემი ცხოვრების გახუყრელი ნაწილია. ბევრი მოგონება მაკავშირებს მასთან, მაგრამ, ალბათ, ყველაზე მთავარი ის, რაც ღეჭსად ამოვიქვი:

ამ რუსულ სოფელ ხლებნიკოვში, ქოხში, რომელიც მე არ შეკუთვნის, არის ოთახი, სადაც მე ვცხოვრობ: სამი ნაბიჯი - აქეთ და იქით. ცარციო გახვილი მრუდი კედლები და ერთი კედელზე სურათი იმის, ვინც უცხოეთში ვადახვეწილმა მარტობაში დალია სული...

ო, აქ ბევრი რამ უცხოა ჩემთვის, ამ რუსულ სოფელ ხლებნიკოვში: მჭლე, სისხლნაკული არყის ხეები, ოთხივე კუთხით გახსნილი სივრცე - უსამშველო და მიუსაფარი და „გამარჯვების“ ნაცვლად

„მღრავსტევაჯე“, დილით რომ მესმის გამოსულს გზაზე...

რაც მართალია, აქ არაფერზე, წესით, არ მეთქმის მე საყვედური: ყველა გულთბილად მეყარობა, ყველა ყოვლად უმაღლ დიმილს მთავაზობს და, თუმცე გარმონის ხმას აყოლილი მე მოგჯერ მესმის დედის ვინება, ასე განსაჯეთ, მასაც თან ახლავს სიკეთით სავსე რუსის დიმილი...

აღბათ, იციოხავთ: რა მაძლებინებს ამ სიმორემზე წამოსულ ქართველს? რა და, მისმინეთ: იმ ჩემს ოთახში, იქ, სადაც თავგი, როგორც იცხვიან, კულს ვერ მოიქნევს თავის ნებაზე, მაქვს შენახული ერთი საუნჯე, რომლის შესახებ არავინ იცის, გარდა იმ კაცის ვისი სურათიც ამშვენებს ჩემი ოთახის კედელს...

მხოლოდ მან იცის, როგორ მითავსდა ამ საკანითი ვიწრო ოთახში კაკეასიონის ურჩი გრეხილი და შეცა ლურჯი - ისეთი, რომლის მსგავსი მე ქვეყნად არ მეგულება! და განა მარტო მთები და შეცა? ყოველი კუთხე მშობელი მიწის, ყველა მარაგმა, ბილიკი ყველა, გადაჩრდილული კაკლის ხეებით, ყველა ვენახი და ყველა ეზო, ყველა ვაშლის ხე, ნაყოფით სასეყ, გოგებდახრილი, შემოდგომაზე ფეხშიძე ქალს რომ დაემსგავსება, - ეს ყოველივე მითავსდა ერთად ამ ჩემს პატარა ვიწრო ოთახში!.. არ ვიცი, კიდევ რამდენი ხანი მომიწევს ყოფნა

ამ რუსულ სოფელ ხლებენიკოვოში... მე არაფერი გამიკვირდება, გარდა ერთისა: ის მივივრს მხოლოდ, ვით დაეგია ამ ჩემს ოთახში (საში ნაბიჯი - აქეთ და იქით) ჩ ე მ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო:

მისი ყამირი,
მთები
და შეცა?!

„ამ ჩვენს პატარა საქართველოში“ - ასე მღერინ ჩემს ქვეყანაში. იქნებ მას მივღომ „პატარა“ შქეია, რომ ყველაგან, სადაც მიდის ქართველი, მას თან მიჰყვება მიწის ეს კუთხე - ორი ზღვის შუა მღებარე სივრცე, რომელიც კაცის გულში ეტევა...

გალაკიონი მისკოვი

შევეცდები, მუსკად აღვადგინო ხსოვნაში, რაც 50-იანი წლების დასაწყისში მისკოვში მოხდა, საბჭოთა მწერლების მეორე საკავშ-

ირო ყრილობაზე...

ყრილობას. წინ უსწრებდა მოსკოვიდან თბილისში მაღალი რანგის ხელმძღვანელი ამხანაგების „საინსპექციო“ ჩამოსვლა (მამის, სსრკ-ს ხალხთა ეროვნული კულტურების „თანასწორუფლებიანობის“ პირობებში, კომუნისტური პარტია არასდროს იფიქვებდა დიდი რუსეთის - ჩვენი „უფროსი ძმის“ - ავანგარდულ როლს ყოველგვარ საქმიანობაში).

რუსი ხელმძღვანელების ჯგუფს თბილისში, როგორც ქართული ლიტერატურის კონსულტანტი, მეც ჩამოყვევი. ქართველი მწერლების საერთო კრებასაც დავესწარი, სადაც ყრილობის დელეგატები აირჩიეს. კრება დიდხანს გაგრძელდა. ჩვენივეს დამახასიათებელი ენათაღელვა, შეზღა-შემოხლა, ერთმანეთის შეურაცხყოფა და სხვა (ამდენი მწერალი თუ მკაცროს საქართველოს, მანამდე არ ვიციოდი!) არადა, ვინ აღარ ესწრებოდა კრებას: მთავრობის წარმომადგენლებიც, სხვადასხვა უწყების მოხელეებიც, ლიტერატურის მოყვარულნიც, სეირის მაყურებლებიც... მოკლედ, ყველა იქ იყო, საქართველოს სახალხო პოეტის, გალაკიონ ტაბიძის გარდა!

ღია კენჭისყრით აირჩიეს ასამდე დელეგატი. შეადგინეს მათი სია - ანბანის მიხედვით - და გაუგზავნეს ცეკას მიღივანი, აშხ. მჟავანაძეს, ვისაც ეს დელეგატები მთავრობის სასახლეში უნდა შეხვედროდნენ, რათა საქართველოს თავკაცისგან ჭკუა-ღარიგება და სათანადო ინსტრუქცია მიეღოთ იმის თაობაზე, თუ რა ელაპარაკათ, როგორ მოქცეულიყვნენ მოსკოვში.

მეორე დღეს მთავრობის სასახლეში აშხ. მჟავანაძემ მივივილო. რუსეთის ყოფილი გენერალი თავისი მხედრული რუსული მოგვესალმა და დელეგატთა მისი ანოკითხვას შეუღდა. შუამღევ არ იყო მისული, უკებ შეჩერდა და გაკვირვებულმა იკითხა: „გლეტუგ გალაკიონ? ვგო ჩგო, ნე იმბრალი?“ დარბაზში უხერხული სიმუშე ჩამოვირდა. აშხ. მჟავანაძემ გვერდით მჯდომ ირაკლი აბაშიძეს გადახედა, მერე სერგი ჭილაიას მიუბრუნდა და შეკითხვა გაიმეორა. სწორედ ამ დროს დარბაზიდან ენაბლუ აღეკო შენგელისაშ შემახილი გაისმა: „დ-დააიწყდათ, ბ-ბატონო! გ-გალაკიონისთვის სად ევალათ, არც უსხენებიათო! დარბაზში თავშეკავებული ფრუტუნი და სიცილი გაისმა. იყინოდნენ,

რასაკერძეულია, „მეორეხარისხოვანი“ მწერლები, თორემ პრემიადიუმში არც გაუღიმიათ, თავდახრილები ისხდნენ დანაშაულზე წასწრებულუბრებით. ცეკას მდივანმა მხრები აიჩინა, „იერუნდა კაკაია-გო!“ ჩაიბურგუა, კალამს დასწავდა და თავის ხელით დელეგატთა სიას სულ ბოლოში ჩვენი უპრეზიდენტი პოეგის სახელი და გვარი მიაწვრა...

მოსკოვში დელეგატები მაგარებლად აბოვიდნენ. რუსი მწერლების გუგუთიან ერთად კურსის ვაგზალზე მეც გავდი. იყო ო რეკორდი. ყველაზე: ტრანსპარანტები - მოკლე, ყველაფერი იყო. იმ წინასწარ დაქუშებული სქემის მიხედვით, რასაც საბჭოური „ხალხთა შეგობრობის“ რიგულს უწოდებდნენ!..

გალაკტიონი დელეგაციას არ ჩაპყლიდა. თბილისიდან დაბრუნდა გვანდობის, რომ იგი მეორე დღეს აპირებდა ჩამოსვლას. მეორე დღეს მარტო წავედი კურსის ვაგზალზე მის დასახვედრად. თავიგულები და ტრანსპარანტები აღარ იყო, მაგრამ მე მაინც ვიყოჩაღე და ერთი ვარდი ვუყიდე ჩემ საყვარელ პოეგს.

ჩამოვლა მაგარებელი. დაიცალა. გალაკტიონი არ ჩანდა. ბაქანზე მგვირთავებილა დარჩნენ. საერთაშორისო ვაგონში შევედი და რას ვხედავ: კუპეში გალაკტიონი მის მარტომარტო. იგი გახტეზე ნებიერად გადაწოლიდა, ფეხი ფეხზე გადაუღია და პირის აბოლებს. მუშობლად მდებარე კუპეს კარი ღიაა და იქ, საწოლზე ყველა თბილისელისთვის კარგა ნაცნობი, გასკდომამდე გატენილი პოეგის გაცრეცილი პორტფელი დევს. გამარჯობათ-მეთქი, ბაკონო გალაკტიონ! თავი არ აუწევია, მაგრამ ქართული რომ გაიკონა, ქართულადვე მიპასუხა: მე აქ, ძამიკო, ოროთხაიანი კუპე მამქს, ჩემი ხაბაკი იქითაა და გამომიტანეო.

სასტუმრო „მოსკოვში“ მივიყვანე. ჩვეულებრივ ერთადგილიან ნომერში დავაინავე, რადგან ყველა „ლექსი“ უკვე დაკეპული აღმოჩნდა ადრე ჩამოსული „ხელმძღვანელი ამხანაგებით“. ისე დავემშვიდობე, არც გამოცნაურებივარ...

სანამ ყრილობა დაიწყებოდა, სსრკ მწერალთა გამგეობის მდივანმა ახ. ვორონკოვმა გამოგვიძახა ლიტკონსულტატები (ჩემს ვარდა იქ სხვა ეროვნული ლიტერატურების წარმომადგენლებიც იყვნენ) და დაგვაპალა,

ვინების მიხედვით დაგვესახელებინა თითო გამოჩენილი მწერალი. ასე ვიქვით, ლიტერატურის „პაკრიარქი“, რათა ისინი ყრილობის პრემიადიუმის შემადგენლობაში შეეყვანათ. დიდხანს არ მოვიქირა: პოეგებიდან - ვალაკტიონი, პრ.ომიდან - ლეო ქიაჩელი, დრამატურგებიდან - შალვა დადიანი და ვუცხადე (ირაკლი აბაშიძე თავისთავად უნდა მუდარყო პრემიადიუმში, როგორც ქართველ მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მაგრამ ისიც ხომ პოეტი იყო, მე ეს არ გამითვალისწინებია და შევედი, ვერ მოვიპარე, რომ ჩემი არჩევანით პრემიადიუმში ორი პოეტი აღმოჩნდებოდა, რაც, შესაძლოა, ერთერთი მათგანს თავისი პრესტიჟის შელახვად მოსიყენებოდა. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. მაკრამ ამამე ქვემოთ).

დანიშნულ დღეს „კავშირების სახლში“ გაიხსნა ყრილობა. დიდი ჭალებით გაბრწყინებულ დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. მე დამიგვიანდა და, როცა ფეხაკრეფით შევალა გვიდი მოგვებზე და სცენას გავხედი, თებამს და დავუკრე: პრემიადიუმში ვალაკტიონი არ იყო! თავმჯდომარე სურკოვის გვერდით ირაკლი აბაშიძე იჯდა. ცოცხა მოშორებით - თეთრ ჩოსაში გამოწყობილი შალვა დადიანი გამოტყუდიყო, ვალაკტიონი კი არ ჩანდა. შევწუხდი და ავწერიალდი. გავიქეცი ყრილობის შტაბის ოთახში, მაგრამ იქ არავინ დამხვდა. კარგად მოვათვალდიერე პარტერი, იარუსებზე ვედი, ვესტიბულში მოვიდიე... უშეგეოლ! იმეგაწყევილმა, ქანდარას მივაშურე, სადაც ბნელოდა და კაციმედი არ ჭაჭანებდა და... სწორედ იქ აღმოჩნდა ვალაკტიონი! იგი სულ ბოლო რიგში იჯდა, პალკოთი. თავზე შლაა ეხურა, ფარულზე მოშეგული, და სიბნელეში სახე არ უჩანდა. ახლო მივედი: „აქ რა გინდათ, ბაკონო ვალაკტიონ? თქვენი ადგილი ხომ იქ არის, პრემიადიუმში? განა თქვენთვის საგანგებო ბილეთი არ მოუყიდათ?“ რუსულად გამცა პასუხი, თან ისე მელაპარაკებოდა, თითქოს აღმინისტრაციის წარმომადგენელი ვიყავი, ვინმე კონტროლიორი, რომელსაც მისი დარბაზიდან გაძევა სურს: „რა გინდათ ჩემგან? აი, ბილეთი! აი, აქ, შეხედეთ!“, - აკანკალებული ხელით ვიბიდან დაჭმუნული მოსაწვევი ბარათი ამოლიო, ჩვეულებრივი, ისეთი, ყველას რომ ურიგებდნენ განუთხავად... - „თქვენ მაგლები აქედან? - განაგრძობდა

კიდევ ერთი მოგონება გალაკტიონზე

გალაკტიონი, - ვინ მოგვით ამის უფლება? მე პოეტი ვარ, დიას, სახალხო პოეტი!" - განგებ ლაპარაკობდა რუსულად, თითქოს ამით მასხარად მიგვლებდა მეც, ყრილობასაც, თავის თავსაც, აშკარად ეგყობოდა, ტიპუბოდა თავისი დამცირებით და ამ მწარე, მამოხსნებელ სამოქმედოებს ამგვარად გამოხატავდა... აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვაგრძელებდა ჩვენი ქართულ-რუსული დიალოგი, სადაც მე ჩემსას ვამბობდი, ის კი თავისას გაიძახოდა, თითქოს ყურთ გვაკლდა ორივეს ან ერთმანეთის ენა არ გვესმოდა. ბოლოს, როცა მე დავეინებით ჩაძიხზე და გავუშვირე: მისიელ ქელივიძე ვარ, ქართველი, აქ ვმსახურობ მწერალთა კავშირში, საღვურშიც მე დაგხვდით-მეთქი... თავი ასწია, შემომხედა და ქართულად ჩაილაპარაკა, ჩემად, თითქოს თავის თავს ეუბნებოდა: „ქელივიძე?! ის მხატვარი, ლექსებს რომ წერს... როგორ არ ვიცი, მოსკოვში ცხოვრობს... საღვურში თქვენ დახვდით და ვარდი შიმიტანეთ“. კინაღამ ვავიცივდი სისხრულსგან: გალაკტიონს თურმე ჩემი სახელი სცოდნია, დმერთო ჩემო, ამაზე მეტი რა უნდა მენარგა?!.

სათაყვანო პოეტი დამცირებისთვის სამაგიეროს გადახდის ვინთი ალტკინებული ისევ ყრილობის შტაბში ვავიციევი. საბუნდოვროდ, იქ ვორონკოვი დამხვდა, ვისაც მე ორი დღის წინ ყრილობის პრეზიდიუმის წევრად გალაკტიონიც დაუხსახელი.

აი, ჩვენი მოკლე საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი:

- რაგომ მის გალაკტიონი ქანდარაზე?
 - თქვენს ხელში. ანელს შკითხე. მან თქვა: გალაკტიონი პრეზიდიუმში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევეშვათ, მთერადი მოვიარო.

რა უნდა მეპასუხა? მეთქვა, რომ ქანდარაზე გალაკტიონი აბსოლუტურად უხიზელი იყო, ისეთივე უხიზელი, როგორც მატარებელში, რასაც ვერ იგყოფით მის კოლეგებზე. რომლებმაც საზეიმო შეხვედრისას კურსკის ვაგზლის ბაქანი ბანცალ-ბანცალით გაიარეს?!

მკვლელობა სხვადასხვანაირი არსებობს, პოეტიც მოკვდა ასევე შეიძლება.

1958 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და კულტურის დეკადა ჩატარდა. გალაკტიონიც ჩამოვიდა, ქართველი მწერლების დელეგაცია მრავალფეროვანი იყო. ათი დღის განმავლობაში ჩვენი მწერლები მოსკოვის მოქალაქეებს წარმოუბა-დაწვევებში, კლუბებში და ბიბლიოთეკებში ხვდებოდნენ. მახსოვს ქართული დელეგაციის „პრესტიჟული“ ნაწილი, ანუ ის მწერლები, ვისაც რაიმე თანამდებობა ეკავა, განსაკუთრებით იმ თანხმორიგისკენ მიიღვლოდა, სადაც მათ გამოსვლას მოთვრობისა და პარტიის ხელმძღვანელები მოისმენდნენ; გალაკტიონი კი განცალკევებით იღდა და თავის მხრით არავითარ ინიციატივას არ იქნდა. თუ ვინმეს გაახსენდებოდა და დაუძახებდნენ, მარტო მაშინ მონაწილეობდა დეკადის ღონისძიებებში. ერთი-ორჯერ ქარხანაშიც გამოვიდა, ბიბლიოთეკაშიც, მაგრამ, მე მგონი, თავის გამოჩენაზე უფრო თავისი წიგნის ბედი აინტერესებდა, მოსკოვის გამომცემლობაში რომ უნდა გამოსულიყო.

პოეტური და ადამიანური ღირსებით სახვე გალაკტიონი არც საბოლოო, შემაჯამებელ შეხვედრას დასწრებია კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

იმ დღეს დეკადა დაიხურა. სამეიმო საღამოს კონსტანტინე სიმონოვი თავმჯდომარეობდა. წინა დღეებში კი ისეთმა ვენებოთაღვლემ მოიცვა ქართველი მწერლები, რომ... მოკლედ ამის გაღმეცემა, ალბათ დავით კლდიაშვილის კალამს თუ შეუქლია, მე კი უძღური ვარ! საქმე ის არის, რომ შემაჯამებელ საღამოს, როგორც გავიგეთ, თვითონ ნიკიტა ხრუშჩოვი (!) უნდა დასწრებოდა, ამის შემდეგ კი ორდენების დარიგება დაიწყო. ანუ... ახლად მისახვედრია, რა გაწამაწამა აწია ახლად ქართველ მწერლებში იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გამოსულიყო საღამომზე სიტყვით, მისალმებით თუ ლექსით!.

ერთმა ქართველმა პოეტმა, სასტუმრო „მოსკოვიში“, თავისი ნომრის კარის ჭრილში წერილიც კი გამოაპირინა ყველას დასახანად, სადაც იმუქრებოდა: თუ სამეიმო კონცერტის პირველ პროგრამაში არ შემიტანთ, თავს მოვიკლავ. რევოლუციონი თან მაქვსო! ერთი ალიაქოთი ატყდა. ბოლოს „კავებებს“



თანამშრომლებმა შეანგრეს ოთახის კარი და განაირაღეს ბელოვლათი მგოსანი (რომელსაც იარაღი მართლა აღმოაჩნდა, რაზეთუ „სუკის“ აგენტიც ყოფილა).

აი, ასეთ ვითარებაში, გლაკიონმა, როგორც იცხვებიან, მაიფურთხა ყველაფერს, დაჰკრა ფეხი და თბლისისკენ მოუსვა...

პირველი ორდენი

იმ საზეიმო საღამოზე, რომელიც გლაკიონის გარეშე ჩატარდა, სხვა ამბებიც მოხდა. მაგრამ ეს გლაკიონის არ ეხება და, რადგან იმ ამბების მონაწილე და, შესაძლოა, „გმირიც“ მე ვიყავი, გაამბობთ...

ხრუშჩოვი, ვისაც ელოდნენ, არ მოვიდა. კონცერტს ევატერინე ფურცევა ესწრებოდა - ცეკას მდივანი და საბჭოეთის ყველა კულტურული ღონისძიების გამგებელი და კურატორი. ამ ქალის სახელი შიმის ზარს სცემდა კულტურის მოღვაწეებს: მწერლებს, მხატვრებს, რეჟისორებს, კომპოზიტორებს...

მას უკავშირდებდნენ თეატრების დახურვას, კინო-ფილმებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების აკრძალვას, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელების დანიშვნა-გადაყენებას და, თუმცა ქვეყნის ოფიციალურ იდეოლოგიად ბებერი, გამოთავყვანებული სუსლოვი ითვლებოდა, რეალურად იდეოლოგიურ კონცერტს ქვეყანაში შედარებით ახალგაზრდა და ლამაზი ქალბატონი ფურცევა აბორიციულებდა...

კონცერტი დაიწყო. პროგრამა ისე იყო შედგენილი (და ცეკასთან შეთანხმებული), რომ თითოეულ მონაწილეს გამოსვლის ორიოდე წუთი ეთმობოდა, ეს იმიტომ, რომ თავის გამოჩენის მსურველი ქართველთა შორის ბევრი აღმოჩნდა, დრო კი შემზღვეული იყო: ხომ არ შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიება, რომელსაც საკავშირო მასშტაბის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ!

კონსერვატორიის დიდი დარბაზი ხალხით გაიგინა. სცენაზე ქართველი მწერლები და კულტურის მოღვაწეები ისხდნენ. მე სულ ბოლო რიგში ვიჯექი... სანამ ჩემს ადგილს დაეკავებდი სიმონოვს მოვახსენე, რა და როგორ გაკეთდა (ამ კონცერტის ორგანიზატორი ვიყავი, როგორც კონსულტანტი) და

პროგრამა გადავეცი. სიმონოვი ადგა და პირველად ირაკლი აბაშიძე გამოაცხადა. ირაკლემ ქართველად წარმოიტყვა თავისი ლექსის ერთი ტაგმა, მთელი ლექსის რუსული თარგმანი უი შეეიროვნა წაიკითხა. მერმე, ირაკლის შემდეგ, ვიორგი ლეონიძე და გრიგოლ აბაშიძე გამოვიდნენ. მათაც თითო ტაგმა ქართულად იტყვე, დანარჩენი მთარგმნელებმა წაიკითხეს... ეს ლექსები თემატურად საოცრად ჰგავდა ერთმანეთს: ერთი კომუნისტურ პარტიას აღივლიდა, მეორე ხალხთა შეგობრობას, მესამე კი საბჭოთა კოსმონავთგებს ეძღვნებოდა... მე წინდაწინ ვიყო, კონცერტი მუალამემდე გასტანდა და, რადგან პროგრამაში ჩემი ხსენებაც არ იყო, გადავწყვიტე შინ წასვლა, მაგრამ სანამ წაიდიოდი, საჭიროდ ჩავთვალე, ჩემი უფროსისთვის პაგარა წერილი მიმეწერა.

და მიეწერე სიმონოვს: კონსტანტინე მიხეილის-ძე, ყველაფერი გავაკეთე რაც შეეძლებოდა, აქ უკვე ზედმეტი ვარ და სახლში მივლივარ. მწყინს, რომ ქართველი პოეტი მხოლოდ ვეგსახურბოლი ჩვენს დელეგაციას და პროგრამაში არ შემეცანეს... რას იმამ, დროში ვერ ჩავეტყე! კარგად ბრძანდებოდათ“. გადავაწოლე ეს ბარათი თავმჯდომარეს და წასასვლელად მოვემზადე. სწორედ ამ დროს სიმონოვი ადგა, პროგრამა გვერდით გადადო და გამოაცხადა: სიგვეა აქვს პოეტ მიხეილ ქვიციანი!

ყველაფერს მოველოდი ამის გარდა. მუხლები მოშეკვეთა. აღარ მახსოვს, როგორ მივლასლასდი გრიბუნასთან. რა წაუვიკითხო? „უშმა!“ - გამიელვა თავიმი და წუთით არ დაეფორტიულვარ, ისე დავიწყე მართლოკის ბრწყინებულად თარგმნილი ჩემი უსაყვარლესი ლექსის კითხვა:

შენ ჩაგვიძინა და შუქი დაგრჩა ჩაუქრობოდე. საწოლითა, იქვე, გამლილი წიგნი ღლიან და ფარლებს ღია ფანჯრებზე ატოკებს ქარო...

დარბაზი ისე გაისუხა, ბუზის გაფურენასაც გაიგონებდით. პირველივე სტრიქონებმა დააინტერესა მსმენელები, რომლებიც ასეთ ლექსს - სიყვარულზე დაწერილ ლექსს! - ამ ოფიციალურ, თუ გნებავთ, სახელმწიფოებრივ და პარტიულ ღონისძიებაზე, სულ არ მოელოდნენ, მოგიერთებს ისიც კი ეგონათ, თითქოს რაღაც ანცისახელმწიფოებრივ პროკლამაციას ვკითხულობდი! მერმე თან-

დათან გაერკენენ, ლექსის დინებამ დააგყვება და, როცა ბოლოს ვთქვა:

...გვერდით ოთახში წვეს შენი ქმარი
და იგი სულაც არა ჰგავს იმას,
ვინც მწვერვალებზე სიარულს ბედავს!

დარბაზი ლაშის დანგრეა ტამისგან!.. ოვ-აიცი დიღბანს არ წყდებოდა. ისევ და ისევ მამბრუნებდნენ ტრიბუნასთან, ახალი ლექსის წაკითხვას მოხოვდნენ, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ჩემი დრო ამოიწურა და სასაცილო თავის კანტურითა და ხელების ქნევით სცუ-თავს გვეყარდი. ქუჩაში გამოსულმა მან-ქანა გაგაჩერე, შინ მივედი და ღლივს ვუთხარი: დღეს ბანკი მოვხსენი-მეთქი!

სამსახურში ორი კვირა არ გამოეჩენილვარ. მხოლოდ მაშინ მივედი, როცა ჩვენი დელეგაცია თბილისს გაემგზავრა. სულ მახსოვდა, რა მტკნარი სახეები მქონდათ ჩემს თანამემამულეებს, როცა სიმონოვმა მოულოდნელად „წამყვანი“ ქართველი პოეტების პირველ ხუთეულში გამომაჩხადა და ამით წლობით ჩამოყალიბებულ საბჭოური „ტრადიცია“ დაარღვია!

კარგა ხანი გავიდა ამის შემდეგ, ერთხელ სამსახურში გამეთ „კომუნისგის“ ახალ ნომერს ვათვალთვლებდი. პირველ გვერდზე მოსკოვში ჩატარებული დეკადის შედეგები და ორდღებითა და მედღებით დაჯილდოებულთა სია იყო გამოქვეყნებული. მერეულად გადავაკვლე თვალი გამეთს და უკვე განმე გადაღება მინდოდა, რომ „საპატიო ნიშნის ორდენით“ დაჯილდოებულთა შორის ჩემი გვარიც ამოვიკითხე. „გამიხარდაო“, რომ ვთქვა, არ ვიქნები სწორი: სიხარულისგან ღამის გული წამივიდა! რატომღაც იმ წუთასვე მოხუცი მამაჩემი დამიდგა თვალწინ, რომელიც თბილისში წაკითხავდა ამ ამბავს და უცნაურმა მღელვარებამ მომიცვია, თითქოს გამარჯვებული მე კი არ ვიყავი, ვიღაცა სხვა, ძალიან ახლობელი კაცის წარმატებას ვგემობდი... გაიარა კიდეც დრომ. მე უკვე „მონღლებული“ მქონდა ჩემი დაჯილდოების ამბავი, როცა მწერალთა კავშირის დერეფანში აპხ. ვორონკოვმა გამაჩერა და მითხრა: „შენ თუ იცი, ორდენი ვინ მოგცაო? ვინა-მეთქი? „ფურცევაბ, კატაი! წამოდა ჩემთან, მოგიყვები!“ კაბინეტში შემეყვანა და მიაბნო: „ერთი თვის წინათ ფურცევაბთან დაგვიბარეს მე და თქვენი ირაკლი აბაშიძე დეკადის შედეგების შესაჯამებლად. ირაკლიმ

ჯილდოებზე წარდგენილი მწერლების სია მიიგანა. შენ იმ სიაში, ცხადია, არ იყავი. ფურცევაბ გადახედა გვარებს და უკებ იკითხა: ის ახალგაზრდა ბიჭი, სიყვარულზე რომ ლექსი წაკითხა, ამ სიაში თუ არისო? არაო, - უპასუხა ირაკლიმ. „რაგომ? განა ქართველი არ არისო?“ „ქართველია“, დაუღბსურა ირაკლიმ. „ჩემი აზრით ცუდი პოეტი არ უნდა იყოს, როგორ ვიქრობო?“ - ფურცევაბ აღარ დაელოდა ირაკლის პასუხს და განაგრძო: „მოდი, ასე გავაკეთოთ: წავახალი-სოთ ის ყმაწვილი და „საპატიო ნიშნის“ ორდენი მივცეო. რა გვარია?“ და ფურცევაბ თავისი ხელით მიაწერა შენი გვარი დაჯილდოებულთა სიას... ასე, რომ შენმა „თავხელობამ“ იმ სადამოზე შედეგი გამოიღო! ასეა, ძმაო, ქალი ყოველთვის ქალია, რა თანამდებობაზე უნდა ეკავოს!“

საოცარი „კონცერტი“

ბორის პასტერნაკი მხოლოდ ორჯერ ვნახე: ერთხელ ცოცხალი, მეორედ - გარდაცვლილი... ისევ არ ვიცი, ვახსოვდი თუ არა ამ დიდებულ პოეტსა და ადამიანს და მაინც, ჩემი თაობის ქართველ მწერალთა შორის ბევრს არ დირსებია მისი ნახვა, მოსმენა; ამიტომ მინდა იმ ორი „შეხვედრის“ შთაბეჭდილება გაგიზიაროთ...

ზაფხულის დღე იყო - მზიანი და დახუთული. სიმონ ჩიქოვანი მაშინ მოსკოვში იმყოფებოდა. დამირეკა და მითხრა: პერედ-ელკინოში პასტერნაკთან მივედიარ და, თუ გინდა, წამომყვები.

დაბა პერედელკინოში პასტერნაკებს საკუთარი ავარაკი მქონდათ, - ორსართულიანი შენობა ღია და შემინული აივნებით. სახლის წინ, ფართო ეზო ან, უფრო სწორად, შემოღობილი არყნარის ნაკვეთი იყო და საითუთად მოვილილი ყვავილნარი. იმ ზაფხულს უხვი მშისა და ხშირი წვიმების წყალობით, სიმწვანე მოძალებულიყო და თურთრად აფეთქებული „ფლოქსის“ ბუჩქები ხასხასა ბალახზე უცნაურად დახვავებულ თოვლის ბუდეებს ჰგავდნენ. ეზოში შევედი თუ არა, ბუჩქებს შორის, არცის ხეების მოქანავე ჩრდილში, პასტერნაკი დავინახე: იგი წნულ სავარძელში იჯდა. მშით გარუჯული, დაქუთული მკლავები სავარძლის სახელურებზე

ჩამოვლო და გრანიტის კვარცხლბუკზე გაწოლილ სფინქსსა ჰგავდა!..

ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება. მერმე სახლში შევეციბოთიყვეს. სუფრა გაიშალა და მეგობრები - პასტერნაკი და ბატონი სიმონი - საუბარს შეჰყვნიენ. სუფრასთან სხვებიც ისხდნენ, ოჯახის წევრები და კარის შემობღლები, მაგრამ საუბარს შეჰყვნიენო-მეთქი, რომ თქვი, სწორი არ არის: მარგო პასტერნაკი ლაპარაკობდა, სხვები კი უსმენდნენ. ეს ლაპარაკიც თავისებური იყო: უჩვეულო და უცნაური. პირველ ხანს გავღიმიანდი კიდეც და გული მომივიდა მა-სპინძელზე, ჩემთვის რაღაც გაუგებარს რომ ჰყვებოდა. მურაბიყყოფილადგ ვიგრძენი თავი: სტუმრები მას დიდი ყურადღებით უსმენდნენ, მე კი... ვერა და ვერ მივხვდი, რას ლაპარაკობდა! უცნაურ საკრებულოში აღმოვჩნდი, სადაც ჩვეულებრივი ადამიანები კი არა, ფანატიკურად განწყობილი მორწმუნენი ისხდნენ და მათ მიერ გაღმერთებულ ქადაგს მორჩილად უსმენდნენ!

მაინც რაში იყო საქმე, რას „ქადაგებდა“ პასტერნაკი? „ქადაგებდას“ იმიტომ ვაზბობ, რომ მისი სიტყვების კილო... ბული იყო და პოეტი ოდნავ წამღერებდა. აპარაკობდა. ასე ვაივინდა რამდენიმე წუთი და... და შოპენის ნოქტიურნებზე დაწყებული საუბარი, სადაც მუსიკის საფუძვლიანი ცოდნა შეღებვდებოდა, პასტერნაკმა თანდათან შემოქმედის მოწოდებაზე გადაიგანა, მერე სამამულლო ომს შეეხო, ამის შემდეგ ტიცინი და პაოლო გაბისუნა, აქედან ქართველი კაცის დამახასიათებელ თვისებაზე - მეგაფორულ ამროვნებაზე გადავიდა, მერე ისევ შოპენს მიუბრუნდა და ბოლოს ის, რისთვისაც წამოიწყო საუბარი, ამკარად და ნათლად გამოიკვეთა... მე მივხვდი, პოეტი შემოქმედი კაცის მცდელობაზე ლაპარაკობდა: რაგომ არის, რომ მხატვარი არასდროს არ ემყოფილდება „პირველი ვარიანტი“ (ნახევარფაბრიკატი) და უადრესად მუსკად, დასრულებულად და, თუ შეიძლება ასე თითქმის, „იდეალური ნიმუშის“ დონეზე ცდილობს თავისი ნაწარმოების შექმნას? რა ძალა ამოძრავებს (თუ აიძულებს?) მხატვარს, გამოიჩინოს ასეთი გულდაგინება? ვინ არის ან სად არის ის უზენაესი „არბიტრი“, შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე რომ ჩასატყვის მხატვარს: შეჩერდი, ეს არის, რასაც ეძებდი! ან იქნებ „არბი-

ტრი“ თვით მხატვარშია და მასზე ადრე და უკეთესად იცის, რა უნდა გამოვიდეს ოსტატის ხელიდან?..

და მე მაშინ მივხვდი, რომ პასტერნაკმა თავისი მონოლოგი ამ საკითხზე თავიდან კი არა, შუაგულიდან დაიწყო, ბოლოში ჩავიდა და მერე ისევ დასაწყისის დაუბრუნდა! ასეთი იყო მისი ტექსტის კომპოზიცია და პარმონიის ეს დიდი ჯადოქარი მხატვრული მეტყველების ამ პრინციპს ყოველდღიურ ურთიერთობებშიც არ დაღატობდა...

პასტერნაკს იმ დღეს თავის დასმულ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. სამაგიეროდ მე გამიჩნდა კითხვა: იქნებ ლექსი, სურათი, ქანდაკება, მუსიკალური ნაწარმოები - თავისი დასრულებული, „იდეალური“ სახით მხატვრის წარმოდგენაში კი არა, სადაც „სხვაგან“, მხატვრის გარეშე არსებობს, როგორც ობიექტური რეალობა და, მხატვარი კი არ ქმნის ე. წ. „თავის ნაწარმოებს“, არამედ უკვე არსებულის „ასლის გადაღებას“ ცდილობს? იქნებ სწორედ ეს, მხატვრის ცნობიერების გარეშე ობიექტურად არსებული „იდეალური ნიმუში“ აიძულებს ხელოვანს, ესოდენ გულმოდგინე და შეუპოვარი იყოს თავის მცდელობაში, სრულყოფაზე მიიყვანოს მხატვრული ნაწარმოები?!

ერთხელ დილით, დაახლოებით 7 საათზე აღექსანდრ მევიროვმა დამირეკა და აკანკალებული ხმით მითხრა: ბორის ლეონილოვიჩი გარდაიცვალა. გამოდი, გაქსით გელოდებითო. შევიტოვებს ჩემი კარის შემობღელი მწერალი ბორის ჩამოლსკიც ახლდა.

მანქანაში ჩავსხვდი და პერედელკინოში გავქანდით...

ემოში რომ შევედი, იქ უკვე რამდენიმე კაცი დაგვხვდა. ვიყანი მოხუცი მთარგმნელბი: ვილმონგი, ლიუბიმოვი, ბუგავეცკი... მწერლები ცოტანი იყვნენ - მთავრობის მიერ შეჩვენებულ და მოკვეთილ კაცთან მისვლა (თუნდაც გარდაცვლილთან!) იმ დროს პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა!

სახლიდან ნინო ტაბიძე გამოვიდა, უძილო და ნამგირალევი სახე ჰქონდა. მან მიცნო, გადაამკონა და იმ ოთახში შემეფყვანა, სადაც პასტერნაკი ესვენა.

იგი „რასკლადუსკაზე“ იწვა და თეთრი

მეწარი პქონდა გადაფარებული. თხელი ტილო მკვეთრად აჩენდა მისი ღამაში. ათლექტური სხეულის ნაკვეთებს და მიცვალეული ანტიკური ქანდაკების შთაბეჭდილებას გოვებდა. მისი ამაყი სახის მკაცრი გამომეტყველება, და ფანჯრიდან შემოჭრილი ჩივილის სტვენა და ფოთლების შრიალი მკაფარა ოთახის სიმშვილეთი აესვება და მე მკვეთრი, როცა მოულოდნელად კაცის სმა გავიგონე: კუთხეში ანდრეი ვომენესესკი ატუმულიყო და ხმაშაღდა ზღუქუნებდა.

გარეთ გავედი. ქალბატონა ნინომ შიამბო პოეტის უკანასკნელი წუთების შესახებ: წინა დამით გარდაცვლილიყო, მის ხელში დაღლია სულა...

ეზოში ხალხი მომრავლდა. მე და მეერთივი განზე ვიდექით და პასტერნაკის ქართულ მეგობრებზე - სიმონ ჩიქოვანსა და გიორგი ლეონიძეზე - ესაუბრობდით, რომელთა ჩამოსვლას ქალბატონ ნინოს თქმით, წუთი-წუთზე ელოდნენ. უცებ გაიჯახუნა ჭიშკარმა და სახლისკენ მიმავალ ბილიკზე დრაბატურგი ნიკოლაი პოგოდინი გამოჩნდა (მისი ავარაკი იქვე იყო). დაბალი განის, ჩაფსკენილი, იგი მაგრა ნასვამი ჩანდა. ბუღასავით თაუღარბილი, ბარბაცით შიღიოდა, გიროდა და შიული სახე, არა შარტო ლოყები, შუბლიც კი სველი პქონდა. არაგვისთვის შეუხედავს, სახლში შევიდა, ცოგა ხანს იქ დაამყო, მერე გამოვიდა, ისევ არეული ნაბიჯით გადაკვეთა ეზო და წავიდა.

კვლავ გაიჯახუნა ჭიშკარმა და ეზოში სვიატოსლავ რისტერი შემოვიდა.

და დაიწყო სასწაული! მღუმარე სახლის ფართოდ გაღებული ყველა კარ-ფანჯრიდან როიალის სამკლოვიარო ხმები გაღმოდვარა... გაღმოდვარა კი არა გაღმოსკდა, გაღმოდვარა, გაღმოსკუნსხედა, როგორც ნიღბობი და ერთიანად წაღება იქაურობა! ეს იყო რაღაც ჯადოსნური კონცერტი, ჭირისუფლის მოთქმას რომ ჰგავდა და მან, ამ მუსიკამ დააგყვევა, დაიმონა, დაიმორჩილა ჩვენი გულები, რადგან ამ ჰანგებში თითოეული ჩვენგანის გულისთქმა იყო ჩაქსოვილი...

სამი თუ ოთხი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ და ერთმანეთის მიყოლებით, შეუსვენებლად უკრავდა რისტერი შოპენის, შუმანის, რახმანინოვის, სკრიაბინის, ბეთოპოენის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს და ჩვენ

ვიდექით და ვესმენდით.

ალბათ, არც ერთ მუსიკის მოყვარულს დედამიწაზე არ ღირსება ისეთი საკვირველი კონცერტის მოსმენა!

მერე რისტერი წავიდა.

მსუბუქი ნაბიჯით, შაპარული ქვეყნიდან მოვლენილი ორფეოსივით, ამ ხანდამშულმა ჭაბუკმა კიდევ ერთხელ ჩაგვიარა და გაქრა ისე, თითქოს მშის სხივებში გაუჩინარდა...

რამდენიმე დღის შემდეგ პასტერნაკი პერელეკინოს ეკლესიის ახლო დასახულავეს. დაკრძალვას უამრავი ხალხი ესწრებოდა: გულწრფელად დამწუხრებულებიც და ცნობისმოყვარენიც, რომელთა შორის თვალმისაცემად ჩანდნენ უცხოელი დიპლომატები, ეურნალისტები და საშოქალაქო განსაკმეული გამოწყობილი „გაგებს“ აგენტები...

იყვნენ აქ საქართველოს წარმომადგენლებიც - პასტერნაკის მეგობარი პოეტებიც ცოლები, - მარია ჩიქოვანი და ფეუცეა ლეონიძე - რომლებიც თავიანთი ქმრების მაგივრად ჩამოვიდნენ...

და იყო რასაკვირველია, დიდებული ჭირისუფალი ნინო ტაბიძე, რომლის მეუღლეს, გიციანს, მართლა არ შეეძლო მოსკოვში ჩამოსვლა და თავისი რუსი ძმის, ბორის პასტერნაკის დაგირება...

„უშაბ“

50-იანი წლების დასაწყისში მე, თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტი და „ახალგაზრდა ქართველი პოეტი“, ვისაც მამინდელი წესის მიხედვით, ქართველ მწერალთა სიაში, ალბათ, ბოლო ადგილი არ ეკაბა, მოსკოვში აღმოვჩნდი. აქ უნდა მეცხოვრა და მეშუშავა. მყავდა ცოლი და შვილი, მაგრამ არ მქონდა ბინა და სამსახური. ყველაფერი თვითიდან უნდა დამეწყო. პირველ ყოვლისა, გავცნობოდი აქაურ მწერლებს და ჩემი თავი მათთვისაც გამეცნო. ამისთვის კი საჭირო იყო რომელიმე პოეტს თუნდაც ერთი ჩემი ნაწარმოები რუსულად ეთარგმნა, რომ სადმე დამეუბნა. არც ერთ რუს მწერალს პირადად არ ვიცნობდი, მათი გვარები კი ვიცოდი, რადგან რუსულ ლიტერატურაში - ძველშიც და ახალშიც - კარგად გათვითცნობიერებული ვიყავი. ერთი პოეტის გვარი განსაკუთრებით მახსოვდა: შაბოლ-



ოცი. მას ხშირად ახსენებდნენ სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ლეონიძე. ვიცილი, რომ „შაბლოციმ“ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, გურამიძის და ვაჟას ნაწარმოებები, რომ იგი რეკურსირებული იყო... რაგომღაც მეგონა, სადაც მენახა ეს პოეტი: ბატონ სიმონის ოჯახში თუ მცხეთაში, „სვეტიცხოვლობის“ დღესასწაულზე, სადაც იგი გიორგი ლეონიძისთან ერთად გლეხებს ესაუბრებოდა... რაგომღაც თვალწინ შედგა ახოვანი ბერიკაცი თეთრი ბიბლიური წვერიით, რომელსაც პრეზენტის ქურთუკი ეცეა და მეცხვარის კომბალს ვერდნობდა...

ახლაგამრდა კაცის სითამაშე ხშირად თავხელობაში გადადის. ნებისმიერ ყმაწვილ პოეტს რომ პკითხით, ვის მიიჩნევს იგი თავის მასწავლებლად, აუცილებლად დიდ კლასიკოსს დაგისახელებთ! მეც იმ დროს მჭეწებოდა, რომ ჩემი ლექსების თარგმნა მხოლოდ ისეთ ოსტატს შეეძლო, როგორც შაბლოციკა. ვინც რუსთაველის და ვაჟას თარგმნასაც არ მოერიდა... მივედი მოსკოვის მწერალთა კავშირის კადრების განყოფილებაში, შაბლოციკის მისამართი გავიგე და ერთ მშვენიერ დღეს მის სახლს მივადექი ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე!

კარი თვითონ სახლის პატრონმა გაძილო და... ვაგმრი! თეთრწვერა, კომბლიანი მოხუცის ნაცვლად ჩემს წინ იდგა განდაბალი, პირმრგალი და სუფთად გაბარსული კაცი, რომელსაც შოლებიანბ-პიეაჰა ეცეა. ფუნჩულა ლოყები ჩვილი ბავშვივით შეწითლებოდა და ცხვირზე სქქლდინებიათი სათვალე ეკეთა.

მე გამოვიყენა ურე-როგორც კი „საქართველო“ და „თბილისი“ ვახსენე, სიხარულისაგან სახე გაურწყინდა და შინ შემიპატიე. მარტო იყო. ბებრული ჭეხების ფლაგუნით სამხარეულოში გავიდა და „თელიანის“ ბოთლი გამოიჭანა, თან კორპუსატობიე მოაყოლა (კარგად მახსოვს ის „პრობოშნიკი“ - ხისგან გათლილი კუდი, რომელსაც ლითონის დახრახინილი ეკადი პქრდა!)... მიუხედავად მავიდას და საუბარი გავაბოთ. ჯერ მოსკოვის ამინდზე ვილაპარაკეთ, მერმე საქართველოზე, მერმე ფერწერაზე... ყველაფერს შეგვხეთ, მხოლოდ ლექსი არ ვგვისხვნივია და მე მივხვდი, რომ ჩემმა მასპინძელმა იცის, რმსთვისაც ვარ მოსული და „სიგყვას ბანზე მივღებ“. უკვე „თელიანის“ მეორე

ბოთლი გავხსენით და ახლა მე-18 საუკუნის რუსულ ფერწერაზე ვსაუბრობდი: ლევიკომე, როკოკოზე, ანტროპოზე... (შაბლოციკი იმ პერიოდში მხედველობას კარგავდა და, როგორც მომეჩვენა, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მზავრობისადმი) ბოლოს, საუბრის ყველა თემა ამოიწურა და მე ჯამიდან ჩემი „უშმა“ ამოვიღე (რუსული ბჭკარედი ჩემს მიერვე იყო გაკეთებული).

- არავითარ შემთხვევაში, - მითხრა შაბლოციკმ, მოისმინა რა ჩემი თხოვნა. - „Слово о полку Игореве“-ს ადაპტაციაზე ვშეშაობ ახლა და ძალიან დაკავებული ვარ.

- არც წაკითხავთ?
- რა აზრი აქვს, მაინც ვერ ვთარგმნი.
- კარგი, - ვთქვი მე, აუღეკი და წასასვლელად მოვეშმადე, - მოდიო, ასე გავაკეთოთ: მე დაგიტოვებთ ამ ლექსს... ჩემი გლეგონის ნომერსაც... თუ მოგეწონებათ, დამირეკეთ... თუ არა და თვითონ მიხვდება. გამაღობო ყველაფრისთვის...

რამდენიმე დღის შემდეგ შაბლოციკმ დამირეკა და უკმაყოფილო ხმით მითხრა: გამოშპართო.

ისე განმეორდა ის, რაც პირველ შეხვედრისას: მავიდას ვუხედიო, „თელიანს“ ესაჰმადლიო, საქართველოდან საერთო ნაცნობებს ვიგონებდიო, ფერწერაზე ვსაუბრობდიო, მზავრებზე... ყველაფერზე, გარდა იმისა, რისთვისაც მოვიდი... და უცებ პოეტიკა მკითხა:

- ბუერი ლექსი გაქვი?
- ორასამდე შექნება, - ვუპასუხე და იმ წამსვე ვინანე, რაგომ მეგი არ ვუთხარიო-მეთიე.

შაბლოციკმ თვალები მოქკრა:

- ასე ბუერი? მე კი ორმოცდაათიე არ შექნება... არადა, თქვენზე უფროსი ვარ...

უხერხულობა ვიგრძენი. შაბლოციკმ შეაშინა ჩემი დაბნეულობა და განაგრძო საუბარი იმის თაობაზე, თუ რა მწელია საერთოდ ლექსის წერა, განსაკუთრებით სიჭარმაგვემი, როცა პოეტიკა, თუ იგი პატიეს სეკმს თავის პროფესიას, უნდა შეწყვიტოს „პაერზე შპალერების გაკვრა“ და ნაწმელი საქმეს მოაკიდოს ხელი, იმ საქმეს, რასაც ბარაგინსკი და დიდი გიგერევი ემსახურებოდნენ (სწორედ ეს ორი პოეტი ახსენა). მერმე პოეტი ადგა, თავის სამუშაო ოთახში გავიდა ფურცელი შემოიგანა.

- აი, წავიკითხავთ... - მან თვალე აშპრია.



- წუხელ ვთარგმნე და არ ვიცი, რა გამოომივიდა...

და პოეგმა წაიკითხა:

„Ты задремала, забыв над кроватью свет погасить. И раскрытая книга Брошена возле кровати и ветер Трогает шторы на окнах раскрытых...“*

ეს იყო ბრწყინვალე თარგმანი! შაბოლოცი რუსულ სიტყვებს წარმოთქვამდა, მაგრამ ტექსტის რიტმი და ინტონაცია ისე შეესაბამებოდა ორიგინალს, მეგონა, ქართულად მიკითხავდა ჩემს ლექსს...

მეორე დღეს „ლიტერატურაში“ გამოვეცანი მივიტანე თარგმანი.

რედაქტორმა წააკითხა და თქვა:

- დავებუდებით, მაგრამ თხოვეთ ნიკოლაი ალექსიევიჩის, გარიტმოს ეს თარგმანი.

- კი მაგრამ... ეს ხომ თეთრი ლექსია?

- არ მიყვარს თეთრი ლექსები.

დავეურთვე შაბოლოცი. ღმერთო ჩემო, როგორ გაბრაზდა! იმდენად რედაქტორზე კი არა, რომელსაც „ბრიყვი“ და „უვიცი“ უწოდა, მე გამითახა, იმის გამო, რომ რედაქტორის ხმას აყვივი და ღამის დავითანხმე მის „სულელურ“ წინადადებას... ბოლოს „უშმა“ სხვა რედაქტორმა, პოეგმა შჩაიოვმა დაბეჭდა ქურნალ „ოქტაბრში“ იმ სახით, როგორც შაბოლოციმ თარგმნა...

ეს მოკლე მოგონება შაბოლოციზე ფოტომოყვარულის სურათს ჰგავს - იგი ცხოვრების ერთი მომენტის ბუნდოვანი ფიქსაციაა და ჩემთვის იმით არის ძვირფასი, რომ სინამდვილეს შეესაბამება.

ჩემი პუშკინი

პუშკინზე ლაპარაკი ძნელია. არამარტო იმიტომ, რომ პუშკინზე ყველაფერი უკვე ითქვა და რაიმე სიახლის თქმა პრაქტიკულად შეუძლებელია. ობიექტურად, პუშკინი, როგორც რუსული კულტურის ფენომენი, ბოლომდე ამოწურულია: რუსების მიერ და რუსი ხალხისათვის. ერთადერთი, რამაც შეიძლება

* „შენ ჩაგვიძინა და შექი დაგვჩაჩაუქრობელი. საწოლთან, იქვე გამძლილი წიგნი გდია და ფარდებს ღია ფანჯრებზე ატოკებს ქარი...“

დაინტერესოს-მივთხველი, ეს არის უცხოელის თვალთ დანახული პუშკინი, ვის შემოქმედებასაც უცხოელი თარგმანის სახით კი არა, ორიგინალში იცნობს. იცნობს არამარტო პუშკინის შემოქმედებას, მის განუმეორებელ პიროვნებასაც. ესოდენ წარუშლელი კვალი რომ დატოვა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

შეუძლებელია პუშკინის სიღაღის შეფასება, ამიტომაც მე ასე ვიტყვოდი: პუშკინი რუსეთისთვის იგივეა, რაც საქართველოსთვის რუსთაველია!

სასწაულებრივია პუშკინის ნიჭის მრავალფეროვნება: პუშკინი - პოეტი, პუშკინი - ბელეტრისტი, პუშკინი - დრამატურგი, საბავშვო მწერალი, კრიტიკოსი, ლიტერატურისმცოდნე, მთარგმნელი, ისტორიოგრაფი, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, სანიმუშო მამულიშვილი და მწიფობრივად სრულყოფილი ადამიანი!

სამ კერძს ეთაყვანებოდა პუშკინი: ადამიანის დირსებას, სიმართლესა და თავისუფლებას.

მართლაც, რამდენი დირსება, რამდენი სიმართლე და გაბეჭდულება ამ სტრიქონებში: И долго буду тем любезен я народу, Что чувства добрые я лирой пробуждал, Что в мой жестокий век восславил я свободу

И милость к падшим призывал!

თითქოს გასული საუკუნის დასაწყისში კი არა, - აგერ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, მასობრივი რეპრესიების დროს არის დაწერილი!

პუშკინი არასდროს ყოფილა „კარის პოეტი“, ხელისუფალთა მეხოტბე და მამაბეული. პირიქით, მე თუ შეითხავთ, იგი თავისი დროის უდიდესი „დისიდენტი“ იყო და აკი იმიტომაც მთელი თავისი ცხოვრება მაშინდელი „სუკის“, ანუ „მესამე განყოფილების“ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა...

პირადი კეთილდღეობისთვის, კარიერისთვის არასდროს გაუყიდა სინდისი, თუმცა ამის „შესაძლებლობა“ ჰქონდა: ნიკოლოზ პირველი განსაკუთრებული „ყურადღებით“ ექცეოდა „რუსეთის უჭკვიანეს კაცს“ და მისი დაახლოებისთვის, შოთინიერებისთვის არაფერს დაიშურებდა!

მაინც დამოუკიდებელი დარჩა პუშკინი, რადგან - თავით ფეხებამდე არისგოკრავი,

- მუღამ გრძნობდა სულიერ კავშირს ე. წ. „უბრალო ხალხთან“, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტ ბაგონ-პაგრონად მიაჩნდა...

პუშკინის ღირსეული მემკვიდრე ანა ახმატოვა წერდა:

„Онегина“ воздушная громада,
как облоко, стояла надо мной...

გეგონება თვითონ პუშკინზეა ნათქვამი, ვინც უზარმაზარი, მშით გაკაშკაშებული ღრუბლებით თავს დაადგა მთელ რუსეთს!.. ჩვენ მას „აღამიანსა“ და „პოეტს“ პირობითად ვუწოდებთ. იგი სულ სხვაა. ის მსოფლიო კულტურის ფენომენია, რუსეთის ხატი და სარწმუნოება!..

ერთი სიგვეით, პუშკინი რუსებისთვის იგივეა, რაც ჩვენთვის რუსთაველი!

Пока отвагою горим,

Пока сердца для чести живы,

Мой друг, отчизне посвятим

Души прекрасные порывы!

ასე შგონია, ეს საქართველოზე, ქართველი პოეტის მიერ, ქართულად არის დაწერილი!..

მაინც, რა უღმობელი იყო პუშკინის ნაადრევი გარდაცვალება! დღემდე ვერ გამოვია: საკუთარი ღირსების დაიფას შეეწირა პოეტმა, თუ თავი მოიკლა ის, უფრო სწორად, თავი მოაკვლევინა ვიღაც არამზალს? „მე ყაზალებმა მომკლეს არაგვზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გითევს ბრალი“. - იქნებ პუშკინზეა ნათქვამი?

განუზომელია მისი მწერლური ღვაწლი... და მაინც, ჩემთვის, პირადად ჩემთვის, ყველაზე ძვირფასია ის მწიგნობრივი მაგალითი, რომელიც მან თავისი ქვეყნით, დიახ, ქვეყნით დაბვიგოვა:

როგორც მამაკაცმა და მეუღლემ,

როგორც მოქალაქემ,

როგორც თვითმპყრობელობის მგერმა,

როგორც ლეკაბრისებების მეგობარმა,

როგორც საქართველოზე შეყვარებულმა რუსეთის პატრიოტმა, როგორც რუსული სულის, რუსული ხასიათის სამაგალითო გამოვლინებამ, რომელიც ჩემთვის დღემდე საზომია ყოველივე რუსულის შუფასებისას!..

მოსკოვში, სადაც მე დიდხანს ვცხოვრობდი, ერთი ძვირფასი ადგილია - „პუშკინის მოედანი“. ცივ, თოვლიან მამთარში ბევრჯერ მივსულვარ პოეტის ძეგლთან, როგორც ახლობელ ადამიანთან, „ფიქრთ გასართეულად“ და სულის მოსათქმელად... იქ დაწვირა

ეს ლექსიც:

გვეია ესროლეს და... იმ წამსვე ბრინჯაოდ იქცა!

აქ მოიტანეს მოედანზე და ძეგლად დადგეს,

მას შემდეგ იგი გადმოსტეკრის მაღლიდან მიწას

და ეამთა ბრუნვას არაფრად აგლებს...

მას არაფერი არ აწუხებს, გარდა ერთისა: ჩუმი ნალველი ვაცივებულ ბრინჯაოს

ათბობს და როცა ესმის ფილაქანზე ქალის ფეხის ხმა,

ის ერთადერთი სიყვარული, რაც არ

ვღირსა, გაახსენდება და თავისთვის ჩურჩულით ამაბობს:

„მე თქვენ მიყვარდით... სიყვარული ჯერ კიდევ იქნებ

მთლად არ გამქრალა და ჩემს გულში ბინადრობს ისევ,

მაგრამ ამაზე ნუ წუხდებით, თქვენს ნათელ ფიქრებს

მე ხელმეორედ დაღონების არ მივცემ მიგმუს.

მე თქვენ მიყვარდით უხეგემოდ,

ფარულად, უხმოდ, ხან იმედებით და ხან იჭვით ვიყავი სავეს,

მე თქვენ მიყვარდით ისე წრფულად და ისე უღვთოდ,

რომ ღმერთს ვთხოვ: „ღმერთო, ნება სხვასაც უყვარდეთ ასე!“

რუსული პოემის დედოფალი

საბჭოთა პერიოდის რუს პოეტებში მე ყველაზე მეტად პირის პასტერნაკი და ანა ახმატოვა მიყვარს. მათ შემოქმედებას კარგად ვიცნობ და მათგან ბევრი რამ მისწავლია... მარინა ცვეტაევაი მომწონს, სეინინიც, არსენი გარკოვსკიც, ვლადიმერ სოკოლოვიც, დავით სამოილოვიც, იური ლევიტანსკიც, სხვებიც, ვინც საბჭოთა რუსეთში ცხოვრობდა თუ სამღვარვარეთ (ისეთი, მაგალითად, როგორც ვიკორგე ივანოვიცა), მაგრამ პასტერნაკსა და ახმატოვას ჩემს უშუალო მასწავლებლებად ვთვლი!

ახმატოვა ლეგენდარულ ქალად წარმოემდგინა. რა ვიცილი მის შესახებ? პოემიას

თუ არ ჩავთვლით, ცოტა რამ: ლენინგრადში ცხოვრობდა, ბოლშევიკებმა მისი ქმარი, პოეტი გუმბოლოვი დახვრიტეს, მუღშიღ დევნას და გაჭირვებას განიცდიდა, ლექსებს არ თუბეჭდავდნენ, თუშეცა განათლებული რუსეთი (და შლოვოი) მას უდიდეს პოეტად - პუშკინის მეგობრად თვლიდა. ამახ კიდეც ისეც დაემატა, რომ ერთ ბავალ სახსენებელ წელს (ადარ მახსოვს, როდის, მაშინ მოსკოვში ექსპორტობდი) გამოქვეყნდა ცნობილი უდახოვის დადგენილება“: სადაც პარტიის მიერ დაგმობილი და მაწითან ვასწორებული იყვნენ ლენინგრადელი მწერლები ანა ახმატოვა და მისიილ მოშენუო...

მოშენკოს, სამწუხაროდ არ შეხვედრივარ, არც მოსკოვში, არც ლენინგრადში, თორემ ამ საყვარელ მწერალზეც ვიგყოლი ორიოლ სიგყვას; ანა ანდრეევნას კი საბუნდ-იეროდ შეხვდი და ის მეტად მნიშვნელოვანი დღე მინდა გავიხსენო...

მოსკოვში მე უკვე კარგად მიცნობდნენ. მწერალთა სახლში ვცხოვრობდი, საკუთარ ბინაში, რუსულად თარგმნილი ლექსების წიგნიე ქონდა გამოცემული, ვსახსურობდი და ოჯახშიე უკვე ორი ქალიშვილი მემრდე-ბოლა...

ერთხელ მწერალთა კლუბში ვილაყამ მითხრა ანა ახმატოვა ჩამოვიდაო. ვამიკვირ-და. გავონილი ქონდა, რომ ეცკას დადგენი-ლების შემდეგ (სადაც ამხ. უდახოვმა ანა ანდრეევნას „როსკიიი მონაზონი“ უწოდა და „უიდეობასთან“ ერთად უმნეობაშიე დაა-დანაშაულა!) პოეტი ქალი დემრესიაში ჩაე-არდა, სახლიდან არ გამოდის, არავის ხელება... და, საერთოდ, ლენინგრადელი მწერლები შეშუოთებული არიან მისი მდგომარეობით! დაინტერესდი, სად შეიძლება ახმატოვას ნახვა. მითხრეს, მწერალთა სახლში, თავის მეგობარ მწერალ არდოვის ბინაში ცხოვრ-ობს და მალე ისეე ლენინგრადში დაბრუნ-ებაო. არდოვები ჩემი მეზობლები იყვნენ, დავერეკე. ყურმილი სახლის პატრონმა აიღო და მცირე ყოყმანის შემდეგ ანა ანდრეევნას გადასცა. გამოვეყნაურე. ჩემი გვარი და სახელი ვუთხარი, მწერალი ვარ-მეთქი (ამან პოეტ ქალზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა). მერმე რაც შეიძლება სწრაჟად ისეე მივაყოლე, რომ საქართველოდან ჩამ-ოვედი, გავიგე, რომ მოსკოვშია და მისი ნახვა მინდა... საქართველოს ხსენებამ მაგი-

ური „პაროდის“ როლი ითამაშა და ახმატო-ვამ თავისთან მიმინაგეცა...

რაგომ მინდობა მისი ნახვა? განა ეს საკითხავია? მთელი ჩემი შეგნებული ცხოვ-რება ვნატრობდი პოეზიის დედოფალითან შეხვედრას, მასთან დალაპარაკებას... ზეირ-ად ვიყოლი მისი ლექსები, ბუკინისგებითან ვეძებდი მის წიგნებს... თავის დროზე პოლონ-ეთიდან „კონტრაბანდულად“ ჩამოვიტანე უცხოეთში გამოცემული მისი „რეკვიემი“ და თვალის ჩინებით ვუფროთხილდებოდი ამ წიგნს... და ახლა, როცა მასთან პირისპირ შეხვედრის საშუალება მომეცა, რა გაამჩრ-ედა, - სიფრთხილე თუ ვთიკეტი?

მეორე დღეზე შევიადექი არდოვების ბინას. ძალიან ველავდი (თუშეცა მდღე-არებას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, რამდენმე ჩემი ლექსის ბუკარდეე წამელო, როგორც რუსები იგყვიან „ყოველი შემთხვევისთვის“) კიბზე რომ ავიდიოდი, თვალწინ სულ მოდი-ლიანის მიერ დახატული ახმატოვას პორტ-რეტი მეღვა: ახალგაზრდა, ყელშიღრებული ქალბატონი ორენჯ კეხიანი ცხვირით. გონ-ებაში კი ისეე და ისეე ხმინდებოდა მისი ჯადოსნური სტრიქონები:

Один идет прямым путем,
другой идет по кругу,
ждет возвращения в отчий дом,
ждет верную подругу.
А я иду одна, одна,
не прямо, и не косо...
Я - в Никуда. Я - в Никогда.
Как поезда - с откоса!

ხანდამმულმა, მსუქანმა ქალმა კარი გამ-იღო, რომელიც მოდილიანის პორტრეტს სულ არ ჰგავდა! იმდენად არ ჰგავდა, რომ ვკითხე კიდე: ანა ანდრეევნა მინ არის-მეთქი? მან გამომიმა და ხელით მანაწეა, მობრძანდელი... პალტოს ვახლო დავიწყე და ახლა კი ვიცანი ჩემი მასპინძელი. ძალიან დაბერებულიყო, მაგრამ თვალების ცოცხალ გამომეტყველებასა და კეხიან ცხვირს რა შეეცლიდა? გრძელი კაბა ემოსა და მხრებზე წითელ-ყვითელი ყვავილებით მოხატული, ფოჩებიანი „ორენჯოვის“ შალი პქონდა მოხურული. ვეხებზე „ვალენკები“ ვიკვა და მოძრობაზე ეგყობოდა, სიარული უჭირდა... ოთახში შემრძანდით, ჩაი დაულოითო, - მითხრა, სანამ ვინაობას ან მოსკელის მიმემს მკითხავდა, თვითონ კი სამწერელოში გა-

ვიდა...

ჩაის ვსვამდა და საქართველოზე ვსაუბრობდი. ანა ანდრეევნა იგონებდა იქ გაგარბულ დაღეებს, ფშავეში და ხევსურეთში მგზავრობას (ვაგა-ფშაველას თარგმანსთან დაკავშირებით), ზოგიერთ თავის მეგობარს იხსენებდა: სიმონ ჩიქოვანს, ვიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, ლევან ასათიანს... მერმე გამომკითხა - ვინ ვიყავი და რას ვაკეთებდი? როცა გაიგო, რომ ლექსებსაც ვწერ, ეშმაკურად გაიღიმა (ეგყობა, მიხვდა, რა წადილიც მელო გულში) და ნიშნის მოგებით მომასხვია, რომ ამჟამად ძალიან დაგვირთულია, რომ ძველ ევევიტურ (თუ შუბერულ?) ეპოსს თარგმნის გამომცემლობისთვის და ჩქარობს, რომ დროზე ჩააბაროს... გულთმისანი ქალი იყო და შემაგყო, რომ დაელონდი. თან ხომ არა გაქვით თქვენი ლექსებიო? - უცებ მკითხა და ხელი გამომიშვირა. მეც ამოვიღე ბჭკარედები და გადავეცი. სათვალე გაიკეთა და გადაათვალიერა. ათიოღე ლექსი იყო, სწრაფად მორჩა ამ საქმეს. მერმე ისევ ჩაის ვსვამდით და ვსაუბრობდით. ანა ანდრეევნამ მიაბმო, რისთვისაც ჩამოვიღე მოსკოვში: აქედან იგალიაში მიემგზავრებოდა, პეტრარკას სახელობის საერთაშორისო პრემიის მისაღებად, „სამღვარგარეთ ბევრჯერ ვყოფილვარ, - ამყვებოდა ახმაგოვა. - მე მგონი, იქ უფრო დიდხანს მიცხოვრია, ვიდრე რუსეთში. იგალიას ხომ ხუთი თითივით ვიცნობ!.. და თქვენ წარმოგიდგენიათ, გუშინ... არა, გუშინწინ... პო, გუშინწინ აქ სამი ჩეისტი გამომეცხადა, სწორედ მაგ დივანზე ისხდნენ, თქვენ რომ მიხართ... ახალგაზრდები იყვნენ, როგორც ამბობენ, დღეს რბე გუნებზე არ შემორობდათ... და დამიწყეს ამ ყმაწვილებმა ჰკეის სწავლებამ მის თაობაზე თუ როგორ უნდა მოვიქმე უცხოეთში, სად და რა უნდა ვთქვა, ვის შევხვდე და ასე შემდეგ... ჯერ მეცინებოდა, მერმე გაგვრამდი და ისეთი რამე ვუთხარი... მოკლედ, სულ ბოდიშებით დაგოვეს აქაურობა... ჩაით კი მაინც გაუუმასპინძლდი, რას იბამ, ჩვეულება რაულზე უმკიცესიაო!..

ანა ანდრეევნა გაჩუმდა და ფიქრს მიეცა, ეგყობა, რაღაცას იგონებდა. მერმე ისევ სათვალე გაიკეთა და ჩემს ბჭკარედებს დასწვდა, მაგრამ უკვე აღარ ათვალიერებდა, ყურადღებით კითხულობდა. „გართმული ლექსებია?“ - მკითხა. „მხოლოდ ორი

გართმული, დანარჩენი თეთრი ლექსებია. საგანგებოდ შევარჩიე ურთიმო ლექსები, რომ სათარგმნელად ადვილი იყოს“. „რითმინი ლექსის თარგმნა ძნელია ისე, რომ არ დაამახინჯო ორიგინალი“ - ჩაილაპარაკა ახმაგოვამ, რამდენიმე ჩემი ბჭკარული განზე გადადო და მითხრა: „ეს ლექსები ჩემია და მე მათ ვთარგმნი... დანარჩენი ლექსებიც ურიგო არ არის, მაგრამ ისინი სხვას ათარგმნიეთ“.

გახარებული შინ დავბრუნდი...

სულ მალე ჩემმა შემობულმა არღოვამ დამირეკა და შემბაგოებინა: ანა ანდრეევნამ იგალიაში გამგზავრების წინ თქვენი ლექსების თარგმანებით დამიგოვა, მობრძანდით და წაიღეთო...

ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდებულ თარგმანებთან ერთად რუსული პოეზიის დელოფამა ეს ტკბილ-მწარე მოგონებაც დამიგოვა... ნათელი დაადგეს მის სულს!

„მხატვრული ლიგერატურის პროპაგანდის ბიურო“

„იყო და არა იყო რა!“ იყო მეცხრამეტე საუკუნის რუსეთი თავისი ბრწყინვალე მხატვრული ლიგერატურით. დიდებული მწერლები მკავდა: გოლსტოი, გურგენევი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, ოსტროვსკი... კიდევ რომელი დავსახელო? ისინი ერთმანეთს, ცხადია, იცნობდნენ, მაგრამ დაქსაქსულნი იყვნენ, განცალკევებით ცხოვრობდნენ, თითოეული თავისი ხარჯით თავს ირჩენდა. ვისაც რა უნდოდა და როგორც უნდოდა, ისე წერდა. ამიგომ ხელისუფლებასთან ხშირად კონფლიქტი მოსდიოდათ. მერმე რუსეთში მიხდა რევოლუცია, ლენინმა და შემდეგ სტალინმა ახალი საბჭოთა იმპერია შექმნეს, უფრო სწორად „შეაკოწიწეს“ სხვადასხვა ეროვნების ხალხებიცგან, ცენტრალური მმართველობა შემოიღეს და კრემლი ვახდა იმპერიის ერთადერთი გამგებელი. ყველა საბჭოთა მოქალაქე, - სურდა თუ არ სურდა, - „კომუნისტულ“ აშენებდა. ამ მილიონინ მასებს ხელმძღვანელობდა და მართავდა სჭირდებოდა, რაც ჯერ ბოლშევიკებმა, შემდეგ კი კომუნისტებმა ითავეს. საზოგადოების ყველაზე უმართავი ფენა ინგელიგენცია აღმოჩნდა. განსაკუთრებით ხელოვნების მუშაკები: მხატვრები,

მწერლები, მუსიკოსები. დღის წესრიგში სა-
სწრაფოდ დადგა მათი გაერთიანების საკ-
ითხი ერთ მთლიან ორგანიზაციად, იმის
მსგავსად, როგორც გლეხები კოლმეურნე-
ობებში, ხოლო მუშები კი პროფკავშირებში
იყვნენ გაერთიანებულნი. ერთი სიტყვით,
ხალხის ნახირო უნდა შექმნილიყო, ერთიანი
კავშირი, სადაც თითოეული შემოქმედის გვა-
რი, სახელი და მისამართიც იქნებოდა აღნი-
შნული და, როცა მთავრობას მოესურვე-
ბოდა, ამომლიდა ან დაუმატებდა ვინმეს...
და აი, 1932 წელს, წინდახედული მაქსიმ
გორკის რეკომენდაციით, შეიქმნა „საკავ-
შირო მწერალთა კავშირი“, რომელსაც მერე
რესპუბლიკური კავშირებიც დაემატა...

„წინდახედული“ იმიტომ ვუწოდე „სოცია-
ლისტური რეალიზმის“ მამამთავარს, რომ
სულ ძალე, როცა ქვეყანას ბოლშევიკური
რეპრესიების გაღლამ გადაუარა და „კომუ-
ნიზმის“ მშენებლობას მილიონობით ხალხი
შეეწირა, მწერალთა კავშირების არსებობა
ერთობ ხელსაყრელი გამოდგა.

მწერალთა კავშირების შექმნისთანავე
მათში დაარსდა ე. წ. „საბჭოთა მხაგერული
ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროები“...
მოგეხსენებათ, ყველაფერს, რაც უნდა გასა-
დღეს, რეკლამა სჭირდებოდა. ბოლშევიკებიც
კამიბლისკებს სწორად ამ რეკლამას დაე-
სესხნენ, მაგრამ სიტყვა „რეკლამა“ ეგყობა
არ მოეწონათ (ვაჭრობის სუნი უდიოდა!)
და „პროპაგანდა“ დაარქვეს! ამ „პროპაგ-
ანდის“ წყალობით, წლების მანძილზე,
საბჭოთა კავშირში ყველანაირი ლიტერატურ-
ული მაკულატურა სადღებოდა, რასაც სო-
ციალისტურ რეალიზმს უწოდებდნენ, თორემ,
აბა, განა ნორმალური, რასაც ცოტად თუ
ბევრად განათლებული ადამიანი (ვისაც
გერასტო ან ჩუხოვი წაუკითხა), ხელში აიღ-
ებდა ბაბაევსკის „ოქროს ვარსკვლავის კავ-
ალერს“ ან იაკინთე ლისაშვილის „ლელოს“?!

„საბჭოთა ლიტერატურის პროპაგანდის
ბიურო“, ეგყობა, ჭკვიანმა ებრაელმა მოი-
განა. ეს „ბიურო“ იმპერიის ყველა კუთხეში
ავაშენიდა მწერალთა „ინტერნაციონალურ
ბრიგადებს“, რომ ისინი მკითხველებს შეხვ-
დროდნენ, ესაუბრათ მათთან, წაუკითხათ
თავიანთი ნაწარმოებები და ამით საბჭოთა
მწერლობისა და ხალხის ერთიანობის ილ-
უზაო შექმნათ! ან ძვირადღირებულ ლიტე-
რატურულ ღონისძიებებს მთლიანად მთავ-

რობა აფინანსებდა... რაგომ? იმიტომ, რომ
ეს, ერთი მხრით, მოსახლეობაში კომუნისტ-
ური იდეოლოგიის გავრცელებას ემსახურე-
ბოდა, მეორე მხრით კი, შემოქმედებით მუშ-
აკებს დამატებით შემოსავალს აძლევდა; მათ
არა მარტო უფასოდ ამგზავნიდნენ, აცხო-
ვრებდნენ, აჭმევდნენ და ასმევდნენ, არამედ
მკითხველებთან შეხვედრებში ფულსაც უხდი-
დნენ...

მე ბევრჯერ მიმგზავრია ამგვარი ლიტ-
ერატურული „დესანტის“ შემადგენლობაში.
სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს?! კ-
მჩატაკა, კურილიის კუნძულები, სახალისი,
ბუხარა, სამარყანდი, კოლის ნახევარკუნ-
ძული; შორეულ აღმოსავლეთში ჩუკჩების
უძველესი გომის, „ნივხების“ დასახლებაშიც
გამოვსუღვარ ლექსების კითხვით („ნივხები“
- პაპუასებივით არიან, ოღონდ რუსულად
მეტყველებენ!) და იქიდან მოსკოვს დაბრუნე-
ბული, ფულს რომ მივიღებდი, ძალიან მხია-
მოვებოდა! არა, ღმერთმანი, მართლა კარგი
რამ იყო ეს „საბჭოთა ლიტერატურის პროპა-
განდის ბიურო“! მან თითქმის მთელი ისრკ
შემომბატარა, ათასი ჯურის ხალხი გამაცნო
და, რაც მთავარია, ისეთ შესანიშნავ მწერ-
ლებთან, ჩემს მომავალ მეგობრებთან დამა-
ხლოვა, როგორებიც არიან: ბულაგო ოკუაჯაე,
ბელა ახმადლიანი, დავით სამოილოვი,
ვიტალი კოროტინი, ვლადიმერ სოკოლოვი,
სერგეი დავიდოვი, იური ლევიტანსკი და
სხვები. ისინი დროთა ვითარებაში ჩემი მთა-
გრემნელევი გახდნენ! „ბიუროს“ დამსახურ-
ებაა ისიც, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში,
ამდენი ამხანაგი და მოკეთე რომ მაყავს:
უკრაინაში - ივან ღრაჩი და ლინა კოსტენკო,
მოლდავეთში - ვიერუ და დრუკე, ბალტიის-
პირეთში - ვაიცეისი და ელენ ნიტი...

ჩემს მწერლურ ბრიგადაში, ბულაგის და
ბელას გარდა, პოეტები ა. ნიკოლაივი, ე-
ხრაშოვი და ა. ივანოვიც შედიოდნენ. ყველა
ქალაქში, სადაც ჩავდიოდით, დღეში ორ-
სამ შეხვედრას ვაწვობდით: ქარხანაში ან
ბიბლიოთეკაში, გამთვის რედაქციაში ან
დაწესებულებაში. კოლმეურნეობებში გამ-
ოვსუღვართ, გემებზეც (მათ შორის ატომურ
წყალქვეშა ნავშიც!) და მუშების საერთო
საცხოვრებლებშიც... ბულაგი მღეროდა, ჩვენ
ლექსებს ვკითხულობდით და დარბაზიდან
მოსულ შეკითხვებს ვპასუხობდით, სამა
ივანოვი კი, ცნობილი პაროლისტი, ხალხს

აყინებდა. მერე სუფრა იშლებოდა, მასპინძლებთან და მკითხველებთან ერთად გემრიელ საჭმელებს მივირთმევდით და არაყს ვსვამდით. სასტუმროში გვიან ღამით ვბრუნდებოდით, სადაც თითოეულს ცალკე ნომერი გვექონდა და, თუ ვინმე ჩვენგანი ღამის გასათევად თავის ოთახში ადგილობრივ მანდილოსანს მიიპატიებდა, ესეც დასაძრახი არ იყო, რადგან ამას „მწერლისა და მკითხველის კონტაქტი“ ერქვა!..

ბულაგ ოკუჯავა სულ ახლახან გარდაიცვალა...

მისი ჩემი მთრთოლვარე ხმა, რომელსაც მთელი მსოფლიო უსმენდა, ახლაც არ გამქრალა პაერში. ბულაგი ჩემი მეგობარი იყო და მინდა ჩემს თანამემამულეებს გაეაცნო მისი პიროვნება... მაგრამ ვიდრე თვითონ ბულაგს ავამბეჭყველებდე, ერთი უმნიშვნელო, მაგრამ თავშესაქცივი ამბავი მინდა გაიგებოთ:

ქალაქ სამარაში მივიდიოდით. მაგარებელში ორი კუპე გვეკავა: ერთში ბულაგი, მე, ხრამოვი და ივანოვი მოეთავსდით, მეორეში - ჩვენი „ბრიგადის“ უხუცესი წევრი საშა ნიკოლაევი და ბელა ახმადუღინა ისხდნენ... მაგარებელი დაიძრა თუ არა, ბულაგმა ჩანთიდან „სტოლინის“ ბოთლი ამოაცოცა და თქვა: „ჩვენი გამგზავრებისა დაგლითო, „За успех нашего безнадёжного дела!“ - დაუმატა მან თავისი საყვარელი გამოთქმა და განაგრძო: - „მხოლოდ ივანოს ნუ დავალევიანებთ, ის უკვე ნაყლაპი მოვიდა!“ მან დაასხა, ჩვენ დავლიეთ და იქვე გავინაწილეთ ადგილები: მე და ბულაგი, როგორც უფროსები, ქვედა თაროზე დავწვევდით, ივანოვი და ხრამოვი კი ზემოთ უნდა ამძვრალიყვნენ. ივანოვმა ერთხანს უყურა ჩვენს ღრეობას, მერე ადგა და ვაგონიდან გავიდა... დაიქალა ბოთლი და ჩვენ დასაძინებლად დავწვეით. ივანოვი არ ჩანდა... შუადამისას ხრამოვის ყვირილმა გამოგვაღვიძა: „აღვიქით, აღვიქით! იქ, გამბურში, გასისლიანებული ივანოვია!“ გარეთ გავცივიდით და რას ვხედავთ: ივანოვი კედელს მიმყუდობდა და მეგუერად სიძინავს, თან გახეთქილი შუბლიდან სისხლი ჩამოსდის (ეგყობა, რადგან დავეჯახა). მოუკიდეთ ხელი და შევთარიეთ კუპეში. ბულაგმა თქვა: „ზემოთ ნუ დავაწვენთ. ჩამოვარდება, მის თაროზე მე ავალ. ეს შობელძალი კი ჩემს საწოლზე დააგდეთ, იქნებ

დღიამდე გამოფხიზლდეს, თორემ სირცხვილია, სამარაში მაგარებელს ხალხი დახვდება“. რის ვინ-ვაგლახით გაგზავდით ივანოს შარვალი, ფეხსაცმელი და ბულაგის ადგილზე დავასვენეთ. თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა. მოვიცილეთ თუ არა, იმ წამსვე ძირს ვაადინა ბრაგვანი! ისევ ავეწვიეთ ღანძლავა-გინებით საწოლზე დავეთ, მაგრამ არ გასულა წუთი და ისევ ატაკებოდა ამოიხნდა. თან ვაუგებრად რაღაცას ბუტბუტებდა. ხუთჯერ თუ ექვსჯერ განმეორდა ეს პროცედურა და ჩვენ უკვე მოთმინება დავკარგეთ, როცა ივანოვის ბურტყუნში, მე „ბულაგის“ სახელი გავიგონე. „მოივით, მოივით - გავაჩერე ჩემი ამხანაგები - ეს კაცი რაღაცას ამბობს“. ყველანი გაჩუქდით და სიჩუმეში მკაფიოდ გავიგონეთ ფრაზა, რომელსაც საწყალი ივანოვი უკვე მერამდენედ იმეორებდა: „რას შვებით, თქვე ხობერო, აქ რატომ მაწვენთ? ეს ხომ ბულაგ მაღვროვიჩის ადგილია, ჩემი საწოლი შევითია!“

თურმე კი არ ვარდებოდა ივანოვი, მრდილობიანი კაცი იყო და ბულაგს მის კუთვნილ ადგილს უთმობდა!..

საუბარი ბულაგ ოკუჯავასთან

მე - საქართველოში შენ კარგად გიცნობენ, მაგრამ დრო მიდის, თაობები იცვლებიან და ახალგაზრდებმა შენი ცხოვრების ბევრჩაგანი არ იციან, ვინ ხარ და რა ხარ?

ის - მოსკოვში დავიბადე 1924 წელს, 9 მაისს... მაშინ, ცხადია, არც მე, არც ჩემმა მშობლებმა არ ვიცოდით, რომ ეს დღე „გამარჯვების დღესაცნაულად“ იქცეოდა... მამა და დედა პარტულში მუშაობენ იყვნენ. 1937 წელს მამა, როგორც „ხალხის მტერი“, დახვრიტეს: სამამულო ომის დაწყებისთანავე მე და დედაჩემი თბილისში აღმოვჩნდით. 17 წლის ასაკში, - მამინ თბილისის რუსული საშუალო სკოლის მეცხრე კლასში ვსწავლობდი, - მოხალისე დავიქვედი ფრონტზე. რიგითი ჯარისკაცი ვიყავი. დამჭრეს. თბილისში რომ დავბრუნდი სწავლა უნივერსიტეტში განვაგრძე, რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაფუძნდა. მერე კალუგის ოლქში აღმოვჩნდი: სოფლის საშუალო სკოლაში რუსულ ენას ვასწავლიდი, საოლქო გაზეთის კორესპონდენტად ვმუშაობდა... ასე გავიდა რამდენიმე წელი...

შემდეგ მოსკოვში დაბრუნების საშუალება მომეცა, სადაც დავესახლდი და დავოჯახდი. ვეშუაობდი გამოცემლობა „მოლოდია გვარდიამი“, „ლიტერატურნაია გაზეტაში“... 1962 წლიდან სამსახურს თავი დავანებე და მას შემდეგ სახლში ვზვიარ და ვწერ. თუმცა „სახლში ვზვიარ“, - ეს გამოთქმა სწორი არ არის. ბევრს ვმოვგაურობ. თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარე, არაერთხელ ვყოფილვარ უცხოეთშიც... 1961 წლიდან მწერალთა კავშირის წევრი ვარ.

მე - ქართული თუ იცი?

ის - არა. მაშაჩეში, ბიძები, ბიცილები - ყველანი, ცხადია, ქართულად მეტყველებდნენ, დედამაც იცოდა ცოტათოდენი ქართული, მაგრამ არეული ღრო იყო, ჩემთვის არავის ეუბანა. ბავშვობაში არც მე მიჭირდა ქართულად ლაპარაკი, მაგრამ რუსულ სკოლაში მიმაბარეს, შერე ფრთხილად მოვხვდი და... თანდათან დამავიწყდა ჩემი წინაპრების ენა და ქართული კაცი რუსი მწერალი გახვდი... ეს არც დანაშაულია ჩემი, არც დამსახურებაა. ბედისწერამ ასე განსაჯა და, თუ მომავალში, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, რომელიმე ქართველი „პატიოტი“ მისაყვედურებს ქართველობას რაგომ უღალატაო, წინასწარ მინდა ვუპასუხო... რომაელები ამბობდნენ: „თუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვიქცეთ ისე, როგორც გვინდა, მოვიქცევით ისე, როგორც შეგვიძლია“... საბჭოთა სინამდვილემ, ჩემგან დამოუკიდებელი მიმგებების გამო, ცხოვრების ისეთი პირობები შემქმნა, რომ ერთადერთი, რაც შემიძლო - რუსი მწერალი ვაგვმდაროყავი და ვაზხდი კიდევ! ამისთვის პატივებს არავის ვთხოვ! არადა, საბოლოო რა მაქვს, განა ცუდი მწერალი ვარ?... ჩემნაირთა ბევრია: პუშკინი აბისინელი იყო და დიდი რუსი მწერალი ვახდა, ქართველმა ბალანჩინმა ამერიკული ბალეტი შექმნა! მათგან განსხვავებით მე ჩემი ქართული გვარი მაინც შევინარჩუნე, უცხოურ ყაიდაზე არ გადამიკეთებია, თან როგორც ამბობენ, ქართველს უფრო ვგავარ, ვინც რუსს ან ამერიკელს!..

მე - შენს ლექსებს რაგომ ამღერებ? განა მათი წაკითხვა არ ემარა, რომ მკითხველზე შთაბეჭდილება მოახდინონ?

ის - მკითხველი თუ მსმენელი არ მაინტერესებს! უბრალოდ, ბავშვობიდანვე მიყვარდა ხალხური სიმღერები: რუსული, ქართული, სომხური, თათრული, განსაკუთრებით თბილ-

ისური „ბაიათები“ მომწონდა... ტექსტის დალინება უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა: მულოდია თითქოს უფრო ღრმად განმაცდევინებდა სიგვეის ამრსა და მნიშვნელობას... ვწერდი ლექსებს და ვიყავი ჩემთვის. მაგრამ ერთხელ მოთხოვნილება გამიჩნდა, ჩემი საკუთარი ლექსები დამემღერა. ავიღე ვიგარა, გამოუცდელი ხელი სიმების ჩამოვკარი და თავისთავად მულოდიაც განხდა - ტექსტის შესატყვისი მუსიკა... ასე ვაგვდი „მომღერალი პოეტი“...

მე - ქართულ პოეზიაზე რას იცოლი?

ის - რა ვთქვა, როცა ქართული არ ვიცი? ქართულ ლექსთწყობას რომ ვისმენ, ამკარად ვგრძობო მის კავშირს ფოკლორთან, რუსთაველის გრადიციასთან და ეს ჩემზე ძლიერ მოქმედებს... თუ როგორ ვიერს თანამედროვე ქართული ლექსი თარგმანის მიხედვით თქმა ძნელია.

მე - შენ თვითონ როგორი პოეზია მოგწონს?

ის - მე ყოველთვის გრადიციული ფორმების მომხრე ვიყავი. პოეზიაში მიყვარს კანონიკური ლექსი: რიგში, რითმა, რეფრენი, ინტონაცია... ე. წ. „მოღერნი“ და „ავანგარდი“ ჩემთვის უცხოა! მე, რასაკვირველია, მათ არ უარყვოვ, მაგრამ არ მომწონს. არც სიმბოლიზმი მომწონს. მოკლედ ძველმოდური კაცი ვარ. რომანტიკულ პოზიციებზე ვიდექი და ვღგავარ. რომანტიკული პოეზია მიყვარს, მიწიერ რეალიზებთან დაკავშირებული და მაინც აშაღლებული, თუმცა მკვეთრი საზღვრის გავლება რომანტიკულ და რეალისტურ პოეზიას შორის ძნელია: ასეთ დანაწევრებას მხოლოდ საშუალო სკოლებში ასწავლიან... ალბათ, ამიგომ ჩემში თანაბარ გამოძახილს პოეზის პასტერნაკის ყოფითი დეკლარების პოეზიაც და ადრინდელი შაბოლოცის პარადოქსული ამროვნებით განმსჭვალული ლექსებიც...

მე - რამ განაპირობა ის, რომ პოეზიას ერთგვარად „ღალატავ“ და ახლა თითქმის მთლიანად პროზაზე გადახვდი?

ის - პროზაზე, ალბათ, იმიგომ გადავედი, რომ პოეზიაში ჩემი თავი ამოვწურე ან, უფრო სწორად, საკუთარ თავს, როგორც პოეგმა თავი ვეძებებრე! ან უფრო სწორად, ის, რასაც ლექსად ვწერდი, აღარ მაქმყოფილებს!.. ამიგომაც ვედაე ჩემი მეტობა სხვა საშუალებით გამომეხატა. თუმცა, მე

მგონია, პროზითაც იგივეს ვწერ, რასაც ლექსით ვამბობდი! ეს ასეა საერთოდ: ყველა დროის მხატვრის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანაა - საკუთარი „მომობის“ გამოხატვა. თუ ეს ბევრს აღეგებს, მაშინ დიდ ხელოვანთან გვაქვს საქმე, თუ არა და... რას იმაში, საკუთარ თავს ვერ გადაახტები! იმაზე მეტი, რაც ხარ, ვერ გამოჩნდები! ჩემთვის ერთი სამომი არსებობს. არის ნაწარმოები, რომელსაც კითხულობ და მისი გმირების ხვედრს განიცდა: წუხხარ, ლეღავ, გირი, იყინი, ერთი სული გაქვს, სანამ კითხვას ჩაათავებ, ვაიფო: ვის რა მოუვიდა, ვინ მოკვდა, ვინ გადარჩა, რა ბედი ეწია რომანის ამა თუ იმ პერსონაჟს... მაგრამ არის ნაწარმოები, რომლის კითხვისას მის პერსონაჟებზე კი არა, შენ საკუთარ თავზე ფიქრობ, შენ საკუთარ ხვედრს უკვირდები. სწორედ ესაა დიდი ნაწარმოები, დიდი ხელოვნება.

მე - გალაკტიონი? ის, მგონი, შენი ნათესავია?

ის - გალაკტიონის მეუღლე ოლღა ოკუჯავა - მამაჩემის უფროსი და იყო, მამიდანი... მე ადრეც ვთქვი ერთ ინტერვიუში, რომ გალაკტიონი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი. სამწუხაროდ, მას ცუდად თარგმანდნენ. ბოპემური ბუნების კაცი იყო და ამისთვის არ უნდა, სხვები კი, ვისაც ქვეყნის და ხალხის წინაშე ეს საქმე ევალებოდა, გალაკტიონისთვის თავს არ იტყუებდნენ, საკუთარ თავზე მრუხანდნენ. ამიტომაც გალაკტიონის შემკვიდრება დღემდე უცნობია სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხისთვის... შენ, ალბათ, იკითხავ: რის საფუძველზე ვამბობ ამაზე, როცა ქართული არ ვიცი? მაგრამ მე ხომ პროფესიით პოეტი ვარ და წამიკითხავს გალაკტიონის ლექსების კარგი ბჭკარეები, თანაც ყურთასმენა არ მაკლია და ისიც ვიცი, როგორ ფერს ეს ლექსები ქართულად... პოდა, მათ რომ ვისმენ, ისეთი გრძნობა მიპყრობს, თითქოს ქართული ფილმდროის, ქართული ხალხური სიმღერის, რუსთაველის შაირის მელოდის გამოძახილს ვუსმენდე.

მე - რაში გამოიხატება შენი კავშირი საქართველოსთან? როგორ გრძნობ შენს „ქართველობას“? ნუთუ მხოლოდ „მოსკოვი ჩამოსხმის ქართველი“ ხარ, როგორც შენი რუსი მეგობრები ამბობენ?

ის - ჩემი კავშირი საქართველოსთან

თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველთვის დიდი ხალხითა და ინტერესით ვითარგმნიდი და ვითარგმნი ქართველი პოეტების ლექსებს. ჩემს ნაწარმოებებშიც ასახა საქართველო, კერძოდ, ძველი თბილისი (მხედრობაში მაქვს ცალკეული ლექსები და რომანი „დიდებანების მოგზაურობა“)... რაც შეეხება ჩემს „ქართველობას“, სამწუხაროდ, დიდხანს მოწყვეტილი ვიყავი სამშობლოს და, ბუნებრივია, რუსულად ამროვნებას და მეტყველებას მივჩვევი... ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული სამყარო ჩემთვის უცხოა. არა, მე მას ყოველთვის მშობლიურ გარემოდ აღვიქვამდი, მაგრამ ამ აღქმის სიგყვიერი და ამრობრივი გამოხატვა რუსულად ხდებოდა... ადრე ამაზე არ დაფიქრებულვარ, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრად ვგრძნობ ჩემში ქართული სისხლის დუღილს, ქართულ ტემპერამენტს და ჩემი ქართველობა სულ უფრო მეტად მალეღვებს და მეამაყება... ეს იმას ჰგავს, როცა რუს ბავშვს შეეკითხებიან: „გიყვარს პუშკინი?“ ის, რასაკვირველია, უპასუხებს მიყვარსო, მაგრამ ეს პასუხი წმინდა მექანიკურია. ადრე მეც ასე ვამბობდი: საქართველო მიყვარს-მეთქი, მაგრამ ამ სიგყვებს არ ვუფიქრებოდი, ამ სიგყვებში მოქცეულ ამროსა და გრძნობას არ განვიცდიდი ისე, როგორც ახლა, როცა ასაკში შევიდი...

მე - გქონდათ თუ არა ურთიერთობა ბორის პასტერნაკთან და ანა ახმატოვასთან?

ის - პასტერნაკთან და ახმატოვასთან ახალგაზრდული მოგონებები მაკავშირებს... პასტერნაკს პირველად საქართველოში შევხვდი, სასტუმრო „თბილისში“. სტუდენტი ბიჭი, წინასწარი მეტყობინების გარეშე, მის ნომერში შევიჭერი და ვაიძულე საწყალი პოეტი, ჩემი უბადრუკი ლექსები მოესმინა. ძალიან მრდილობიანად მომექცა, საყარძელში ჩამსვა და მოთმინებით მისმენდა თითქმის ერთი საათის განმავლობაში, მაგრამ მე მგონი, არც ერთი სიგყვა არ გუგონია: ფანჯარაში იყურებოდა და რაღაცას ფიქრობდა. ლექსების დელამაციას რომ მოვრჩი, მკითხა: საერთოდ, ცხოვრებაში რა განიტკუესებოდა? მოსკოვის ლიტერატურულ ინსტიტუტში მინდა მოვეწყო-მეთქი. ამაზე პასტერნაკმა მიპასუხა, რომ ლიტერატურული ინსტიტუტის დაარსება გორკის „გენიალური შეცდომა“ იყო, რომ იქ სწავლას არავითარი აზრი არ

აქვს, ხოლო როცა გაიგო, რომ უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, დასძინა: მეტი რაღა ვინაა? ისწავლეთ, დანარჩენი კი დროს მიანდეთ, იგი დაგესმარებათ, თუ თქვენს მხარეზე იქნებაო!.. ანა ახმაგოვა კი მაშინ გავეცანი, როცა უკვე პოპულარული გახდი. სტუმრალად დამპატივა, მაგრამ ის ქალი ჩემთვის დეობაბასათი იყო და ვერ გავებდე მისვლა. შემეშინდა. დიდხანს მეშინოდა. გავიდა ერთი წელიწადი, ორი... ის კი სულ შეპატივებოდა... ბოლოს, როგორც იქნა, გავებდე. მასსოვს, წინ აღმიჯდა და გულთბილი საუბარი გამიბა. რას მელაპარაკებოდა, არ მასსოვს, სულელურად ვიღიმებოდი და თავს ვუქნევდი... მერე, ერთხელაც, ისევ ლენინგრაღში ყოფნის დროს, როცა მოსკოვში დაბრუნებას ვაპირებდი და უკვე მატარებლის ბილეთი ალებული მქონდა, მოულოდნელად ახმაგოვას შევიანმა დამირეკა და მოხსრა: ანა ანდრეევნას თქვენი ნახვა სურსო. „ახლა არ შემიძლია, - ვუპასუხე, - ამაღამ მოსკოვში მივიდვარ“. მაშინ, თვითონ ახმაგოვამ აიღო ყურმილი და ლამის მიბრძანა: მოდი, გელოდებითო, მე ლულული დადიწყე იმის შესახებ, რომ მოსკოვში გადაუდებელი საქმეები მაქვს, მატარებელზე მაგვიანდება, ბილეთი ალებულია და ა. შ. ახმაგოვამ აღარ მისმინა და ყურმილი დაღო. გავიდა წლები და მიხვდი, რა შეცლომა ჩავივინე! ყველაფრისთვის უნდა მიმეფურთხებინა, ბილეთი უნდა გადამეგო და პოემის ქაღმერთთან გამოეცხადებულაიყავი!

მე - შენი ცხოვრებისეული „კრელო“?
 ის - საკუთარი კეთილდღეობა არასდროს არ უნდა აავტო სხვისი უბედურების ხარჯზე.
 მე - როდის და სად ცხოვრობდი შენს საყვარელ „არბაგზე“?

ის - გაჩენის დღიდან - 1940 წლამდე ჩვენს სახლში ახლა პირველ სართულზე ელექტრომაღალია და „დემოსოველური სამწვადე“... ჩემს ბავშვობაში შენობა სხვანაირად გამოიყურებოდა, ახლა გადააკეთეს.

მე - როგორ ფიქრობ, რაგომ გახშირდა მოსკოვის ისტორიული ძეგლების ნგრევა-გადაკეთება? იქნებ ვინმეს ხელს აძლევს ასეთი პრაქტიკა?

ის - იგი ხელს აძლევს უფლებამოსილ რეგენებს და კიდევ იმათ... რა პქვია, არ მახსოვს... ივალთში ბლომად არიან... მო, „მაფიონები!“ ისინი ყველგან არიან, არქიტექ-

ქტორთა და მშენებელთა შორისაც... მაგალითად, ახალი არბაგის პროექტი რომ დაამტკიცეს აბს. გრიშინის ინიციატივით, მაფიონები უმაღ იქ განდნენ: ერთმა ჯგუფმა ტუალეტის ფილებით მოაპირკეთა არბაგი. მეორემ ტროტუარების გასწვრივ ლამაიონები ჩამოარიგა, არბაგთან არავითარი კავშირი რომ არ აქვთ, შესაძე ჯგუფმა გამოიხეი ეგვტოტკური ყვეილებით შორითო... მოკლედ, კარგად იმუშავეს „სპეციალისტებმა“ და დიდი მყუთიე ჩაიჯიბეს! არბაგი კი გაქრა, აღარ არსებობს! მე ბევრჯერ მითქვამს, არბაგი ჩემი სამშობლოა-მეთიე. გამოდის, უსამშობლოდ დავრჩი!

მე - დამისახველ შენი საყვარელი მწერლები.

ის - პუშკინი, პასტერნაკი, ახმაგოვა, პროზაში - იგივე პუშკინი, ლევ ტოლსტოი, პოემაში.

მე - რას იცყვი ქართული სუფრის შესახებ?

ის - მომწონს ქართული სუფრა, რადგან იგი ქართული ხელოვნების თავისებური გამოვლენებაა. ქართულ სუფრასთან მარტო საჭმელად და სასმელად არ იკრიბებიან. ხელოვნება აქ კერძების მომზადებაშიც შეღაენდება, სიყვავა-პასუხშიც, იმ გასაოცარ სიმღერებშიც, ქართულ სუფრას რომ ამშვენებს. ბოლოს, თამაღის მჭყერმეცყველებაც ხომ ხელოვნებაა! მართალია, ყველა სუფრა ხელოვნების დონეზე არ დგას, მოგჯერ იგი ღრეობად იქევა და მაშინ... ასეი სუფრაზე ყოფნას არ ვისურვებდი. ძირითადად კი ტრადიციულ ქართული სუფრა აღამიანთა ურთიერთობის, მათი დაახლოების ასპარეზია და ეს ტრადიცია მკვეთრად განსხვავდება სხვა ხალხების, თუნდაც რუსი ხალხის ტრადიციისგან - ისინი სუფრას წმინდა უტილიტარული თვალსაზრისით აღიქვამენ.

მე - ძველ ქართული ტრადიციებიდან რომელი უფრო მოგწონს?

ის - სტუმართმოყვარეობა, როგორც აღამიანის მოთხოვნილება, მოყვასის სიამოვნებას შეწიროს თავისი ოჯახური სიმშვიდე, მატერიალური დოვლათი და, რაც მთავარია, ღერო, რომლის ნაკლებობას თითოეული ჩვეუტანი განიცდის.

მე - ჭაბუკ ამირეჯიბზე და „დათა თეთრ-აშხიაზე“ რას იცყვლი?

ის - ჭაბუკ ამირეჯიბი დიდი მწერალია.

უფრო მეტიც - იგი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. „დათა თუთაშხია“ კლასიკური ნაწარმოებია და ყოველგვარი ქების ღირსია, თუმცა, პირადად მე, როგორც პროფესიონალს, იგი ოდნავ გაჭინებული მჩვენებდა. ვუთხარი კიდეც ამის შესახებ ავტორს, მაგრამ არ დამეთანხმა... ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მე ბუღაც ოკუჯავა ვარ, ის კი ჭაბუა ამირეჯიბია და თავისი საქმე ჩემზე უკეთ იცის... ერთი სიტყვით, ჩემი აზრით „დათა“ უადრესად კეთილშობილი, რომანტიკული სულით გაუღენთილი ნაწარმოებია...

მე - მწერლობის გარდა რა გიტაცებს? ის - ჩემი „პობი“ გაინტერესებს? მანქანის ტარება მიყვარს! ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს დამოკიდებლობის თავისებური ილუზიაა, გარდა ამისა, ჩემი ლიტერატურული მუშაობა (ისტორიული რომანების წერა) გამუდმებულ გადაადგილებას მოითხოვს და მანქანა ამ შემთხვევაში უებარი საშუალებაა. რუსეთის ძველ ქალაქებში დავდივარ, ვათვალიერებ ისტორიულ ძეგლებს, ვაგროვებ მასალებს...

მე - მამ, მწერლობა, შენი თქმით, „საკუთარი თავის, საკუთარი „მეობის“ გამოხატვაა“? თუ მიგაჩნია, რომ შენს ლექსებსა და რომანებში სრულად გამოხატე შენი „მეობა“?

ის - მართალი გითხრა, არა. ყოველთვის ვოცნებობდი, მუსიკოსად დაგბადებულიყავი. ჩემი ერთადერთი სურვილი იყო, მუსიკის საშუალებით გამომეხატა ყოველივე, რასაც ვფიქრობ და განვიცდი. სამწუხაროდ, ნოტები არ ვიცი, მგონი, არც სმენა მაქვს, თორემ ვინ ოხერი, - დიდი ხანია მწერლობას თავს გავანებებდი და კომპოზიტორი გახდებოდი!

მე - თუ გინახავს თბილისის ახლად აღდგენილი ძველი უბნები? რა აზრისა ხარ საერთოდ თბილისზე, როგორც ქალაქზე?

ის - მე მიყვარს თბილისი, როგორც მშობლიური ქალაქი და ეს უფრო მეტია, ვიდრე მასზე ჩემი აზრი ან შეხედულება. რა აზრისაა შეილი დედამე - გაგონილა ასეთი კითხვა? აღბაკებული ვარ ძველი უბნების რეკონსტრუქციით, მაგრამ ამ საქმისთვის აღერ რომ მიეხებათ, უკეთესი იქნებოდა: ბევრი რამ გადაურჩებოდა დაღუპვას.

მე - შენ, მგონი, შურა ციბულევსკის იცნობდი?

ის - ჩემი მეგობარი იყო, უნივერსიტეტში

ერთად ვსწავლობდით. მან პირველად მაზიარა ნამდვილ, სერიოზულ პოემიას და მის ამაგს არახდროს დავეიწყებ. ეს იყო ნამდვილი ინტელიგენცი, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით! არც ერთი თბილისელი არ მეგულება, ისე მყვარებოდა თბილისი, როგორც შურა უყვარდა, მისი ლექსები და პროზა, ყველაფერი, რისი დაწერაც მოასწრო, მის უდიდეს ნიჭიერებას მოწმობს და, რომ დასცლოდა, დარწმუნებული ვარ, სიტყვის დიდოსტამი გახდებოდა... შურა ციბულევსკი უკეთესობილესი პიროვნება იყო, სანამ შემო მოქალაქე და აღამიანი.

მე - გრადიციული შეეითხვა: რაზე მუშაობ ახლა?

ის - ჩემს მეოთხე ისტორიულ რომანს ვამთავრებ, რომლის მოქმედებაც 1795 წელს იწყება და 1826 წელს თავდება. მისი სახელწოდებაა „პაემანი ბონაპარტთან“...

მე - მორწმუნე ხარ?

ის - არა, ათეისტი ვარ და ჩემი მორწმუნეობა ამაში გამოიხატება. ამიტომ მოვითხოვე, ისეთივე პატივისცემით მეპყრობოდნენ, როგორც მე ვცემ პატივს ყველა მორწმუნე აღამიანს.

„ანეკდა“

„ანეკდა“ ანუ „საკადრო უფრეელი“... ეს სიტყვები ოდესმე ამოვარდება ლექსიკონიდან და მომავალ თაობებს აღარ ეცოდინებათ მათი საბედისწერო მნიშვნელობა. იყო დრო, როცა ყოველი საბჭოთა მოქალაქის ბედი მთლიანად „ანეკდაზე“ იყო დამოკიდებული! ნებისმიერი ანეკდა მრავალ კითხვათ შორის ერთ აუცილებელ კითხვასაც შეიცავდა: „გაყვით თუ არა ნათესავები საზღვარგარეთ?“ კარგია, თუ უარყოფითად უპასუხებდით, თორემ დადებითი პასუხის შემთხვევაში ბევრი უსიამოვნება გელოდათ. მაგალითად, საზღვარგარეთ არ გაგიშვებდნენ! მაშინაც კი, როცა თქვენი, როგორც სპეციალისტის უცხოეთში წასვლა აუცილებელი იყო (ყოველისმოქმედ „სუკი“ სიფხიმულს არ კარგავდა!).

„აკრძალული ხილი ტკილიაო“ და უცხოეთში წასვლამე ბავშვობიდან ვოცნებობდი. მენატრებოდა, საკუთარი თვალთ მენახა რომი, პარიზი, ვენეცია, - ყოველივე ის,

რის შესახებ წიგნებში წაკითხული მქონდა. ვაგიზარლე და ლავკაცილი, პასპორტიც მივიღე. მოქალაქეობაც, მაგრამ რამდენჯერაც ვცალე (თბილისიდანაც, მოსკოვიდანაც) საშლევარ-გარეთ წასვლა, არაფერი გამომივიდა... ე. წ. „სოციალისტურ ქვეყნებში“ კი მაგზავ-ნიდნენ, მწერალთა დელეგაციის შემადგენლ-ობაში, მაგრამ ჩემს საოცნებო როში, პარი-ზში, ვენეციაში და, საერთოდ, ნებისმიერ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ მიშვებდნენ!.. გუშანთი ზეგებოდი, რამაც იყო საქმე: თა-ვის დროზე (დიდი ბუღალდის გარდაცვალე-ბამდე) „სუკის თანამშრომლები ცილობდნენ ჩემთან ურთიერთობის დამყარებას, „თანამშ-რომლობას“ მთავაზობდნენ მაგრამ ვერც შემაშინეს, ვერც მომისყიდეს და მომეშენენ. ეყვობა, ამის გამო ჩემს „ლოსიემი“ თბილის-შიც და მოსკოვშიც (ბესიკის ქუჩაზე და „ლუბ-იანკაზე“) ჩემი ურჩობა დააფიქსირეს, „არა-საიმედო“ საბჭოთა მოქალაქედ ჩამთვალეს და კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩემს წასვლას საშუალებო „გაბუ“ დაადეს!

რომის და პარიზის ნახვის იმედი რომ გადამიწურა, ვისარგებლე პირველივე შემთ-ხვევით და პოლონეთში წავედი... გასაოცარი საქმეაო აღმოვაჩინე: ასე მეგონა, მოსკო-ველი ემიგრანტი ჩემს სამშობლოში, საქარ-თველოში დაბრუნდი! პოლონელები ქართ-ველებს ძალიან პეჯანან. ყველაფრით პეჯანან: პატრიოტიზმით, გემპერაპენტი, რომანტი-კული სულისკვეთებით, ქალებისადმი დამოკ-ილებულებით, ასე განსაჯეთ, ეშმაკობითაც! მე ვიყავი, პოლონელები „სლავერი წარმ-ომშობის ქართველები“ არიან! ვეროპული კოსმოპოლიტიზმში მათთვის ჩვენსავით უც-ხოა, მათაც ჩვენსავით უყვართ სამშობლო, თავისი ენა, გრადიცია, ოჯახი, წინაპრები, ჩვენსავით პატივს სცემენ თავისი ქვეყნის ისტორიას, სადაც არაერთი „ოუვლორე მღვლედი“ და „ეოტენ დადიანი“ მოიძებნება!.. პოლონელებზე ამბობენ: პოლონელი ჯერ ცხენს მოახტება და მერე იცყვის, ვის უნდა ვეომო?! განა ვი ქართულ ხასიათს არ პეჯავ? პოლონეთიც, საქართველოსავით, დიდი ქვეყნების საზღვარზე იდო და ხან გე-რმანია, ხან რუსეთი, როცა კი მოეპრიანებო-დათ, გადაუვლიდნენ და მიწასთან ასწორებ-დნენ (ასევე ექვეოდნენ საქართველოს სპა-რსეთი და თურქეთი და განა რუსეთიც ასე არ მოიტყა?), პოლონეთის მთელი ისტორია

ბრძოლისა და თავდაცვის ისტორიაა; პოლ-ონელებიც საუკუნეთა მანძილზე ცდილობ-დნენ. საკუთარი ქვეყანა და „შობა“ შეენარჩ-უნებინათ და, ალბათ, ამიგომ ვგაყარი ერთმანეთს!

პოლონეთში არაერთხელ ვყოფილვარ. ვარშავაშიც მიცხოვრია, კრაკოვშიც (საქა-რთველოს ანალოგიით, ეს მათი ქუთაისია, ყველაზე „პოლონური“ ქალაქი), სხვა პაგარა ქალაქებშიც.

ბევრი მეგობარი შევიძინე იქ და ულაშ-აშეს პოლონელ ქალთა ყურადღებაც არ მომკლებია... რუსეთში ჩემი სიცოცხლის ნახევარზე მეტი გაეგარე და მაინც ჩემს „მეორე სამშობლოდ“ - პოლონეთისა ვთვლი! დროთა ვითარებაში მათი ენაც ვისწავლე, ჩემი მეგობარი პოეტების ლექსებიც თითო-გზნე და „თანამედროვე პოლონური პოეზიის ანთოლოგიაც“ გამოვეცი ქართულად. ჩემი შრომა პოლონელებმა დააფასეს და „პოლო-ნეთის კულტურის დამსახურებული მოღვა-წის“ ორდენით დამაჯილდოვეს, მერე კი, საპასუხოდ, პოლონეთშიც გამოსცეს ჩემი ლექსების წიგნი...

პოლონეთის შემდეგ უნგრეთი ვახლა ჩემი „მეორე სამშობლო“. აქაც ბევრჯერ ვყოფ-ილვარ, მეგობრებიც მყავს და მათი პოეტების ლექსებიც მითარგმნია. არც უნგრელები დარჩენილან ვალში. მათაც გამოსცეს ჩემი წიგნი და „უნგრეთის კულტურის დამსა-ხურებული მოღვაწის“ წოდება მომანიჭეს...

ყოველივე ამას იმისთვის კი არ ვამბობ, რომ თავი მოვიწონო, საგრაბახო ამბებს მერმე მოვყვები, ახლა კი უცხოეთში დაწ-ერილი ჩემი ერთი ლექსი მინდა გაიხსენო, სადაც „უკიდევანო ვრცელ საქაროსთარ“ ქართველი პატრიოტის თავისებური დამ-ოკიდებულებაა გამოხატული (რაც მოგი-ერთმა მკითხველმა შეიძლება „კოსმოპოლი-ტიზმადაც“ მონათლოს):

სამშობლოს

ნუთუ იმისთვის მასწავლე ენა,
 ევ დიდებული ენა ქართული,
 რომ დღენიადაგ გაქებლე შენა
 და ამ ქებაში ამომხდეს სული?
 ნუთუ იმისთვის, მხოლოდ იმისთვის
 მომჯაადოვეს შენმა ბგერებმა,
 რომ გარდა ჩემი დედა-თბილისის
 ვერ ვპოვო ვერსად ბედნიერება?!
 მე კი მეგონა, ანდამაგურად

იმიტომ ჟღერდა შენი ანბანი, რომ შენს ნაშვიერს შენთვის ქართულად შეუწყვიტინა ქვეყნის აშბავი. მეამბნა შენთვის, რაც სამღერია, და მეთქვა ისიც (ვწუხვარ ამაზე), რომ შენნაირი კუთხე ბევრია უკიდვებო ამ ქვეყანაზე! და არის ყველგან კეთილი ხალხი და ყველას თითო მოგველის ქალი და გვიფთვალთვალეს სუყველას მადლით „თანამგზავრების“ ფიშელი თვალის!..

...პოლონეთის მწერალთა ყრილობა ქალაქ კატოვიცეში ტარდებოდა. ჩვენც, საბჭოთა დელეგაციის წევრები, იქ ჩავედით. კატოვიცე შემახტეების ქალაქია, მწვანეში ჩაფლული. შუა ქალაქში ომის მსხვერპლთა ძეგლი დგას და მუღმივე იცეხბო ანთია. ძეგლის საინტერესოდ არის გადაწყვეტილი: მოვლის შუაგულში, უშუალოდ ასფალტიდან, უზარმაზარი ხეებივით ბრინჯაოს სამი ფრთაა ამოზრდილი (ეს ქანდაკება ადრეც შენახა მსოფლიოს საუკეთესო ძეგლთა კატალოგში, მაგრამ, თვალნათელი რომ შევხედო, გაეოცდი...) იმ დღეს კატოვიცეში შემახტეთა დღესასწაულს ზვიმობდნენ. მთელი დღის განმავლობაში ქალაქის ქუჩეებში შემახტეთა პროფესიულ ფორმაში გამოსწყობილი კოლონები დადიოდნენ, გრიალებდა ორკესტრები და მხიარული შეძახილები ისმოდა...

ჩვენი დელეგაცია პაბარა სასტუმროში ცხოვრობდა. საღამოს, სანამ დავიძინებდი, მე კიდევ ერთხელ მივედი ძეგლთან, ხოლო მეორე დღეს, დღით ადრე, ბაზარში წავედი, ყვერილების თაიგული ვიყიდე და მუღმივე იცეხბოთან დავედი. თან დაფიჩოქე და პირჯვარიც გადავიწერე... მე მეგონა, არავინ დამინახავდა: ხალხი სამსახურში მიიქართოდა, ჩემთვის არავის ეცალა და ბრინჯაოს ფრთებიც საიმეოდ მეფარებოდა. თურმე ასე არ ყოფილა... დღისით, როცა ყრილობის სხდომიდან სასტუმროში დავბრუნდი, მოულოდნელად მარმის ხმა გავიგონე. ფანჯარაში გავიხედე და დავინახე შემახტეების კოლონა, რომელიც სასტუმროსკენ მოემართებოდა. სასულე ორკესტრს წინ „გამბურმაჟორი“ მიუძღოდა, ხელში ფოჩებიანი კვერთხი ეჭირა, თავმეც ფოჩებიანი „კივერი“ ეხურა... ფანჯარას მოვეცილდი და გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვასწარი: მუსიკის ხმა უკვე შენობაში ისმოდა და შემახტეები

კიბეზე ამოდიოდნენ... კარშივე გავშეშდი. ჭადარათმიანმა „გამბურ-მაჟორმა“ კვერთხის მორბაობით ორკესტრი გააჩუმა, მხედრულად მომესალმა და მითხრა (იმდენი პოლონური ვიცოდი რომ გამეგო): „პოლონელი შემახტეები ვესალმებიან თქვენ, ქართველ კაცს, დღეს დღითი ჩვენ ვნახეთ, რაოდენ პატივს სცემს თქვენს ხალხს ომში დადუქულ ჩვენს შვილებს!“ მოხუცი ამას მეუბნებოდა, მე კი გაუნძრევლად ვიდექი და ცრემლი ჩამომდიოდა...

კიდევ ერთი ეპიზოდი მაგონდება... ჩვენი თან დელეგაციაში რუსი მწერალი იყო, საკმაოდ ცნობილი პოეტი და ე. წ. „ხელმძღვანელი ამხანაგი“. ვარშავის საუკეთესო სასტუმროში ვცხოვრობდით. ერთხელ დილით კაფეში რომ შევედით და საუბრეს ველოდებოდით, მან ოფიციალტი მოიხმო და უთხრა: „არ მინდა არც თქვენი ჩაი, არც თქვენი ყავა, მე გთხოვთ, ბორში მომიტანო!“ ოფიციალტი გაუკვირდა: ეს ხომ კაფეა, აქ მხოლოდ საუბრებზე. ბორში თუ გნებავთ, სადილად რესტორანში მიბრძანდით და იქ მოგართმევენო. რუსმა ითაკია მომტანის პასუხი და მეგრდოგელს დაუძახა: ახლავე ბორში მომიტანეთ! მოსკოველ რუს მწერალს, ნუთუ არ შემიძლია თქვენს ქვეყანაში რუსული ბორში ვჭამო? მეგრდოგელს გაეღიმა, მაგრამ მიერე მისვდა, რომ რუსი არ ხუმრობდა: გათამამებული თავისი იმპერიული წარმომადგენლობით (ის ხომ მოსკოვიდან იყო!) უბრალოდ თავხედობდა... სხვათა შორის იგივე რუსმა „ხელმძღვანელმა“ ამხანაგმა“, როცა მე შემთხვევით მის ნომერში შევედი და კარის სახეულეზე საჯაროდ გამოფენილი მისი ჭუჭყიანი გრუსები დავინახე, მიიხრა: სპეციალურად მანდ დავიდე, რომ დამლაგებელმა გამირეცხოს - წელი არ მოწყდებათ ამ პოლონელებს, თუ საბჭოთა მოქალაქეს უფასოდ მოემსახურებიანო!..

მასხოვო, უნგრეთში ერთ სასტუმროში არ მიშეებდნენ: სასტუმროს პატრონმა, გაიგო თუ არა, რომ საბჭოთა კავშირიდან ვიყავი, როგორც ამბობენ, ქვა აავლო და თავი შეუშვარა - არამე და არამე რუსს არ მივიღებო! ამას წინათ ერთი მოსკოველი პროფესორი ცხოვრობდა ჩვენი თან და ლამის საღორედ გადააქცია ნომერი: სადილს თვითონ იხარმავდა ვლექტროქურაზე, საცელებს თვითონ ირეცხავდა აბაზანაში, გალახიან

ფესხაძემელს ხავერდის ფარდით იწმენდა. დილის საუკმეს კაფეში რომ მიართმევდნენ, რაც დარჩებოდა - კარაქის თუ ყველის პაწაწინა ნაჭერს, - პორტფელში იდებდა და თან მიჰქონდაო... ჩემი უნგრელი კოლეგა დიხანს უხსნიდა მას, რომ მე რუსი არ ვარ, ქართველი ვარ და, როგორც იქნა, დაითანხმა... იცით, როგორ მოვიქციე? პირველსავე დღეს ყვავილები ვიყიდე და ყველას, ვინც კი სასტუმროში იყო მომსახურე პერსონალი, - სართულის მორიგეებით დაწყებულ და დაძლავებული დამთავრებული, - სათითაოდ ჩამოვურიგე!..

კიდევ ერთი შემთხვევა მახსოვს, ესეც ბუდაპეშტში მოხდა. ფული იმდენი სად მქონდა, მაგრამ არაფერს ვიკლებდი: როგორც მინდოდა, ასე ვიქცეოდი. ამის შემხედვარე ჩემი უნგრელი მეგობრები ხელს მიწყობდნენ: გამოუქვეყნებელ ლექსებში წინასწარ პონორარს მაძლევდნენ, სპეციალურად ჩემთვის ლიტერატურულ „ღონისძიებებს“ მართავდნენ, სადაც თვითონაც ჩემთან მონაწილეობდნენ...

რესტორანში ვისხედით მე და პალ ვევეპერი - ცენტრალური გაზეთის „ნეფსაბაღმაგის“ რედაქტორი. უღამაზესმა ქალმა ჩაგვიარა და პალმა გამაცნო. ფოტოკორესპონდენტი აღმოჩნდა. ძალიან მომეწონა და ყავაზე დავპატიე. კონიაკიც დავლიეთ, ვისაუბრეთ და მერმე იბოიამ (ასე ერქვა ქალს) შინ წავვიყვანა. მარტო ცხოვრობდა. მის სახლშიც დავლიეთ, სურათებიც გადავიღეთ და, რადგან უკვე ძალიან გვიანი იყო, მასპინძელმა შემოვთავაზა, მასთან დავრჩენილიყავით. პალს ჩაეძინა, მე და იბოია მარტონი დავრჩით და... გათენებამდე არ დავგიძინია... დილით, როცა ვშორდებოდით, იბოიამ მითხრა: რაიმე სასოვარს თუ დამიტოვებ, კარგს იმამ... მოდი, საათები გავცვალოთ - ჩემი საათი შენ წაიღე და შენი მე მომეციო. ნეტა არ ეთქვა! ჩემი მაჯის საათი ცოლის ნაჩუქარი იყო და როგორ შეველეოდი? აღარ მახსოვს, რა ვუპასუხე, როგორ დავუძვინე თავი, მაგრამ უნგრელი მასპინძელი, ეგვობა, ჭკვიანიც იყო და თვითონ შეწყვიტა ამაზე საუბარი... რამდენიმე დღე აფორიაქებული ვიყავი, ადგილს ვერ ვპოულობდი. როგორც კი ცოცაოდიანი ფული გამიჩნდა, წავედი საბჭოთა მადამიაში და მუსტაფ ისეთივე საათი ვიყიდე, ხელზე

რომ მეკეთა. დავერეკე რედაქტორს და ვთხოვე: ის ფოტოკორესპონდენტი კიდევ შემახვედრე-მეთქი. პასუხზე შევაგყევე, არც ქალი ახსოვდა, არც მასთან ჩვენი სტუმრობა, მაგრამ რედაქციაში მაინც მიმიწვია და იბოიაც იქ მოიყვანა... ახლაც მახსოვს მათი გაკვირვებული სახეები, როცა მაჯიდან საათი მოვიხსენი და ქალს ხელზე გავუკეთე არაფერი მითქვამს, მხოლოდ ლოყაზე ვაკოცე და წამოვედი...

ამგვარი ხელგაშლილობა არაერთხელ გამომიჩენია უნგრეთშიც და სხვაგანაც, მაგრამ ეს შემთხვევა იმიტომ გავიხსენე, რომ მას „ლიტერატურული“ გაგრძელება აქვს... ბუდაპეშტიდან ჩემი წასვლის შემდეგ უნგრეთში რუსი პოეტი იური რიაშენკევი გაემგზავრა. ამ ახალგამრღამაც, ასე ვთქვათ, „ჩემს ნაკვალევზე“ იარა და ასეთი ლექსი მომიძღვნა:

Гость из Грузии

У мадыяр
и три года спустя
Не смолкала веселая эта шумиха:
Вспоминали грузинского гостя -
Безумного парня
По имени миха.

Как он ел!
Как он пил!
Как дарил всем вокруг дорогие подарки!
Как дрожали от страсти и страха пред очами его удалые мадыярки!
Говорили,
что задал он пир,
от которого ныне пьяны в Эстергоме,
говорили, что тосты его издают в Будапеште в отдельном с застешками томе.
И, - как будто, - желанья свои выражать запрещалось при нем непреложно и строго,
ибо точчас он их выполнял,
так как было в нем что - то от Бога...

из хозяев никто не бывал на прекрасной и страстной земле Карпалинской
Но и так было ясно,

что люди ее
 обладают душой исполинской:
 Ничего не берут,
 все дают,
 и всех дарят поистине щедро
 и с частливой улыбкой
 глядят из - под старого фетра...
 О неведомый Миха,
 твою ль
 не узнать мне повадку!
 Ты свалился с небес,
 а мадьярам сказали -
 идешь на посадку!
 Вот и пусть
 вспоминают тебя,
 восхищенно дивятся: что за жизнь,
 что за мера! -
 и в сомненьях на ощупь бредя,
 улыбаясь догадке,
 листают Гомера.

P.S. რაც მართალია, მართალია, ამით შემოდის დავიგრაბზო, რომ ქართველ კაცს დამოუხდა ჩემი ქართველობა და ამის გამო პომპროსის გმირს ოდისეუსსაც კი შემაღარეს!

ღელა

ღელაჩემზე ამობღენ, ლამაზი ქალიაო... მაშინ 6-7 წლისა ვიყავი და ქალის სილამამისა არაფერი გამეგებოდა. სიგყვა „ღელაზს“ ჩემთვის სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. „ღელა“ იყო სათამაშოები, საღებავები, წიგნები, ახალი განსაცემელი. ყველაზე ლამაზი კი ნაირ-ნაირად მოხატული ფერადი ასანთის კოლოფები იყო, ჩემი ძმა სანდრო რომ აგროვებდა. მომწონდა ზოგიერთი ჩემი გოლი, განსაკუთრებით გოგოები, მაგრამ ამ მოწონებას სხვა სიგყვებით გამოეხატებოდა. „რა კარგი კაბა აცვია მამას!“ „მანანა კეთილი გოგოა!“ - შორსვად ჩაქურჩულებდი ღელას, როცა ჩემი ან სანდროს დაბადების დღეს სტუმრები გვეწვეოდნენ და რაგომდაც ძალიან მიხაროდა, როცა ღელა (ისი ჩურჩულითა და ღმილით) დამეთანხმებოდა...

ღელაჩემის სახე კარგად მახსოვს, ხატვა მემარჯვება, მაგრამ, რომ მიიხრან დახატვო, ვერ დაეხატვა.

ხშირი თმა ჰქონდა, კვამლისფერი, თითქო ჭადარაჭერული. ღმილით იგყოღ: როცა

ქალს თმას უქებენ, ეს იმას ნიშნავს, სხვა არაფერი უფარგაო! თმას სადაღ ივარცხინდა, კეფაზე დაიხვავებდა, გაკვანძავდა და სარკებით დამაგრებდა. თვალები წაბლისფერი და მშვიდი. სახის ნაკეთები მომსხო, თუმცა არა მკეთველი გაქობხატული. საერთოდ, არაფერი ჰქონდა „წახნაგოვანი“ და თვალმისაცემი... მარჯვენა საფეთქელზე ხალი აჩნდა, ოდნავ ამობურცული (მუსტად ისეთი, მე რომ მაქვს)... მთავარი კი მისი სახის გაბომბეყველება იყო - მისი სახე სარკესავეთ ირეკლებდა ყველაფერს, რასაც ფიქრობდა ან განიცდიდა და მისი განწყობილება, - მხიარული თუ სევდიანი - უმაღ გადაუღებოდა მასთან მყოფ ადამიანს. ღმილი ჰქონდა არაჩვეულებრივი: ოდნავ დარცხენილი თუ გაკვირვებული, ასე გვონია, ბოღმის იხდისო თავისი უნებლიე სიხარულითის ან მიგიხვდათ ცუდ განზრახვას და თვითონვე უკვირს, როგორ მყუო გამბედაობა, რომ ეს დანაშაული გაპატიეთო!..

ახლა ვედილობ წარმოვიდგინო ღელაჩემის გაბრანებული სახე და ვერ ვახერხებ. იგი ან დამშვიდებული მახსოვს, ან შრუნვით შეწუხებული, დანაოჭებული შუღლითა და ფართოდ გახელილი თვალებით, ან კიდევ გაღიმებული და მამინ... როცა გაღიმებდა, მიჯრით მიწყობილი თეთრ და ჯანსაღ კბილებს შორის ერთადერთი ოქროს კბილი გამოანათებდა...

დაეუჭავ თვალებს და ყურში ჩამესმის მისი ხმა, რუსული აქცენტით ნათქვამი „შვილო!“ (ღელა ობოლი იყო, „წმ. ნინოს“ პანსიონში აღიზარდა და სახლში განსხვავებით ოჯახის სხვა წევრებისგან, რუსულად გველაპარაკებოდა). საურის დროს ხელებს მკერდზე დაიწყებდა ან ყელთან მიიგანდა ისე, როგორც იტალიელებმა იცინა... ბავშვით გულწრფელი იყო და აბას მიმიკითა ანუ დაუნებდა. არ მახსოვს, რანაირი გახი ჰქონდა, ფეხები, ის კი მახსოვს, როგორ შემოვიღოდა ღამით ოთახში, ფეხკრეფით მომიახლოვებოდა, აბანს შემომიკეცავდა, მუბზე მაკოცებდა, მერე ჩემს ძმასთან მივიღოდა, იმასაც გაუწოვებდა საბანს, თავზე ხელს გადაუსვამდა და გავიღოდა... ერთხელაც არ უცემია ჩვენივის (ეს საქმე „მამას ევალებოდა“. მისი სუსხიანი ქამრის გემო ახლაც მახსოვს). ღელა კი, თუ გავაჯერებდით, კუთხეში დაგვაყენებდა; საღამოობით,



როცა ოჯახურ საქმეებს მორჩებოდა, მიუჯდებოდა პიანინოს და უკრავდა რაღაც ისეთს, რაც იმ დროს მის ფიქრსა და განწყობილებას გამოხატავდა. მუსიკა ყოველთვის სველიანი იყო...

ღედის სილაშავე გვიან, ძალიან გვიან შევაბინე, როცა იგი უკვე კუბოში იწვა.

„ნოსოვას ბავშვი“

ღელაჩემისგან, გამიგონია, გაგზნდი თუ არა, იმ წამსვე ხმაამდღა გირილი დავიწყე და თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვგვიროდი. რაღაც არაბუნებრივად, ღღისითაც და ღამითაც, - განუწყვეტლად, ვაუთავებლად გავეიოდი და ცრემლებს ვღვრიდი!.. ამის გამო აურზაური ამტყდარა ჩვენს სახლში, ექიმებიც დამასიეს, წამლებსაც მასმევენენ, მაგრამ არ დამადგა საშველი: დასაკლავი გოჭივით ჰყვევინებდა და ჩემს ჰორვეულობას ბოლო არ უჩანდა! „გაჩუმეთ ეგ ძაღლის ლეკვი!“ - დაიძახებდა მამაჩემი, საცვლების აპარა წამოფარდებოდა ლოგინიდან და, რადგან ღედის ჩემი გამოსარჩლების თავი არ ჰქონდა, ისე იყო გასავათებული, დამავლებდა ხელს და მეორე ოთახში გამათრევდა ბაბოსთან...

ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად შეეწყვიტე გირილი. ყველას გაუკვირდა. მაგრამ ფაქტი ფაქტია - იმის შემდეგ იშვითად მიგირია, უმიზეზოდ მაინც, არასოდეს...

ახლა, ღელაჩემს რომ ვიხსენებ, ერთი ამბავიც მინდა მოვაცოლო.
 გა კახოვრები - გაუთხოვრებს.
 მეფისნაცვალთან საიდუმლო სიები ღგებოდა...
 სიები იცხრილებოდა... იცხებოდა... იცხრილებოდა...
 მეფისნაცვალს გაღლენიან შუაკაცებს უგზავნიდნენ:
 ვინ იცეკვებდა მბრძანებლის წინაშე?
 ვინ ასახელებდა გვარს, ოჯახს, სამშობლოს?
 ამაზე ბჭობდა მთელი საქართველო.

იმპერატორი სეფაში მიიწვიეს.

გივანტური სეფა ვარდის ფურცლებით იყო გადახურული
 სეფის კედლები

ახლად გამომცხვარი სპარსული ღავამებისა გახლდათ -
 ალაგ-ალაგ ყურძნის ჯაგნებით დამშვენებული.
 შადრეენებიდან ტკბილი ღვინოები მოჩუხჩუხებდა...

ხოგბით და კახურით გაბრუებული იმპერატორი
 აგარაკზე მოასვენეს თბილისის მახლობლად,
 მთელი დამე გალობდა თურმე ქალწულთა გუნდი...
 და, როგორც ამბობენ...

ამბობენ კი არა... როგორც მალავენ...

(ვაი, სირცხვილო!)

იმპერატორს უღამაზესი ქართველი ასულიც ჩაუწვინეს...
 რა საშინელი სიგყვავა „ჩაუწვინეს“... - მესათგატენილი

და თან მიწაზე მუცლით მხოხავი...
 ერთდროულად ურცხვიც და თავისპომჭრელიც...

შორიდან ქართული გალობა ისმოდა,
 ახლა რომ პოემაში გოდებად შემოლასლასდა,
 როგორც ანტიკური თეატრის ქორო -
 ანუ ტრაგედიის უძლური მოწმე ბედისწერის წინაშე.

„ჩაუწვინესო...“ ამას როგორ ვწერ...
 ან დაწერილს როგორ ვკითხულობ!
 ო, ღმერთო, ღმერთო, ამ წყევულ და სლიინა სიგყვას
 როგორ გაუქეცე... საღ დავეშალო!..

ამ წუთას ნამდვილად მემზღებთან ქართული ასოები.
 ისინი იფშენიგებთან და ქალაღდიდან იპარებთან
 და გამირბიან... გამირბიან სირცხვილისაგან...
 დაცემა და გადაგვარება მედროვეთა მეტი იქნება?!
 იქნებ ჭორი და მონაჩმახია ეს ამბავი?
 ხმა ამოიღეთ გარდასულთა წმიდა სულებო,
 ხმა ამოიღეთ, ამეცყველდით, დამიდასტურეთ,
 რომ სიცრუება, გყუღია ეს ყველაფერი.
 „ჩაუწვინეს“... ანუ სამარეში ჩააწვინეს
 ჩემი და შენი - ყველა ქართველის თავმოყვარეობა,
 სამარეში ჩააწვინეს ჩემი ამაყი ჯიში და ჯილაგი...
 და რისთვის? რისთვის?

- ჩინ-მელღებისთვის!
- ბუშმენგებისთვის!
- ეპოლეგებისთვის!

იმ დამით რუსული ჩურჩული დაიდვარა
 სამეფო აგარაკზე,
 რუსული ჩურჩული და ქართული ცრემლები...
 უღამაზესი და უპატრონო ქართველი გოგოს ცრემლები...
 დაიდვარა მეფური ჩურჩული და ქვეშევრდომული ცრემლები...

და დიღით, როცა ჩაიშე (ნაბახსევეშე!)
 მისი უმაღლესობა ღიმონს მიირთმევედა,
 იმპერატორს მასპინძლისათვის ასე უჩურჩულია:
 იმ გოგონასაც ქართული ღიმონის სურნელგება ასდიოდაო...
 ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რა მოსწრებული თქმაა,
 რა გონებამახვილობა!

- მეტაფორა!
 - ბრწყინვალე მეტაფორა!
- ზღაპრულმა პატივმა ევროპის ჟანდარმიც კი -
 ეს დიდი საღღაფონი - პოეგად აქცია!

- ბრავო, იმპერატორ,
- ბრავო!!

განა რა, აღმოსავლეთის მბრძანებელთა
სუფრებსა და პარამხანებს
ქართული ლიმონის სურნელება არ აბრუებდა?!

ქართველო გოგონავ - დარიბი თავადის ასულო,
მდიდართა მსხვერპლო,
ჩინ-მედლების მოყვარულთა ზეარაკო,
შე ცოდვის შვილო,
ვინ დაგიყოლია და გაცითუნა?
რა დაპირებებით და ილუბიებით?
ბებერი კუდიანივით ჩაგიძვრა სულში მაჭანკალი,
ჩაგიძვრა და ჭიანჭველას ბუღესავით აგიფუტუნა
სინდისი და პატივმოყვარეობა.
და შენს გარშემო მფრინავი ჭიანჭველებივით
აწრიალდნენ ყოყმანისა და თვითგვემის წამები,
ყრუ ქაილივით მსუსხავი წამები.
ვინ იყის, რას აღარ ჩაგჩინებდა
ის სულწაწყმედილი მაჭანკალი:
ვერავენ გაიგებს, შვილო, არავის ეცოდინება...
ხატთან და ღმერთთან შევინახავ ამ საიდუმლოსო,
ბედი კარზე მოგდგომია, ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ
გაჩენილი... ვერავენ გაიგებს... ნუ შიშობ... დამიჯერე...
რა გაგიტებს? უნდა იყო ამ სიღარიბეში
შენი გვარისა და სიღამაზის ქალი?
გეყო სიღარიბე, გენაცვალე... ხელმწიფე მოწყალეა...
თვალ-მარგალიტით აივსები... ადგილ-მამულეები გებოძებათ...
იქნებ ფრეილინობაც გელის... სანკ-პეტერბურგი...
სამეფო კარი... იქ დიდაც მთავათხოვებთ...
სულ ცოტა, ბარონესა იქნები ან გრაცინია...
თვალმაც კი დაუდგებთ აქაურ გომბიოებს...
ვიმე ნაკლები ხარ თვალ-ტანადობითა თუ გვარიშვილობით?
მააშ, გენაცვა, - ადე, ეშმაკს მიაფურთხე...“

ვაი, შე საბრალოვ, შე ცოდვის შვილო,
აღბათ, როგორ ებრძოდი, როგორ ეომებოდი
საკუთარ თავს, საკუთარ უმწუბრებს?!
ებრძოდი მაჭანკალ კნინას ჩურჩულს... ებრძოდი... ებრძოდი...
მაგრამ სუსტი იყავი, სუსტი სიღარიბისაგან,
სუსტი და განწირული...

ო, როგორ გინდოდა სიღაგაკის ჭაობიდან
ქათქათა ღუმფარად ამობრიალება, როგორ გინდოდა!
ეშმაკს მიაფურთხეო... შენც ადექი და მიაფურთხე...

მაგრამ მიაფურთხე მთელ საქართველოს (რაც არ ვინდოდა),
 მიაფურთხე ათასებსა და მილიონებს,
 ყველას, ვინც თავმოყვარე ქართველად დაბადებულა
 ან დაიბადება მომავალში.
 ვაი, სიღარიბეო... და ვაი და ვაი სიხარბეო...

სად აღარ დაჩერჩეგობდა ქართული ლიმონის სურნელი?
 შენც გამოწურული ლიმონით მიგატოვებს...
 მიგატოვებს და არც საიდუმლო შევინახეს.
 თურმე ლიმონისფერი ყოფილა მწუხარება
 და შენც ლიმონის ფერი მოგეძალა -
 თეთრ და გაუხარულ ღუგუნიანს.
 ბნელში იჯექი და ლიმონისფრად ანათებდი.
 გარეთ ველარ გადიოდი,
 ყველას ემაღებოდი - შინაურსა თუ გარეულს,
 სულ გამკილაღი მშერა გელანდებოდა ნაცნობ-უცნობისაგან,
 სულ გამჭორავი ჩურჩული გესმოდა თვითონ სიჩუმიდანაც კი...
 სულ ქირქილი და კუჭკუჭ-ხითხითი...
 მხოლოდ დამდამობით მიიპარებოდი გარეუბნის საყდარში
 და ხაგ-სანთლების წინ ლოცულობდი...
 ლოცულობდი და გიროდი... გიროდი...
 ცრემლებითაც და უცრემლოდაც...
 და სულ ახალგაზრდა დაიმარხე, ცოცხლად დაიმარხე,
 ლიმონისფერი სენით გაღუული, როგორც პაწია თოჯინა.
 ქვეშევრდომული, მახინჯი საქართველოს ლამაზი თოჯინა.

თურმე ლიმონის ფერი ჰქონია შებღაღულ თავმოყვარეობას,
 ლიმონის ფერი ჰქონია გათელილ სინდის-ნამუსს,
 ქართული ლიმონის ფერი...

ქეთევან დედოფლის აჩრდილო,
 შენ შეიფარე ობოლი თავადის ასულის განკიცხული აჩრდილი,
 შენი წამებული კალთა გადააფარე
 ოქროსა და ჩინ-მედლების მოყვარე მდიდარ ნათესავთაგან
 გაბაზებულსა და გარეგებულ საწყალ გოგონას...

ამ ამბის გახსენებისას ისეთი განცდა მეუფლება,
 თითქოს უბოროტესმა არაკაცებმა
 გყეში შემოიყრეს შეყვარებულთან სეირნობისას,
 შემოიყრეს და ხეზე მიშაბეს...
 და... (ღმერთო, შენ მისხენი!)
 უსაყვარლესი ადამიანის გაუპატიურებისთვის მაყურებინეს...

ვაიმე, ჩემო შორეულო მიჯნურო,
 ჩემო უცნობო, ლამაზო თავადის ასულო,
 იგივე ჩემო ღაიავე.

ჩემო დარიბო, ობოლო გოგო,
 იგივე ჩემო დედაო, მანდილდაფხრეწილო,
 თავმოყვარე ქართველები შენს სახელსა და გვარს
 დიხხაც მალავენ.
 მე კი ვიცი შენი ვინაობა:
 შენი სახელია - საქართველო,
 შენი გვარია - ქართველობა.
 შენ ჩემი პატარა უბედური საქართველო ხარ,
 ხან იმპერატორის, ხან ჯარისკაცის ჩექმით გათელილი.
 ნუ გირი, შემოგველე... განა შენ გირილის თავი გაქვს?
 ისევე მე ვიგირებ შენს მაგიერ...
 თუ ნებას მომცემ, მე ვიქნები შენი მომფერებელი...
 მე ვიქნები შენი ნუგეშისმცემელი...
 შენი კარის შგოსანი,
 შენი პირადი მცველი, პირისფარეში.

მაშინდელი ქართველი თავადაზნაურობა
 უნივერსიტეტზე ოცნებობდა.
 მაგრამ ეს თხოვნა ქვეშევრდომებმა
 რუს ხელმწიფეს ველარ შებედეს,
 სამაგიეროდ იმავე ქვეშევრდომებმა
 მუნდირიან იმპერატორს
 საარტილერიო სასწავლებლის დაარსება სთხოვეს
 და სთხოვეს თამამად, სახეგაბრწყინებით...

ეს ამბავი დიდხანს იღველფებოდა სულის კუნჭულში
 და ფერფლითაც იბარდებოდა...
 ეს სტრიქონებიც სულის ნაგუსალი, სულის კვამლია...
 ამ სტრიქონების წამკითხველი, ვინც გამწარდება,
 ვინც შემომიბღვერს ან იკადრებს უფრო უარესს,
 იმას ვენაცვალე... ის ჭეშმარიტი ქართველია!!

მოგხვდათ? გემწუთხათ? დაგისივდათ ბოღმით გულები?
 გიხურთ, გისკდებათ საფეთქლები უროთა ცემით?
 ეს იმას ნიშნავს, ისევე გიღუღთ ქართული სისხლი,
 ეს იმას ნიშნავს, არა კვდება ჯიშო ქართული!.

ეპილოგი

გთხოვთ, წააკითხოთ ეს პოემა ამაყ ქართველებს!
 გთხოვთ, წააკითხოთ, ვისაც უყვარს თავისუფლება!

გენალი აიგი

მცირე წინათქმა ფრანგი პოეტი-აკადემიკოსის ესეის ნაწყვეტის თანხლებითა და ლირიკულ-მეგობრული ვადახვევებით

ძალიან მიჭირს თუნდაც ორიოდე გვერდის დაწერა პოეტის შესახებ, რომელიც ქართული მრავალსაუკუნოვანი ლექსის მუხიკით, მარადიული ხიბლით, განუმეორებელი სურნელითა და უცხოური პოეზიის უბალო თარგმანების ფერებითა თუ გრაფიკით განუხებებელი ქერნალ „ციკლის“ შიტიხვევებით უნდა წარვადგინო, მაგრამ, როგორც მთარგმნელი იძულებული ვარ (ალბათ, ვალდებულიც), რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ პოეტზე, რომელსაც არცაღ იყო კარგად იცნობენ საქართველოში მაშინ, როდესაც შეიქცა საკუენის გამოჩენილი ფრანგი პოეტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი პიერ ემანუელი ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ წერდა: „ეს პოეტი - ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, - თითქმის არ არის ცნობილი თავის ქვეყანაში. უცნობია, უფლებიანად და მარტოლენ მშობლიურ (სუფიკურ ენაზე) შესრულებული თარგმანების შემწეობით სამშობლოში იგი მაინც რუსი პოეტია, თანაც უმარშმარა პოეტი. ხედავ თუ შეგ მის გვერდით არაერთი ოფიციალური დიდების მზე ჩავსვენება... აივის სულთერი გზა შეუძლებელია, არ შეუძლებელიც მის ბედს - პოეტურ ბედს შემოთქმულსა, რომელსაც მისჯილი აქვს მისაგანი განდევნა ან, უფრო სწორად, ყოველგვარი ურთიერთობის საბოლოო განწყვეტა პოეზიის მეშვეობით. პოეზიისა, რომელიც მისთვის წარმოადგენს ერთადერთ ჭეშმარიტ სიტყვას, უძლეულ ენას ყოფიერებისა, იძულებული, დათრევის თავის თავში ის, რისი დაძლეველ შეუძლებელია, - აივი ეწერება ცდის, რომელიც სხეულისთვის, - მის მოსულამდე - სიჯივლ გადაიქცა და რომელიც მან უნდა განახორციელე საკუენით შემსუბუქლად, სიტყვიერების წინააღმდეგ, - ღმრთის ძალით აღჭურვილმა გამოთქმულსა და გამოყოფილს ამ შერაცხვებში. ამ ღვთაებრივ ღვლელში, დასავლეთის პოეზიაში აივის მხოლოდ ერთი წინამორბედი ჰყავს - ჟოლდერლინი. მაგრამ აივი ჟენია, ახლობელი - მოსწონთ ეს კულტურის იდეოლოგებს თუ არა - მამანების განმჭმენელ გოლიანობას“.

გენალი აივის რემინგონზე ვადახვევით ლექსებს (იან საგუნოვის, ანდრე სერგეევის, ეკავნი რეინის, მახილ ერთმინის და სხვათა) ნმ-იანი წლების მიწურულიდან ვიხსნა: მოსკოვიდან ვეგზმავინდენ ან ჩამოსქონდა რუს პოეტებს - „სმოვ“-ისა და „ლიანომოვის ჯგუფი“-დან (იერი კუმლანოვი, ალექსი პახომოვი, გენის საპირი, ივორ ხოლინი, სლავა ლიონი და სხვ).

ლაგვიელმა პოეტმა და მთარგმნელმა უდიდ ბერშინშმა მათხოვა და წავიკითხე ცნობილი გერმანელი რუსისთვის ვოლფგანგ კამპის მიერ შედგენილი და მიუჩენში გამოცემული გენალი აივის ლექსების მომზადი კრებული, მაგრამ მოვთხიანეთ მთავებლადეობათა ჭერი ასწია 1932 წელს პარიზში გამოქვეყნდობა „სინტაქსის“-ის გროფით დასგამბულმა კრებულმა „ნიშნინა მამთარი“, რომელიც ჩემს ესგონელ მეგობართან, ცნობილ აბსურდისტ პოეტ ანდრეს ეინთან წავიკითხე: ეს უკვე დიდი პოეტის წიგნი იყო! სხვათა შორის, ამ კრებულის წავიკითხის შემდეგ ჩემთვის ძვირფას მეგობარს, აქ გარდაცვლილ რუს პოეტსა და მთარგმნელს (ქმელ დიქსონს, კონსტანტინოს კაეაფისი და სხვ) სამ ევლიანსისკის ვთქვამს: „ასეთი წიგნი შემდეგ ნებისმიერი პოეტისათვის სიცილი დიდი ესამართლობა სულაც არ არის-ო“.

გენალიან დიდი ხნის მიმოწერა მქონდა, მაგრამ პირადი შეხვედრისას, ჩვენი საერთო მეგობრის, ჩუეპში კრიტიკოსის აგნერ ხუმსგაის ოჯახში დიდი ბავშვის გულწრფელობით მთხოვა: სვანეთში ითიოდე წლის წინათ თუ ვიყავი, მაგრამ ისე ნუ მომკლავ, ერთხელ კიდევ რომ არ ვნახო.

ლაკაროვი. ჩამოვიდა. მოველხინეთ ოჯახში. სიხუმელი მეწაღის - შოთა ჯავახიშვილის ჯიხურ - კ. ვიყავით შუგლდში: მოეფერა სახლიკიგებს აველით შეგვაბამ და სვანი პოეტების მახეშის ვაღურთან სადღიანის მშობით, სიყვარულითა და თანხადობით მოვიარეთ შოთა სვანეთი და ჩემს ძვირფას მეგობარსა და სკუპარს გაუგზავნედივით სიცილებ, რომელიც ასე აუცილებელი იყო მისთვის, მისი ოჯახისთვის და მშობლიური ჩუეაშეთისთვის, სადაც 1958 წელს კომკავშირის რიგებიდან გარიგებულ და ღვენილ პოეტს ძალდაღივ არ ავღებდნენ, რათა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იმავე მღვერებს, ამჟამად ღმობორბებს - მიეჩვენებინათ მისთვის, „ჩუეაშეთის სახალხო პოეტის“ წოდება, რესპუბლიკური პრემიები და სხვა მის მედლები და ჩინჯილები.

მე არ შემხვედრია აივის ღონის პოეტი, რომელსაც ამდენი ლექსი მქონდეს მიძღვნილი მეგობრებისაღმ, მსოფლიოში გაუჩინელი ადამიანებისაღმ, რაც კიდევ ერთხელ მეგავინსმებს გენალი აივის პოეზიის ჭეშმარიტ კუმენურ წარმომავლობაზე.

დასასრულს ერთი სახლიკიგის ერთ-ერთი საყვარელი სენგენიის ინტერვიუცაივ არ იქნებოდა ურიო, რომ დიდ პოეტებს არაბული ბედაურივით დიდი და კეთილი გული აქვთ.

მთარგმნელი

ყვავილები, მოჭერით

ო. მ.-ს პრაპაში, ბარათის ნაცვლად

მოჭერით, აბა, ყვავილები! მე შეჩქარება! ჯერ არ ყოფილა ამნაირი ყვავილობა -აკაციებს!
ამგვარი სულიც
არ ყოფილა წვა - ქვეყანა!

მოჭერით და არივ-დარიეთ, ერთიმეორეს გადაკიდეთ! მე ზურგზე სნეულებათა კუნძულებით
-მე-თანამედრო-ვე ღარღით ვიწვი - უკვე ვბოლბე
მსოფლიო ხორციტ და თქვენ გაღნობთ - ჩეხეთ: წვით-სიხხლით! - როგორც ახლა
აურაცხელი ფოლადისგან - გაწითლებულა და გიმგომებს მთელი ქვეყანა: პა,
როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს ცეცხლით-თავისი-არსით-ბღაველით-მსილონურით:

ბოღმის გასკლომით თუ სიღამპლის აფეთქებით: „წინ, პრაპისკენ!“ - შეცამდე:
ნიშნით - ღვთისა „შე-აღვიდისა“.*

ღაბღურ-ჩათლახთა-ყვავილობითა...

1968 წლის 23 აგვისტო

ველი ძველებური

ო ღვთისურ
ქმნაში არარაისგან სახისა
ღასანახად გაღწეული
და განუწყვეტელი
ე რ თ ხ ე ლ



ველის ხაგივით

1969 წ.

* მოგვიანებით (1994 წ.) აიგი ასე გაშიფრავს ამ მეტაფორას: „მეჩვენებოდა, რომ „თვით“ ჯოჯოხეთიც
და საგანაც კი უკვე დასამარებულნი არიან ამ ღროსა და ადგილის მოწყენილობით (მე მას „შე-
აღვილს“ (сверх-место) ეუწოდებ, ანუ ასე უთარგმნი ურცხვ სახელწოდებას „შე-სახელმწიფო“ (сверх-
держава).

ეს - თითქოს თვით სიკვდილის სიკვდილი იყო, - და ნუთუ ჩვენ ეცხოვრობდით? „ვეწინააღმდეგობდით“
კი? - უფრო სწორად, ჩვენ უბრალოდ ვიშვილებოდით ამ „გადასხვავებულ-ახლადმოვლენილ“
სიკვდილში, და, ალბათ, იმ „ღროს“ შესახებ, ჩვენ მეტს ვერაფერს ვიცყვით“.

ანაბეჭდი: ალვა

ო ხეო - შენ ღვთის სიმშარი ხარ - უფრო მისაღები თვალებით
უპირველესი ვინემ გონება - ჩემი - სიმშარი -
ღვთის სიმშრებიდან შენ ყველაზე აღრინდელი ხარ! -
სიმშრის გამოცელის პირდაპირზე - გზაჯვარედინზე
მამისებურად ხმაურობ - ბაღლი უფლის ხსოვნაში

1969 წ.

ჩანაწერი

უ ტ ი ფ ა რ თ ა ს ა ხ ე ი ბ ე ბ შ ე
მ ა თ კ ო ნ ს ტ რ უ ქ ი ე ბ შ ე
უნდა ვიმსჯელოთ - გათელილი დასვრილ-ჩასვრილი
და გაღაგდებული აღამი: ჩით
როგორც ნაოჭებით და ნაწერეგებით იმ ქალღლისა
ახლა ურნამა რომ ირხევა - ყველაზე შალდა -
თვით ნაგავს შემოთ

1969

Cerna hodinka*

კ-ს საფლავეზე **

ო. მაშკოვას

ოი სინათლე უსახელო
უსიტყუო აღამიანთა:

მათ მყოფობაზე ანუ ყოუნაზე უკვე სხვაგვარად - თითქოსდა
ახალ ვნებებზე - გაბაყებებზე - არა სამყაროსათვის დამადსგურებელი:

სილატაკე - ყველგან შემღწევი ყველაურის მომცელი! -

ანათებს მისი შემწეობით
როგორც ღვთის კრქვით:

შეღაპარი საფლავის სეკესია! -

შაგრაშ ვარ მისი - უთარცა საგნობროობა
შსნაგანი უბოვროობა
(ვიცნობთ ვით ტკივილს
და საკმარისია):

(ტკივილს კვლავ ვიცნობთ):

* ჩერნა პოდინკა - „შავი საბაი“ (ჩეხ.) - საუბარი მწერის ვაშს.

** კ-ს საფლავე - ფრანც კაფკას საფლავე (მთარგმნ. შენიშვნა).

ღიას: სილაგაკის *საგნად*
 ჯურაც ბრწყინავს *ის* თქვენს შორის
 საღამოში - სამყაროში მოუღენა - პრაქას
 სამახსოვროდ - ნიშნად - და - ძეგლად:

სამყაროსი რომელიც ახლა - მარტოიღენ გკვილია! -

და ენა სამყაროსი - ამავე - გკვილისა
 დგას როგორც შუქთამფლობელი:

ღატაკურ - ახალ - საგნობრიობად:

არის იგი - არ მოქმედებს!
 როგორც გაგება:

მსხვერპლებით:
 მსხვერპლთა

1970

ვარდები: მიგოვებულობა

ხოლო სითუთრით-სიცივით
 სულ უფრო სუფთა არიან:

როგორც გულის შეღონებისას! -

სულ უფრო ჩვენ - ვით მიგოვებულნი! -

თითქოსდა
 გვერდით
 თქვენ მალაყთ წამს:

რომელიც: მერმისში: ჩვენ გვეჩვენება გარდასულად! -

და თითქოს ჩვენ
 ბუნებაში
 ვგრძნობდით:

იქ მღუმარე - ღმერთს - იღვილი აშკარაა! -

დაბოლოს ვიგებთ
 ეს ხალ მოხდა
 მხოლოდ მას შემდეგ რაც მან დაგვტოვა-მიგვატოვა... -

ო, ნაღველი თქვენგნითაა! -
 იგა ყოველთვის
 ჰგავს შეგრძნებას წმინდა მ ი გ ო ვ ე ბ უ ლ ო ბ ი ს ა ს! -

თქვენ - გვედლობა სუფთა ხართ მისი.

1970

გოგოლის სახლი: რემონტი

ხოლო გვიან - შუაღამისას
 ნიშნები ისეუ გამოლიან
 ვით დაფარული - როგორც მოსახსნამის ქვეშით - ჭრილობებიდან:

(ისინი ხომ ფიქრებშიც კი
 აქ არიან - მარად და მარად):

მსგავსად ჩივის სისხლის წვეთების! -

და როგორც ღუნე-უხბალისო-მიგოვებულ-გადაღებული სული მოსკოვერ უკუნეთისა:

*„რემონტი
 გოგოლის სახლი
 რემონტი“ -*

როგორც ნათურის წითელი ციმციმი

1966

დაკარგვის ერთ-ერთი წლისთავისადმი

აი მისარ სარხეველაში: პოი სევედა გამოუთქმელი!
 და არწვევ
 შენს თავს
 რათა თავიდან გამოიგონო ღელაშენი... -

ამეამად უკვე - თავად ს ა მ ე რ ო.

1967

უგრილო

(წარწერა ფოტოგრაფიაზე)

ი. კულახის

ხოლო ცხოვრება გადიოდა (მრებოდა - როგორც გილო) -
 და ჩანდა თითქოს: შუაღამის შუქის უფსკრულიდან
 აპა უნდა გამოაღწიოს
 სულ სხვანაირმა: არა-ფერადმა:

თვით სხვითაც კი დაუხატველმა! -

როგორც ქუჩურ სიმღერაში
 გადიოდა მთელი ცხოვრება!.. -

და გვევონა: „დიას“... - და ხელი ეშვეებოდა
 დღის ბრწყინება-კამკამ-ციაღში - როგორც ყოველდღეურ წვევლადაში:

და - დადრეკილის - დაღუნულის - დახრილის თუ დაზნექილის თავი - იყო:
 სრული შეგება - უსრულესი ცნობიერება: „არა“.

1967

* თარგმანებში დაყულია ღენის პუნქტუაცია (მთარგმნ. შენიშვნა).

ველი: შუა ზამთარში

რენე შარს

ღვთიურ-კოცონი! - ეს სუფთა ველი
 ყველაფერს აგარებს სულ ერთიანად (სავერსო ბოძებსაც და
 ქარსაც და წერტილებს შორეული წისქვილებისა: სულ უფრო -
 თითქოს ამქვეყნიურია - როგორც არა ცხადში - შორს მიმავალი
 თანდათან: თ ეს ყველაფერი - ნაპერწკლებია -
 არა-სამყაროსეული კოცონის გაუწვეველი ალია)
 ვარ - უკვლად თანაც რისგანაც არ უნდა იყოს
 არა და არა - სამყაროსებრ კამკაშა
 ღვთიურ-კოცონი

1970

პოლონური გაკვეთილები

ნ. ვოროშილსკას

სლოვაკის* სიყვარულს-სიწმინდეს-პეწიანობა!
 ნებავე ვიცილო, რას შევადარო? -

თითქოს მე ვხედავ ამას
 სამახსოვრო ალაგას სადაც შუა ზაფხულში თანაც ოდესღაც
 ადღალ-მუხელმეურის მთის ფერობზე
 ჩემი მხედველობა თრთოლა თეთრი გამქრალი ცხადის ნაცვლად
 ასკილისა - რომ ყვევილობდა აქამომდე ერთი წლით აღრუ - მერყე-მსუბუქად
 მალღვლებდა

თეთრის
 გაქრობით
 პაერში.

სლოვაკის სიყვარულს! - ხსოვნაა
 იმ სიწმინდეზე - დაეწვევების ნისლის მიღმა რომ ფარფატებს:

ჩემთვის (ბურანში ვარ
 თითქოს
 შორეთის შორეთში ვწუხვარ) იმდენად მერყევად - მსგავსი -

იმზე ალაგისა - აწ გაუქმებულის

1973

სინემე

აგნერ ხუბანგაის

ხოლო ის რას აკეთებს გყვმი?
 შრიალებს როგორც გოგია... არაფურია უფრო უმიწნო ვინემ გოგია
 და უფრო ნაკლები მიმეზი არის მოძრაობა
 ვინემ ქარისგან შრიალი... -

* სლოვაკი იულიუმ (1809-1849) - პოლონელი პოეტი.

უნიშნობა სულაც არაა მოქმედება... -

და მასში ჯერაც არსებული
მხოლოდ ის არის - რომ იგია აელადიდება
ქვეყნის-კარიბჭის... (შემდეგ - ცეცხლია)... -

და იქ
რომელიდაც საათი
გამოაველენს წინასწარდასახულობას
უნაყოფო დასასრულისა... -

(აქაურობა კი - აზრდილისებრია!.. -

და შეგრძნებაც კი არაა
რომელიც
„ქვეყნად“ ეღერდა... -
იგი აქ არის - სისაფის გარეშე და ტყის ღუმელის გარეშე...
მხოლოდ დატხრომა - წარსულისა... და აქ მისი შარიშური -
მისი უკანასკნელი ნიშანი... მარტოოდენ - გამოძახილი... -

(ყველაფერი - სიცარიელეშია... უცეცხლოში... და კიდევ -
სამყაროობის გამორიცხვა - გამოკლებით - ტყეები)

1975

ჩანაწერი: APOPHATIC*

კ. ბ. **

ხოლო ღამე რომ ყოფილიყო ამ სამყაროსი ბნელი ღამე
უზარმაზარი საზარელი როგორც ღმერთი-ვერ-აღმოჩენილი
ამგვარ რაღაცას ხომ უნდოდა რომ გაგვეძლო-გადაგვეტანა
მაგრამ აღაშინებდა - მკვლევები
აქა-იქ კვლავაც ჩაწინწკლულნი არიან ამ მიწიერი ღამის უკუნში
საშინლად სადა-მარტივი-მდაბიო
მოსკოუერი ღამე საზარელი

1976

ეკსმინებიანი ფურცელი

ციდან მიწამდე ყოველივე თითქოს წმინდა მხედველობაა უზენაესის
ხოლო ღრუბლის ფსკერზე მხოლოდ ეკსმინებია

1977

* აპოფატია (ბერძნ.) - უხილავობა, შეუცნობლობა, მიუწვდომელობა (იესო ქრისტეს აგრიბუტი) ის.
აგრეთვე კატაფატია.

** ცნობილი გერმანისტის კონსტანტინე ბოგატაიროვის (1925-1976) ინიციალები. ჯ. აივამ რამდენიმე
ლექსი მიუძღვნა 1976 წელს საკუთარი ბინის კარებთან მოკლული მეგობრის ხსოვნას (მთარგმნ.
შენიშვნა).

უსათავრო

მაინც როგორი ძლიერება უნდა იყო
რომ ამგვარად მღუმარებლე როგორც შემწარავ ქარიშხლის წინ
უსოდენ მწირ არსებაში როგორც მე ვარ

1978

გვერდი აღიარებითურთ

ის-ის იყო: მე ერთხელ ვცაღე ჩამეხედა უბრალოებისათვის და
გავიგე ერთი რამ: რომ ღვეკარგე სიგყვა ვით მხედველობა

1978

ორი ჩანაწერი

უძილობის კამისას

I

ისეე და ისეე: ფშუტი მარცვლების მომწიფება ზურგში - წყალწყალა.
წილა და ფესვები? - ფეხები იმგვრეუა „თავის თავში“ - თითქოსდა
გვერდზე: ასეთ სიყარბიელში!.. მხოლოდ კითხულმა უწყის ყოველი.

2

და აფართოვებს თავს სულ უფრო. და თანაც რაღაც „მოაზროვნე“
ეარსკვლავებს შორის. ფეხისგულში - შუშაა და ჭრა-ჩხეღეგისაგან -
ტკივილი: „სამყაროებში“. თუნდ ერთი ღარგყმა შუშის გარეშე -
ღარგყმა ეარსკვლავის სიმყარებზე-სიმტკიცეზე-სიმაგრებზე-უღრეკობაზე! -
ფეხმოუცვლელად რომ იმხხერეოდე - თავისუფლებით.

1978

ამის შესახებ

იანოშ პილინსკის

ეს
უკვე არაა პაექრობა.
თუკი მე ღაბასახელეც,
მაშინ ეს - უბრალო მინიმუბაა:
„აქა - სრულყოფილება“
(გადაკრული სიგყვის ადგილი.
და მით ესწრება.
მე ვღუმელები).
„ღმერთი“?
ეს ციგატაა: ღმერთიდან.

1980

თარგმნა რენე კალანდიაშ

3. ლ. მენქენი

მზარეულის გამარჯვება

*მეფემაი სენო და ირწმენა
თავლიცვა სამართლიანი.*

თევსაჭერი გემის „სალი ჯონსის“ კაპიტან პირამ ჯონსონისათვის რომ გვეითხათ, საჭმელებიდან წიწიბურას უქვილისაგან გამომცხვარ კვერს არაფერი ერჩივნა. მით უმეტეს, თუ კვერი უშუშულა, გლუვი და, ამასთან მომიერად დაბრაწული იყო. პოდა, „სალის“ მზარეულმა, მანგმა უინდმილმა უცნაურად აპრელებულ-დანახშირებული კვერებით სავსე ლანგარი წინ რომ დაუდგა, კაპიტანი ლამის გადაირია; კედელზე მიმაგრებულ მაგიდასთან მიღგმული სკამი უკან გასწია, საზურგე კაიუგაში მღვარ ერთადერთი საწოლს მიაყრდნო და დასჭექა:

- ეს რა არის, შავი თაღლითო? ეს რა არის-მეთქი, გვეითხები. ეს ნავავი შე მომიგანე?

- რა ჩემი ბრალია, კაპიტანო, - მზარეული შეშინებული ჩანდა. ღორის ქონი არ ვარგოდა.

- რაო? ღორის ქონი არ ვარგოდაო? ამის თქმას როგორ ბედავ?!
- მე... მე იმის თქმა მინდოდა... - თავის მართლება სცადა უინდმილმა, მაგრამ განრისხებულ კაპიტანს არაფრის გაგონება აღარ უნდოდა.

- ეგ ღორის ქონი ბალგიმორში ვიყიდე, ვორენქა ათ ცენტად. ისეთი ქონია, უკეთესს ვერსად ნახავ... სულ ტყვილად იწუნებ! შენ გამოცხოა არ იცოდე, რა ქონის ბრალია. შე გამურულო, არყით გაქენთილო მაიმუნო! - კაპიტანი სკამიდან წამოიჭრა, ფეხი იატაკს დაქრა; ისე გაცხარდა, მეტყველების უნარს კი წაერთვა და სიგვევს გაუკებრად აყრიდა ერთმანეთზე. უინდმილი შეშოთობული მისჩერებოდა კაპიტანს.

- რისთვის დაგიქირავე, რისთვის გაძლეე თვეში თექვსმეტ ლოლარს? იმისათვის, რომ ასეთი საშიშრობა გამოაცხო? გამოაცხო კი არა, დაანახშირო? - ძლივს ამოთქვა ეს სიგვეები კაპიტანმა.

უინდმილი, რაც სიგვეასიგვეით ქარის წისქვილს ნიშნავს და რაც, ალბათ, დიდი ყურების გამო შეარქვეს, გასუსული იდგა. უცებ კაპიტანმა გადაწყვიტა, მზარეულისთვის კვერის გამოცხოვის გაკვეთილი ჩაეტარებინა და სამზარეულოსკენ გაეძარბა. ღუმელთან მივიდა, მასხის ხელი დააელო და მინავლ ცეცხლს შეუჩუჩხურა. მერე გაფა აიღო... უინდმილი გვერდით ედგა და მის ყოველ მოძრაობას თვალყურს გულმოღვინულ ადევნებდა.

- აი ასე, აიღებ ქონის შოზრდილ ნაჭურს და გაფაზე დააბნობ, - კაპიტანი მშვენიერად უხამებდა ერთმანეთს ლაპარაკსა და მოქმედებას.

- მერე ცოფს პაგარ-პაგარა გუნდებად დაყოფ და გამძნარ ქონში ჩააწყობ. აი ასე, სედავ?

უინდმილმა თავი დაუქნია, ვხედავო. კაპიტანი საქმიანობას განაგრძობდა: ცოფი რამდენიმე ადგილას ჩაჩხელიტა, ასე უკეთ გამოცხვებო. კვერი რომ შეყვავისფრდა, მისი გადბრუნება სცადა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ცოფი მაგრად დაპკუროდა გაფას. ვიღრე კაპიტანი დანით ეჯაჯკურებოდა, კვერი ერთიანად გაშავდა, მაგრამ კაპიტანი არ მოეშვა, დანა მარჯვედ შეუწურა; უკვე დანახშირებული კვერი ადვილად დამორჩილდა. კაპიტანმა ახლა ასევე მარჯვედ აიქნია გაფა, აქაოდა ნამცხვარს გადავაბრუნებო, მაგრამ კვერი გაფას ასცდა და იატაკზე ნამცეცებად

მიმოიფანტა.

- ჯანდაბაში წასულა შენი თავი და ტანი!
- დაუბრიალა კაპიტანმა შიმისგან აცხცახებული მანგს.

- რას მერჩით, სერ? - ამოილულულა მშარეულმა, მერე ნულა შეაპარა: - იქნებ ძალიან ძალდა ააგდეთ, სერ?

- შენი შენიშვნებიდა მაკლდა, შე შავო არამზადე! - სიბრამისგან სახეწამოჭარხლებული კაპიტანის ხმა ქარიშხალივით ბობოქრობდა, - შენ ცომის მომელა არ იყოლე... - და შემინებულ მანგს ტაფა მოუღერა. - შენი ცომიანად გასწი აქედან, აღარ დაშინახო, - კაპიტანი თასს დასწვდა და ცომის გუნდა მანგს ესროლა. ცომი ლუკმი გადაეპარდა და, ვიდრე გემბანზე გაიგყლაპუნებოდა, კინაღამ თავში მოხვდა ექსკავატორთან მდგარ მუშას. მუშებმა ექსკავატორს თავი მიანებეს, ლუკთან მიიბრინეს და ჩაიხედეს, რა ხდებოდა. მაგრამ იქ, ქვემოთ, კაპიტანი დაინახავს. იგი ყველა სამხედრო წესით მიესალმა და ამით მათ ცნობისმოყვარეობასაც ფრთები მუუკვეცა...

ამრიგად, კაპიტანი უსაკმომოდ დარჩა. შიშლიმა საშინელ გუნებაზე დააყენა. გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ ეყადა ბუდი. უინდმის უბრძანა, აქ იყავი და დამეხმარეო. ყველაფერი თავიდან დაიწყო: ცომი მოზიდა, ლუმელში იეცხლი გააჩაბა, ტაფაზე ქონი დაღო, გამდნარ ქონში ცომის პაგარა გუნდა ჩააგლო. თან მშარეულსთვის გესლიან სიგყვეს არ იშურებდა, პირველი კვერის გამოცხობას აღარაფერი უკლდა, კაპიტანმა კვერს ქვემოდან ციცივი ამოქურა. ამჯერად კვერი პაერში შეგიალდა და, ის იყო, საღ-სალამათი უბრუნდებოდა ტაფას, რომ ასცდა და ლუმელზე მოაღინა ტყაპანი. უინდმილი წამოხტა, იქნებ მოეცწრო, დავიჭირო და არ დამიგერესო, მაგრამ, ის იყო, დაიხარა, რომ კაპიტანმა ციცივი კვერის დასაჭერად ლუმელისკენ მოიქნია, ციცივი კვერის მაგიერ საბრძალო მანგს მოხვდა თავში; საცოდავს ესეც არ აკმარეს, ჭიგდაყიცი მიაყოლეს.

- ასე მოგიხდება! - არ შეიციოდა სახეაჭარხლებულმა კაპიტანმა ორმაგი დარტყმისაგან გამწარებული მშარეული. - მოკრიბე შენი ბარგი-ბარხანა და თვლით აღარ დამეხანხო. მოწყვი აქარობას, ძალიშვილო. სწრაფად, გაინძერი, გადახტე...

მშარეული, რა თქმა უნდა, წყალში არ

გაღამებკარა, ანძისკენ წალასლდა უმისამართოდ დასჯილ-გათახებული.

ყველამ გემბანზე მოიყარა თავი. მემღვეურები, ბალგიმორის ნავსადგურში რომ აიყვანეს უგონოდ მთერალები და „სალიმე“ ამოაყოფინეს თავი, გაოცებას ვეღარ მალავდნენ. კაპიტანის და მშარეულის შეჯახებამ რატომღაც გაახალისა ისინი, ხომ შეიძლება ეს ომი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდესო, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ კაპიტანს რევოლვერი ელო ჯიბეში. იყო შემთხვევა, კაპიტანმა ხელი წაიღო ჯიბისკენ და შემინებული მემღვეურებიც „სმენანზე“ გაიჭიმნენ დაუბანელ სახეზე მლიქვნელურ დიმილგადაკრულები.

- რაო, - თქვა კაპიტანმა. - ამბოხებაა? - წარბები ისე შეკეცარა, ლამის ერთმანეთს გადააბა, წვერი კი კაცის ბალანივით ყალმებ დაუღვა. მერე ჯიბიდან რევოლვერი დაადრო და ჩახახხზე შეაყენა. შემინებული მემღვეურები ფაიფიყვით გაეცალნენ იქაურობას.

- აი, ეგრე! აბა, ბორკილები მოიტანეთ, - კაპიტანმა რევოლვერი ჯიბეში ჩააბრუნა. მშარეულმა პატივმა სთხოვა, მაგრამ კაპიტანი ცუდ გუნებაზე იყო. ჟილევის გულსჯიბიდან თავწამწვარი სიგარა ამოიღო, მოუკიდა და ცხვირიდან ვეება, სულისშემუთვეული კვამლი გამოიშვა. მერე კი სამეიომოდ განაახადა:

- შავო მაიმუნო, შენ უკვე მიცკალებული ხარ, - აკანკალებული მშარეულსათვის მელაც არ შეუხვდავს, ისე განაგრძო: - დიას, ასე მოგიხდება. პირწავარდნილი არამზადა ხარ, ამბოხებბას მიწყობ; პირდაპირ შენთვისა დაწერილი სამართლის კოდექსის მეორე თავის ოცდამეერთე პარაგრაფის მეცამეტე მუხლის მეშვიდე პუნქტი, სადაც გარკვევით არის ნათქვამი: თუკი ვინმე გაბედავს და ჩესაპიკის ყურეში ან მის რომელიმე მენაკაღში ეგმზე ამბოხებბას მოაწყობს, ციხე ხომ ელის და ელის, ჩამოხრჩობაც არ ასელება. იმქვეყნად კი შეამოიხის სულს, არა მგონია, დმერთმა შეუნდოს. აი, როგორია ეს კანონი!

ეკიპავი კვლავ გამოჩნდა. ბორკილები მოიტანეს. ეს ბორკილები ჯერ კიდევ კაპიტანის დიდ პაპას, საილას ნოე ჯონსონს ეკუთვნოდა. იგი ბალგიმორის საბუქსარო გემის კაპიტანი იყო. ბორკილები ორმოცდაათ გირვანქას მაინც იწონიდა. ჭუჭყსა და ჟანგს დაეფარა. ძლივს გახსნეს საკეკები, რათა

საბრალლო, შიშისგან დაზაფრული მანგისთვის კოტეჯებზე შემოედოთ.

- გამიშვით, კაპიტანო, თქვენი წყენინება აზრადაც არ მომსვლია. არც იმიტომ წაიშოვ- მხარვარ, თქვენთვის რომ ხელი დამერგა.

- როგორ არა, დავიჯერე! - დამცინავდა უპასუხა კაპიტანმა. - სულელი, დამარტყი და გგონია, ვერ მივხვდი? მაგრამ სად წამი- ხვალ, ვიცი, რასაც გიპაპ. საკუთარი ხელით ჩამოგახრჩობ. აბა, მარდად, ბიჭებო, რა მოვ- დით, ბორკილებს ვერ ერევით? დღეს არაფ- ერი გიჭამათ?

მემღვაურები, როგორც იქნა მორჩნენ საქმეს და ფეხებდაბორკილი მზარეული ანძა- მზე მიბაბს. მერე ცოტახნით შეყოვნდნენ, რათა ისედაც შიშით დაზაფრულებს ერთხელ კიდევ მოესმინათ კაპიტანის ქადაგება ამბოხებებზე, ჩამოხრჩობასა და სხვა ამგვარ რამეებზე;

- აბა, ახლა კი საქმეს მიხედით! - ბრძანა კაპიტანმა.

მაღე ექსკავატორი ამუშავდა, მეთევვეები ბადეებს მიუბრუნდნენ. კაპიტანი ხან იქ განჩ- დებოდა, ხან აქ, უმეტესად კი მესაჭესთან იდგა.

იმედგადაწურული მანგი უინდმილი ანძა- სთან მიმჯდარიყო. იცოდა, ისეთი არაფერი ჩაუღენია, სიკვდილის განაჩენი რომ გამოე- ტანათ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ჩესაპიკის ყურეში ნებისმიერ კაპიტანს შეეძლო, თვითნ- ბურად განაჩენიე გამოეგანა და კიდევ აღუ- სრულებინა. ერთი წლის წინ კაპიტანს ჯოშუა კელუმას ემსახურებოდა. იმანაც ბორკილები დაადო და სამი დღეც აშიშშილა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი რევოლვერი უჩვენა მე- მღვაურებს...

მესვენებისას კაპიტანი გამოჩნდა, ანძამზე მიბმული ბორკილები შეუმოწმა. უინდმილი ისევ შევევდრა, გამიშვით, თანაც თავი შეა- ცოდა - ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარი ამოვიარდა, ტალღების შეხვეები გემპანზე აღ- წვეს და ერთიანად გავიყინეო. მაგრამ კაპი- ტანმა მისი ხეწწა-მუდარას ყური არ ათხოვა. იგი ბუნებით ბოროტი და უგულო კაცი არ უნდა ყოფილიყო, სხვა კაპიტანებთან შედ- არებით შეიძლება თავაბიანა და კეთილიც კი ეთქმოდ, მაგრამ ამ მოგზაურებისას რაგონდაც გაღიშებულად იყო, ეს კი, ჩანს, იმან გამოიწვია, რომ ამჯერად „სალის“ ბელმა არ გაუღიმა. ჯერ იყო და, ნახსადგუ- რიდან განოსვლისთანავე შეემთხვათ პაგარა

უსიამონებდა. ჩესაპიკის ყურეში, კენკის კუნ- ძელთან, სადაც მღვა, როგორც წესი, მუდამ მშვიდია, მორიგე მევენებემ საგუშაგო მიაგ- ოვა, წყალში გადახტა და ნაპირისკენ მოსუა. წყლის დიდი კასრი გაუტყვლო და კრისფ- ილდში ახლის ყიღა მოუწიათ. მერე ერთი მეთევვე შემთხვევით კაპიტანის ვისკით სახსე ბოთლს წააწყდა და უგონოდ გამოთოვრა. ექსკავატორსაც ლიღვი გაუტყვდა. აბას ისიც დაეშაბა, რომ წინა რეისის დროს შეგულე- ბული თევზით სახსე ადგილი სხვა თევზსაჭერ გემებს ეთოვზო და, საითაც გაყურა, კონკ- ურენტებს გადააწყდა. ერთი სიტყვით, არ უმა- რთლებდათ და, რაღა გასაკვირია, კაპიტანს თუ ნერვები დაწყვეტამე ქონდა.

დამით ერთმა მემღვაურმა მანგს გამხმარი პური და წყალი მიუგანა. გათოშილმა უინ- დმილმა მასაც სთხოვა, იქნებ ბორკილები აბხსნათო, მაგრამ მემღვაური შეშინდა. კაპი- ტანს ამის გავონებაც კი არ უნდაო. ვიდრე ანძამე შექურას ანთებდნენ, კაპიტანი ისევ გამოჩნდა გემპანზე. ღამის ატირებული უინ- დმილი შევევდრა, დამით მაინც ნუ დამტო- ვებთ აქო, მაგრამ ამაოლ. შუალამისას ისე აცივდა, უინდმილი კიბის კბლზე აციმინე- ბდა. კასრს ამოეფარა, მაგრამ ეს რას უშვე- ლიდა. ყველას სამასხროდ ქვეული ყურები ღამის დასტერა. ხელ-ფეხს ხომ საერთოდ ვეღარ იმორჩილებდა. ასე, რომ აბის პირე- ელი სუსტი სხივი უიკომიკოს სანაპიროს რომ მისწვდა, საბრალლო უინდმილი უკვე უგონოდ ეგდო.

კაპიტანი კი ამ დროს თავის თბილ კაი- უტაში იწვა და იმაზე ფიქრობდა, თევზის ჭერაში ხელი მომეყარაო. დღემო ღამის თითხმეტ საათს მუშობდნენ, მაგრამ ბევრი ვერაფერი დაიჭირეს. რა ექნა, ყურეს აბელა დაუყვა. ვირჯინიის სამღვართან ბლომად თევზი ეგულებოდა, თუმცა იქ თევზჭერა აკრძალული იყო და მონას ვირჯინიის პოლ- იციის კარჭანი აკონტროლებდა. კაპიტანს თავში გაუკლვა, იქნებ ვაგრისკო, ერთი პა- რჭაპი ერთდროულად ამოღენა მონას რას გასწვლებათ.

აღრე ორჯერ სცადა ბრაკონიერობა. ერ- თხელ კი გაუმართლა, მაგრამ მეორედ ჩავა- რდა, პოლიციის გადავეყარა და სროლა აუტ- ხესხ. და მაინც, კაპიტანმა გადაწყვიტა, ამჯე- რადაც ეცადა ბელა.

ინათა თუ არა, „სალი“ ნელი სვლით დი-

ძრა სამღვრისაკენ, შებინდებამდე სამღვრიდან მოშორებით თვეზაობდნენ. საბრალო უინდმილი კვლავ ანძამე იყო მიბმული და სიცივისაგან ძაგბაგებდა. პური და წყალი მიაწოდეს, დიდი ხვეწნის მერე კაპიტანმა ბრეშენტიც მისცა. უინდმილმა ოდნავ მოითქვა სული. მშის ჩასვლისას კაპიტანი მიუახლოვდა და საკუთარი ხელით მოხსნა ბორკილები:

- განაჩენის აღსრულება დროებით გადავვლე. დროებით-მეთქი; უნდა მოგვეხმარო, იქით გავდივართ.

მთვრემ ზღვას სხივები მოჰფინა თუ არა, „სალი“ სამღვარი გადაკვეთა და აკრძალულ წყლებში შევიდა. უინდმილს მეთვალყურეობა დაავალეს და ისიც კისერწაგრძელებული მგერავდა იქაურობას. ჯერჯერობით საფრთხე არსადან ჩანდა, ეკიპაჟი გაბალებით მუშაობდა.

შუაღამისას „სალი“ მოდრიეფე ყინულების ხაფანგში მოექცა, ეკიპაჟს უკვე ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი. კაპიტანი ცოფებს ყრიდა: ისეთი უღვერი სიგყვებით იგინებდა, მებღებურებსაც კი უკვირდათ. „სალი“ ირგვლივ წყალი გაიყინა, სულ რაღაც ორმოცდაათ იარღვე კი სუფთა, გაუყინავი წყალი მოჩანდა და კაპიტანმაც იქით წასვლა განიზრახა.

ნიჩბებითა და რკინის კეგებით შეიარაღებული ოთხი კაცი ყინულის ჩასამგვრევად გემიდან გადავიდა. ყინულს მთელი საათი ჩეხავდნენ, მერე შესვენება და ვისკი მოითხოვეს. პასუხად კაპიტანმა ერთს მუშტი ხეთქა სახეში, დანარჩენებს კი ნიჩაბი გადაამგვრია თავზე ეს კი აღარ მოეწონა ეკიპაჟს, ომის გამოცხადებდა ჩათვალა და ყველამ უკლებლივ ყინულზე ისეთი ხტუნვა და ფეხების დაკუნთვა ატეხა, რომ ყინული გაიშრება და დაიძრა. მებღებურები სასწრაფოდ ახგნენ გემბანზე და ახლა იქ განაგრძეს ყინულზე დაწეხვები პროტესტი. აქ კი უინდმილი ჩაერია საქმეში, კაპიტანს გადაეფარა. ვიდრე იგი თავისი რკინის მუშტით იგრიებდა მოხდურთ, კაპიტანმა დრო ისეღოთა, კაიუტაში ჩაიბრინა და რევოლვრს სტავა ხელი.

მებღებურებმა, როგორც კი რევოლვრის დანახეს, ისკუპეს და კვლავ ყინულზე გადახგნენ. ვიდრე გოცნებული კაპიტანი მოისამრებდა, უკან გამოდგენებოდა გაქცეულებს, ისინი უკვე შორს იყვნენ, ნაპირისაკენ გარბოდნენ. კაპიტანი ენაჩავარდნილი იდგა გემ-

ბანზე, სიბნელებში შორიდან ჯერ გაქცეულთა ყოინა ისმოდა, მერე ერთბაშად სიჩუმე დაისადგურა. კაპიტანი უინდმილს მიუბრუნდა.

- ღმერთო, გვიშველე! თუ დაგვიჭირეს, ხუთი წლით ჩავგაყუდებენ.

მზარეულმა უჩირა, ყინულის გაჭრა განვაგრძოთო. კაპიტანმაც უსიგყოლ მოიმარჯვა ნიჩაბი და მუშაობას შეუდგა. ყინულის ტეხაში გათენდა კიდევ ერთ ადგილას ყინული გათხელდა, გასკდა და უინდმილი წყალში აღმოჩნდა. კაპიტანმა რის ვი-ვიგალაბით ამოათრია საცოდავი მზარეული გაყინული წყლიდან, სასწრაფოდ გემზე აიყვანა, კაიუტაში დატოვა ღუმელთან, თვითონ კი კვლავ გემბანზე დაბრუნდა. ცოტახნის შემდეგ გამთბარი და გონს მოსული უინდმილიც გავიდა კაიუტიდან. გემის გარშემო ყინული ნელ-ნელა სკდებოდა. „სალი“ აქედან ნამდვილად გააღწევა სრუტეში. კაპიტანმა უნდა იმარჯვის, ახლა გამოჩნდება მისი სამღვარო ცოდნაო, ფიქრობდა მზარეული. „სალი“ ნელ-ნელა მიიწევა ყინულის ლოდებში, ხანდახან უჭირდა და ჩერდებოდა, ხანდახან კი, ყინულის თხელ ფენებში გზას იოლად მიიკვლევდა. უინდმილი კაპიტანს არ მოშორებია. რაც შეეძლო ეხმარებოდა, ვიდრე მთლად ღონეგამოცლილი არ დაეცა გემბანზე. ხუმრობა ხომ არ იყო, ჯერ ბორკილადებულმა გაატარა მთელი დამე ქარსა და სიცივეში, მერე გაყინულ წყალში ჩავარდა, ახლა მთელი დამის უძილოდ და გათოშილმა აძლიერ იმრომა; ქანცი გაუწყდებოდა, აბა რა მოუვიდოდა? და, საოცარია, უკვე რაკომდაც ურჩობის გუნებაზე დადგა.

„სალი“ სრუტეში შევიდა თუ არა, სამხრეთით იალქანი გამოჩნდა. იგი სწრაფად უახლოვდებოდათ. კაპიტანმა თვალა მოიჩრდილა. პოლიციის კარჭანი აღმოჩნდა. უეცრად კარჭაპის კიჩოლმა ბოლი გამოვარდა და „სალის“ მახლობლად წყალი ისე აქაფდა, თითქოს მათრახი გადაუჭირესო. გასროლის ხმაც მოისმა. ვირჯინიის პოლიციის კარჭაპმა ცეცხლი გაუხსნა „სალის“.

- გაიმძობრო, შავო თადლითო, უნდა მოვესვით! - კაპიტანმა პანდური უთავაშა უინდმილს; მზარეული წაფორხილდა და, რომ არ წაქცეულიყო, ანძას ჩაეჭიდა.

კარჭაპის კიჩოდან კვლავ ავარდა კვამლი წყალი ახლა უფრო ახლოს აქაფდა და ადგა-

ფუნდა. საქმეში გართულ კაპიტანს არც შეუძინებია, რომ მზარეულს ფეხიც არ მოუცვლია ადგილიდან. ცოტაც და, „სალი“ სამშვიდობოს იქნებოდა გასული, რომ უცბად ამწე გატყდა, იაღქანი დაიბრია და ჩაშოვარდა, კაპიტანი სასწრაფოდ ეცა, იქნებ აეწიო და როგორმე დაეშავებოდა, მაგრამ იაღქანი ისე იყო წყლისგან გატენილი და დამძიმებული, რომ ძვრაც ვერ უყო. ამასობაში კარჭაპი უახლოვდებოდა, თან გზადაგზა ისროდა და „სალის“ მახლობლად წყალს აქაფებდა. „ნეტავ ის გაიძევერა სად ჯანდაბაშია“, ახლად გაახსენდა კაპიტანს მანგი მზარეული, რომელიც ანძასთან არხეინად მოკალათებულიყო.

- აი, სად ყოფილხარ! ახლავე ხელი მოკიდე თოქს და მაგრად მოქაჩე! - დაუღრიალა კაპიტანმა.

მზარეულმა, ვითომც არაფერიყო, მანგად შემოაბრუნა მისკენ თავი:

- რაო, რამდენს მოგვისჯიან, თუ დაგვიჭირებს?

- ხუთ წელს, უსაქმურო. თოკი აიღე-მე-თქი!

- ვფიქრობ, ჩამოხრჩობას ვე ჯობია, - მშვიდად თქვა უინდმილმა.

სახეწამონთებულმა კაპიტანმა მსახურისთვის პანდურის ამორტყმა დააპირა, ფეხიც კი ასწია, მაგრამ ამ დროს ისევე ისროლეს და წყალიც სულ რაღაც ათიოდ იარღმე აქაფდა.

- შო, ციხე სჯობია ჩამოხრჩობას, მაგრამ სამუდამო პატიმრობა მაინც არ აგცდება! - უყვირა კაპიტანმა.

- რა სამუდამო პატიმრობაზე ლაპარაკობთ? აკი ხუთი წელია? - უინდმილი ანძას ამოეფარა, ტყვია არ მომხვლეს.

- მაშინ ათი წელი არ აგცდება გაძლიერებული რეჟიმის ციხეში! - გაეხარდა კაპიტანი.

- ბევრია, შეეპასუხა მზარეული.
- შვიდი.
- ვეპი ბევრია.

- ექვსი.
- არც ექვსი.
- ხუთი.
- ხუთ წელს ხომ ვირჯინიის სასამართლოც მომაკერებს.

- კარგი, ახლა მომეხმარე და ერთ წელს გაქმარებ.

- არც ერთი, სერ, - მანგად წაპოიწია უინდმილი. - ციხეში არც ერთი დღით არ ჩავჯდები. არავისთვის არასოდეს არაფერი დამიშავებია; რატომ უნდა დავისჯო?

ამასობაში კარჭაპი ისე მოახლოვდა, რომ იქიდან ნასროლმა ტყვიებმა წყალი სულ ახლოს ააქაფა და ორივენი გვარიანად გაწუწა. უინდმილს ახლა კი, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, მაგრამ კაპიტანმა ისეთი რამ დაუძახა, რომ სისხარულით წაპოიჭრა.

- ჯანდაბას შენი თავი, შიპაგებიან... - მაგრამ მზარეულმა მეტი დამუსტება მოითხოვა.

- მაშ, არაფერი მემუქრება?
- არა!
- არც ციხე?
- არც ციხე.
- აბა...

- მოკიდე თოქს ხელი! - დაუღრიალა კაპიტანმა.

უინდმილმა ღონიერად მოქაჩა თოკი, ანძა წამოაყენა; ქარმა იაღქმები გაბერა, უინდმილმა კი საჭეს მძლავრად ჩასჭიდა ხელი და „სალიმაც“ სელას უმატა. ამასობაში კაპიტანმა კიუტიდან შაშხანა და ვაშნები ამოიტყვა, საჭის უკან დაღდა და კარჭაპს სროლითვე უპასუხა.

ნასროლმა მიმანს მიაღწია. ერთი ტყვია კარჭაპის კიუტას მოხვდა, - მეორე ანძას, შესამუშე აფრა გახვრიტა. ქარმაც თითქოს „სალის“ მხარე დაიჭირა - კარჭაპის ანძა მოგრიხა და ძირს დაანარცხა. კარჭაპიდან სროლა შეწყდა.

კაპიტანი თავის მზარეულთან ერთად, როგორც იქნა, საფრთხეს გაღაურჩა.

ინგლისურიდან თარგმნა:
ლალი გოვაძემ.

ზაურ კალანდია

„ლუბა ფრანცისკას ასეირნებს“...

სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების მხატვარ-გრაფიკოსებმა დიდი ამაგი დასდეს ქართულ წიგნს. რა თქმა უნდა, მათ ბრწყინვალე წინამორბედები ჰყავდათ (ლ. კრივოლია, ღ. ქუთათელაძე, დ. დუნდუა...), მაგრამ კარგეული დროის შერე, რაც უფრო შორდება ერთმანეთს ოსტატი და შუკირდი, რაც შეტი „ხდვარი“ ჩნდება ხოლმე, მით უფრო „იგებს“ ერთიც და მეორეც.

დღეს კარლო ფანულია ერთ-ერთი დიდებული თვითმოყოფადი ოსტატი და ცნობილი მხატვარი-გრაფიკოსია. მან უხადოდ იცის წიგნი, რაც



მთავარია, უუფარ იგი, მიჰყვება დინჯად, დაფიქრებით, ეძებს სულის თავისუფალ რხევას და მოძრაობას შიგ, ინტერესი რომ აღუძრას შეითხველს, და არა შინაარსის ჩვეულებრივ მონრობეულად გვევლინება. მხატვრის ვოველი ხაზი თუ ლაქა ხან ხაოცრად მხუბუქია და თბილი, ხან მსუქე და შკაცრი - ღითონის ფორფიტაზე ნაკვეთივით.

კიდევ ერთი დეტალი, ზემო ახრით, ხაერთო ანუ სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების მხატვარ-გრაფიკოსთა დამახასიათებელი.

წიგნის ედაზე, ფორზაცზე თუ ტიტულზე ჩნდება ქართული ჯვრები,



ველესის ქონგური კი მორს, ხადაც სივრცეში გაქცეულა და გადახრილა... რაღაცისგან თავისუფლები თუ რაღაცს დაპირისპირებული ახალი თაობის მხატვრები ზირობითობით, მტრისებით, მინიმუმებით ქმნიან მთლიან განწყობას. რაც უმთავრესია, მეტი სიმსუბუქის წყალობით თუ მეტი თეთრი ჰაერის ფონზე - ჰოეტურობას მატებენ წიგნს.

მასოვს, ზირველ კრებულს, „ჩემი დამის ცა“-ს, რომლის მხატვარი ბატონი კარლო იუო, ველესის განახევრებული ქონგური ნათელივით ადგა თავსუ და სული ისე მოულოდნელად გაძითაბა, თითქოს წემს ნაწერებში ახალი, ჯერაც გაუცნობიერებული შუქი აღმოვანინე. აღმოვანინე და გაძისარდა. კარლომ კი ისე ვერ დაგვიხატე წიგნი, ვაღში ვარო, ჭიქა ღვინოსზე მითხრა მოგვიანებით, სინანულით. გული დამწედა. დღეხან ძალიან მომწონს და ამიტომ.

ბატონ კარლოს ასზე მეტი წიგნი აქვს, ალბათ, გაფორმებული და, რა თქმა უნდა, ყველას ჩამოთვლა თავად მას გაუჭირდება. ის უპირველესად პროფესიონალი: და წემი, როგორც არაპროფესიონალის შეფასება თუნდაც რამდენიმეხი, სუსტი ვერ იქნება. მარტო ინტუიციას ვერ ვენდობი.

ხერთოდ, ვისაც წიგნის მხატვრობა უკვარს და ჰატევის სეგმს, არ შეიძლება ეს არ ეკრძნო, რაღაც დონეზე შანს.

მხოლოდ ერთ სურიაზე გავამახვილებ ეურადღებას, მხატვრის ერთ ბოლოდროინდელ, საოცრად თბილ და ნაღვლიან „წიგნსუ“.

ბატონი კარლო ქუთაისელი კაცია, მისი ბუჟოზობა იქ არის. თავადაც იმ ასაკშია დღეხ, იქაურობას სისმარძიც ნახულობს, ალბათ და, ცხადმიც.

როგორც ვიცით, ის კბრეალებს უბანში გაიზარდა და, რა თქმა უნდა, მის



ყოფა, წარმომავლობა,
ტკივილი თუ შარადილი
ფიქრი და სევდა აღთქმულ
ქვეყნაზე თვალეშში
სამუდამოდა აქვთ
ჩახისტკული... აწმუში კი
არა, წარსულში მომავლის
იმედით იმზირებთან; იქ
ცხოვრობენ, იმითი
სუნთქავენ...

უპირველესად და
სწორად ეს „დაიჭირა“
მხატვარმა.

მანსკრობას - ჩვენი ებრაელი ძმები-
მეზობლები სხვეები - ციცოსლად
შემორჩა.

შემორჩა და, ახლახან ერთი გრძელი,
სევდიანი ფურცელი გადაგვიძალა.

... ტანტის შუე ხავერდზე კი არ
იხვეუებს, თოვლივით ანათებს
მოლოდინით გათანგული ფამფორას
სხეული...

ლოდინი კი თუ ვინმემ
იცის, ჩანს, ფამფორამ
იცის...

აქ არის რიკრიკა და
არც არის აქ, ხოლო
ხელჯახს დაურბობილი
ბერიკაცი გზას კი არა,
ბურუსსაა გამოკიდული და
დანთქმული...

საერთოდ, ფამფორა
იხვეუებს, ორი ბიბლიური
მოხუცი ქაშარს
აჭაშნიკებს, ღუბა
ფრანციკას ასეირნებს თუ
საუაილე ბატები ოჯახის
მამფალს სინაგოგაში მიბ-
ეაუს, აშკარად უგრძობთ,
რომ თითოეულს საკუთარი

მე ვიცი, თავად კარლოს დიდი გზა
უღვევ წინ...

მწერლობისკენ მავალი გზა...
სამოსოკენ მავალი...

ყურ სომ ვართ, ყურ კიდევ გამოდის,
საბედნიეროდ, ქართული წიგნი და ჩვენი
„ტობიც“, როგორც დიდებული მხატვარი-
გრაფიკოსი, მრავალგზის გაგვახარეს.



მამა აბშიანიძე

აკაკი წერეთელი

საკუნენახევარზე მეტი გავიდა აკაკი წერეთლის დაბადებიდან და დღეს უკვე თამაშად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც მანამდე და არც შემდეგ ქართულ კაცს ამგვარი ერთსულოვნებით არ დაუსახაეს ერთი რომელიმე პოეტი მთელი თავისი სათქმელის გამოძახატვლად - ფარული გრფობა აქნებოდა ეს თუ დაუფარავი ირონია, არსებულით აღშოთება თუ მომავლით შთანერვალი იმელი.

ნვენ კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით აკაკის პორტრეტს, ვაკვირდებით მის იერს და ნაკეთებს, თვალს მივადევნებთ მის „აღმართ-აღმართ“ მიმავალ გამას იმიგომაც, რომ სწორედ ამ ფენომენის აბოხსნა გვინტერესებს.

აკაკის ხბლი მისი გარეგნობით იწყებოდა. სერგო კლდამუილმა თავის დროზე წესტად შენიშნა: „კეთის გარეგნობას ვერ ინატრებდა ხალხი პოეტიკისათვის, რომელიც თავისი ქვეყნის სახელ მიანდა“. კიდევ ერთი შთაბეჭდილება, ამჯერად ისიც მებღაშედა - „მუღამ მდომარე, სახენითული, გულღია, შეადგებოდა... კიდევ უფრო დაწვრილებით აკაკის იერი იღია ზურაბიშვილის აქვს აღწერილი: „მეგობრულად ამოშანტური ფიგურა ჰქონდა, ნამდვილი სასკულპტური. მარტო იმიგომ კი არა, რომ ბრვე აგებულებისა იყო, იმაზე ბუმბურაშულ განაღობისას სხვასაც ნახავდით, მაგრამ ისინი აკაკისებურ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ. იმიგომ, რომ იშვიათი პარმონია სუვევდა მის განსა და თავს შორის. საკვირველი მოყვანილობის თავი ჰქონდა... ხშირი, შეცემვება გრუნი თმა. ეს ბუნებრივი თმა შარავნდვლივით ადგა მის საკვირველ - დია მარტო მაღალ, განიერ - არამედ სწორედ დაბა შუბლს, რომელიც ერთხა და იმავე დროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც“. სახე „მსხვილნაკეთიანი, დიდრონთვალეობა. მკვეთრად მოხაშული ბაგე, მაგრამ ენებიანობის არმქენი ტუქები... არც ირონიისა“. რა საინტერესო ენობა და იმავე დროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც“.

მხოლოდ არგურ ლაისგს შეუნიშნავს გარეგნ-

ული გამოვლენა აკაკის გემპერამენტისა და ისიც ილიას განსაკუთრებული სიღრჯის ფონზე...

აკაკის ხასიათი - ეს არის უროთეროვანობრიცხავი თვისებებისა და მიდრეკილებების ნაშაუ: იშვიათი უღარდებლობისა და პრაქტიციზმის, გულუშერეულობისა და ეგოიციზმის, სულიერებისა და აუბორეობის, გონიერებისა და ზედა რელობის. უენაური სიჭრელე გასდევს მთელ მის ცხოვრების გზას და მის ლიგურატურულ შემკვიდრებობაც, რომელშიც მომავალითუელ პანგებთან ამგვარი ნიჭისათვის უცხო და უურისმოჭრელი სტრიქონები შებობლობს.

ამ კონტრასტს თავის ხასიათში, ცხოვრების ნორში, პოეზიაში აკაკი, რადა თქმა უნდა, სხვაზე უკეთ გრძნობდა და აკი გამოთქვა კიდევ:

*ხან უენური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარეუთების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.
ნუ მეციხავ, მნახო უენურად,
ნურე გაიკვირვებ ბრძნობისა:
სულ სხვა შევის ხელისუფალი
ამ წემს გონება-გრძნობისა...*

გაყვეთ ამ გამას - სხვიგონში, წერეთლითა სასახლეში რომ იწყება, გამას, რომელსაც ის შენაარი, „სულ სხვა ხელისუფალი“ დაქუერებს, ამქვეყნიურ ხელისუფალითა ნება-სურვალს ანგარიშს რომ არ უწევს და თავისი რწყელი, ხელჩაკილებული, მთაწმინდისაკენ მიჰყავს...

1840 წლის 9 ივნისს, სისხამ დილით, სხვიგონში, თავად როსტომ წერეთლის აივნიდან თოფის ხმა გაისმა: როსტომსა და მის მუხულეს ეკატერინე ივანეს ასულ აბაშიძეს მეთოხელ შვილი შეესნათ, ვაკო, აკაკი.

„ყოცობილად კიდევ ძველ-ქართულად გამბრდილს ერთუხულ ივაე-არაკებითა და შლარებით მიქვს გული სახეს“, - წერდა შეშღამო აკაკი თელი უორდნიას. ამ „ძველ-ქართულ“ გამბრდილს ის „გაძიხავებაკ“ იგულისხმებდა სოფელ საგანუში, რომელიც აკაკიმ ესოდენი სითბოთ აღწერა მხატურულ აგებობიოგრაფიაში - „ქემი თავგადასავალი“ და დღისაგან მოსმენილი ლექსებიც, პირველი, ლექსდუიცი და საგმარი სტორიებიც, ამ საგმარი სტორიათა პერსონაჟები ხშირად აკაკი წინაბრები

იყვნენ - ქველი და დავით წერეთლები, იმერთა მუჟე სოლომონ პირველი და მისი შვილიშვილი ივანე აბაშიძე - პაპა აკაკისა.

შემდგომ აკაკის პოემატში - „გამზრდელში“, „თორნიე ერისთავში“, „ნათელაში“, მის პროზაში - „ბაში-აჩუკი“, მის დრამებში - „პაგარა კახში“, პირველ ყოვლისა, ყოველთვის მოისმინა ამ ისტორიული იდელების გამოძახილი, ხილო აკაკის ლექსების მომხმობლავ სისადავეში და მულოდკაში ის პანგი, რომელიც ხალხურ მეამბოგევეურებას პქონდა შენარჩუნებული და რომელიც სწორედ აკაკიმ პირველმა ცისოდენ ბუნებრივად შეუკავშირა ქართულ კლასიკური პოეზიის საუკუნივან გრადიციას.

გავსეხნით მისი ერთ-ერთი პირველი ლექსის სტრიქონი:

*გაბრწყინდი, ჩემო კანდლო,
მინათლე ბნელი დაბნისა!
მინათლე, რადგანე დავიწრა
სინათლე შეირეს ეპიძისა.*

ან აკაკისავე „საიღუმლო ბარათი“, პირველი მისი ლექსი, ავტორის ნებისა და საწინააღმდეგოდ ისიცაილების ნაცელედ უკვე მისი გვართ ხელმოწერილი რომ გამოქვეყნდნ იმგანისდელი „ცისკრის“ 1859 წლის პირველ ნომერში:

*საიღუმლო ბარათი!
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მიმნიველ
და სვედისა ფარადო...“*

„იმ ხანებშივე ამ ლექსის გამოისობით ორი წერილი მივიღე, - იგონებდა აკაკი, - ერთი ჩემი უკნობის ანხისხატის დეკანოზის ვერემის იყო... მეორე წერილი იყო თ. ირაკლი ლორთქიფანიძის. ისიც მაქებდა და მიხოვდა ძველი ენითა სწერეთ. ამ წერილებმა, ცოგა არ იყოს, გამაყიყიეს ცხრა-მეტი წლის ახალგაზრდას, სულსა და გულს მიგკბრბდა ის, რომ „ქალები იმღერინან“. და მივე გადავწყვეტე, რომ თავი დავეღვა შწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურედ ვსწერო“.

როგორც ვიცი, აკაკი იმხანად პეკერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელია. სრულულებიან სკულენგობაში მას ხელა შეუშალა ქუთაისის გამნაშობის დამამთავრებელი ატესტაგის უქონლობამ; ეცეკობა, აკაკის ერთი სული პქონდა, გაკლოდა ამ გამნაშობს, რომილიდანვე „ჩემი თავგადასავლის“ მონათხრობს თუ ვენლობით, ნათელ მოთგინებლ მხოლოდბა მოლონივლი მასწავლებლის - რადმივებამ სავბრები გამოპყოლოდა მიცქეების პოემიამე.

ყმაწველ აკაკის უთოლ წარმოესახბა თავისი თავი მიცქეების ცნობილ პოემის „კონრედ ვალენბროდს“ გმირად - ლიგველ სააკაძედ, გვეგონბა მთავარსარდლის აბჯარქვეშ სამშობლოსათვის შეწირული გული რომ უკვმდა.

არ არის გასაკვირი, რომ აკაკი სამხელრო კარიერაშე ოცნებობდა და თავდაპირველად, 1859 წლის მიწვეულის დამდვს, პეკერბურგში სწორედ ამ ოცნებამ ჩაიყვინა.

